



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გერმანული ენა და ლიტერატურა
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფრანგული ენა და ლიტერატურა
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რუსული ენა და ლიტერატურა
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გერმანული ენა და ლიტერატურა
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფრანგული ენა და ლიტერატურა
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რუსული ენა და ლიტერატურა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 26-28 დეკემბერი, 2022

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი: 6 თებერვალი, 2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	17
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	17
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	80
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	99
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	106
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	137

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ ბანძელაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა ბერიძე, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეა თათეშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე არაშიძე, სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5	პროგრამა 6	პროგრამა 7	პროგრამა 8
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ინგლისური ენა და ლიტერატურა	გერმანული ენა და ლიტერატურა	ფრანგული ენა და ლიტერატურა	რუსული ენა და ლიტერატურა	ინგლისური ენა და ლიტერატურა	გერმანული ენა და ლიტერატურა	ფრანგული ენა და ლიტერატურა	რუსული ენა და ლიტერატურა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგი აში	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგი აში	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგი აში	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგი აში	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგი აში	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი გერმანულ ფილოლოგი აში	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგი აში	ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რუსულ ფილოლოგი აში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება	0231 ენის დაუფლება	0231 ენის დაუფლება	0231 ენის დაუფლება	0231 ენის დაუფლება	0231 ენის დაუფლება	0231 ენის დაუფლება	0231 ენის დაუფლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹								
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240	240	240	120	120	120	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, №42, 23.09.2011;	აკრედიტებული, №38, 23.09.2011;	აკრედიტებული, №45, 23.09.2011;	აკრედიტებული, №43, 23.09.2011;	აკრედიტებული, №89, 19.04.2012;	აკრედიტებული, №90, 19.04.2012;	აკრედიტებული, №91, 19.04.2012;	აკრედიტებული, №92, 19.04.2012;

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

1. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაჯგუფებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 4 საბაკალავრო (ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა) და 4 სამაგისტრო პროგრამა (ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა). საბაკალავრო საგანმანათლებლო ოთხივე პროგრამას აკრედიტაცია გავლილი აქვს 2011 წელს, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს - 2012 წელს.

წარმოდგენილი ვერსიით, კლასტერში გაერთიანებული პროგრამებში ცვლილებები შევიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანების დანართი 1-ით დამკვიცებული “ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს” კომპეტენციების აღმწერის და დანართი 2-ით დამტკიცებული “სწავლის სფეროების კლასიფიკატორის” მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, გათვალისწინებულია აკრედიტაციის სტანდარტებისა და უმაღლესი განათლების ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლების სპეციფიკა.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მისანიჭებელი კვალიფიკაციის დეტალური სფეროებია - “0231 ენის დაუფლების (Language Acquisition) (0231.1.1 ინგლისური ფილოლოგია (English Philology), 0231.1.1 გერმანული ფილოლოგია (German Philology), 0231.1.6 ფრანგული ფილოლოგია (French Philology); 0231.1.14 რუსული ფილოლოგია (Russian Philology). შესაბამისად, მისანიჭებელი კვალიფიკაციებია: „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში“; „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი გერმანულ ფილოლოგიაში“; „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში“; „ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში“; „ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში“; „ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი გერმანულ ფილოლოგიაში“; „ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში“; „ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში“.

კლასტერში გაერთიანებული საბაკალავრო პროგრამების მოცულობაა 240 კრედიტი, რომელიც შედგება ძირითადი (Major) პროგრამისა (180 კრედიტი) და დამატებითი (Minor) პროგრამისგან (60 კრედიტი). სტუდენტებს საშუალება აქვთ უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერ მაინორ პროგრამებიდან აირჩიონ დამატებითი პროგრამა, კურსების წინაპირობების დაცვით.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობაა 120 კრედიტი, რომელიც შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (95, 105, 105, 105 კრედიტი, პროგრამების თანმიმდევრულად) და ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები (25, 15, 15, 15 კრედიტი, პროგრამების თანმიმდევრულად).

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 16 დეკემბრით დათარიღებული ბრძანების №1619458 თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი 2022 წლის 26-28 დეკემბერს ეწვია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში. კლასტერში განხილულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის 8 პროგრამა: ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა, გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა, ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა, რუსული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა, და რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა.

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

დღის წესრიგით განსაზღვრულ ფარგლებში, გასაუბრება წარიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, კლასტერის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის სამსახურის პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

ვიზიტამდე ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, საჭირო გახდა უნივერსიტეტისგან დამატებით დოკუმენტების გამოთხოვა, რომელიც დროულად და მოწესრიგებულად იქნა უზრუნველყოფილი. შესწავლილი დოკუმენტების და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით მომზადდა ექსპერტთა დასკვნის პროექტი.

2. საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სტანდარტი 1

პროგრამა 1: ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 3 კომპონენტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 2-ში - მეტწილად შესაბამისობა.

პროგრამა 2: გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 3 კომპონენტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 2-ში - მეტწილად შესაბამისობა.

პროგრამა 3: ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 2 კომპონენტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 3-ში - მეტწილად შესაბამისობა.

პროგრამა 4: რუსული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 4 კომპონენტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 1-ში - მეტწილად შესაბამისობა.

პროგრამა 5: ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 4 კომპონენტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 1-ში - მეტწილად შესაბამისობა.

პროგრამა 6: გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 2 კომპონენტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 3-ში - მეტწილად შესაბამისობა.

პროგრამა 7: ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 3 კომპონენტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 2-ში - მეტწილად შესაბამისობა.

პროგრამა 8: რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთიდან 3 ქვესტანდარტში პროგრამამ აჩვენა შესაბამისობა მოთხოვნებთან, ხოლო 2-ში - მეტწილად შესაბამისობა.

სტანდარტი 2

კლასტერში დაჯგუფებული რვავე პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ოთხი კომპონენტიდან მხოლოდ 1 (2.4) შეფასდა ყველა პროგრამის შემთხვევაში მეტწილად შესაბამისად.

სტანდარტი 3

კლასტერში დაჯგუფებული რვავე პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ორივე კომპონენტი შეფასდა შეფასდა როგორც შესაბამისი დათქმულ მოთხოვნებთან.

სტანდარტი 4

კლასტერში დაჯგუფებული რვავე პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. ხუთივე კომპონენტი შეფასდა შეფასდა როგორც შესაბამისი დათქმულ მოთხოვნებთან.

სტანდარტი 5

კლასტერში დაჯგუფებული რვავე პროგრამა შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. სამივე კომპონენტი შეფასდა როგორც შესაბამისი დათქმულ მოთხოვნებთან.

3. რეკომენდაციები

კლასტერული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების გადახედვა. მნიშვნელოვანია კრიტიკულად იყოს გააზრებული და დალაგებული თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტი, ასევე, სამიზნე ნიშნული. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამაში გაიწეროს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია (კომპონენტი 1.3).
- რეკომენდებულია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი და ზოგადად, პროგრამაში ჩართული პირები საფუძვლიანად იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, გეგმას. საჭიროა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და მსჯელობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურების შესახებ (კომპონენტი 1.3).
- სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგის შეფასების გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია გათვალისწინებული იყოს სამაგისტრო თემაზე მუშაობის მთლიანი ციკლი და არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (კომპონენტი 1.3).
- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსის, სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინების შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია; ასევე, რეკომენდებულია სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის განსაზღვრა. (კომპონენტი 2.4)
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და კვლევითი უნარ-ჩვევების შეფასებაზე მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე ნაშრომის სხვა ტექნიკურ მხარეებზე. (კომპონენტი 2.4)
- მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება პროგრამით დაინტერესებულ გარეაქტორებთან კვლევას წარმართავდა არამარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რათა ნათლად წარმოჩინდეს პროგრამის შედეგების კრიტიკული შეფასება (რეკომენდაცია 5.2).

პროგრამული რეკომენდაციები

კომპონენტი 1.4

- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს ლინგვისტური მიმართულება (შესაძლოა ენის დაუფლების კომპონენტების შემცირების ხარჯზე), რაც უზრუნველყოფს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებების ოპტიმალურ თანაშეწონილობას.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ითვალისწინებს ფრანგული ტექსტის/მაგალითების დამუშავება, ანალიზს, წინაპირობად განესაზღვროს შესაბამისი დონის ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი, იმისთვის რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგები იყოს რეალისტური.
- რეკომენდებულია, „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსს „პრაგმატიკა“ შეექმნას წინარე ცოდნა სასწავლო კურსის „სემანტიკა“ შეთავაზების საფუძველზე.

- **რეკომენდებულია**, „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსი „პოლიტოლინგვისტიკა“ დაჯგუფდეს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევით კურსებთან და გადაინაცვლოს შემდგომ სემესტრში.
- **რეკომენდებულია**, „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი - საკურსო ნაშრომი ტრანსფორმირდეს სრულიად სასწავლო კომპონენტის სახით, სადაც მაგისტრანტი დაეუფლება სამაგისტრო ნაშრომის დიზაინის აგების პრინციპებს, ან სრულად ამოღებულ იქნას სასწავლო გეგმიდან და ჩანაცვლდეს მაგისტრატურის საფეხურისთვის მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსით.
- რუსული ენისა და ლიტერატურის პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული, თუმცა, სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სწავლება ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში, ან რომელიმე არსებული კურსის გაძლიერებით.

კომპონენტი 1.5

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ცოდნა/გაცნობიერების, უნარების და ავონომიურობის შედეგების სწორად განსაზღვრის მიზნით.
- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შესაძლებელია საჭირო გახდეს შეფასების კომპონენტების დახვეწა რათა უფრო ნათლად ჩანდეს სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობა.
- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა და თანხვედრაში მოვიდეს ლიტერატურის კვირეულ განაწილებასთან. გარკვეულ შემთხვევებში რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის შეცვლა.
- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია მოდიფიცირდეს სასწავლო კურსის „გერმანული ენა 8“ შინაარსი, ამოღებულ იქნას თეორიული კურსის „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ ცალკეული თემები, რათა წინამდებარე სასწავლო კურსი არ მოვიდეს მეორე კურსის თემატურ გადაფარვაში.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგი 2 და ამ შედეგზე გამსვლელი კონკრეტული სასწავლო კურსების მიზნები, შედეგები და თემატური მასალა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით, რეკომენდებულია, ერთმანეთთან უფრო მეტად შესაბამისობაშია მოვიდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის შედეგი და შეფასების კრიტერიუმები.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის შედეგებშიც უფრო მეტად გამოიკვეთოს ავტონომიურობის შედეგები.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგებშიც, ენის ფლობისა დარგობრივი მახასიათებლისა და კვალიფიკაციის მე-6 დონის აღმწერის შესაბამისად, გამოიკვეთოს „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად“.
- გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია კვლევის მეთოდების მითითება საკვალიფიკაციო ნაშრომში, რაც ხელს შეუწყობდა შერჩეული საკვლევი კორპუსის გამოყენების დასაბუთებას და დასკვნის ტრანსპარენტულობას.
- გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და მათი განსაზღვრა მოხდეს სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ფრანგულ ლიტერატურის მიმართულებით სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, სწავლის სფეროს ამსახველი და სწავების საფეხურის შესაბამისი

თანამედროვე ფრანგულენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას და კურსის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას.

კომპონენტი 2.4

- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რეკომენდებულია შეფასების რუბრიკები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის მიზნებთან და შედეგებთან;

4. რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერული საერთო რჩევა

- სასურველია პროგრამების ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გაუზიაროს სხვა პროგრამების პერსონალს გამოცდილება პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისა და შეფასების მიდგომების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ თუ რომელიმე პროგრამას (ამჯერად ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამას) ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა ამა თუ იმ უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილებით/ექსპერტით. ბუნებრივია, იგულისხმება შედეგებსა და მათ შეფასებაზე ტექნიკური მუშაობა და გათვალისწინებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკა. (კომპონენტი 1.3)
- სასურველია ბიუჯეტის შემუშავებისა და გამოთვლის პროცესში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ჰიპოთეტური მონაცემები განისაზღვროს რეალურს ვითარებასთან მეტად მიახლოებით, რათა განისაზღვროს ფინანსური რეალური ფოკუსი და შესაბამისად რისკის დამზღვევი ღონისძიებები. (კომპონენტი 4.5)
- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კლასტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს. (კომპონენტი 5.3)

პროგრამული რჩევები

კომპონენტი 1.1.

- რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია მესამე მიზნის ფორმულირების დაზუსტება: ნაცვლად „ჩამოყალიბოს რუსული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების კვლევის, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენების ანალიზის, რუსულენოვანი მხატვრული და დარგობრივი ტექსტების თარგმნისა და ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი“ – „გაალრმავოს“, ვინაიდან ჩამოთვლილი უნარების ძირითადი ნაწილი ყალიბდება „რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის დონეზე.

კომპონენტი 1.2

- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტისთვის მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია, სწავლის შედეგი 4-ს ფორმულირება დაზუსტდეს ენობრივი ნიშნით.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სწავლის შედეგი 4-ში დაკონკრეტდეს საუბარია საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს C1 თუ C2 დონეზე.

კომპონენტი 1.4

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია მეორე უცხოური ენა მესამე და მეოთხე სემესტრებში რამდენიმე დონით იყოს შეთავაზებული სტუდენტებისთვის.

- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტი „საკურსო ნაშრომი“ შეთავაზებულ იქნას საბაკალავრო ნაშრომის სახით, გამომდინარე ზემოხსენებული სასწავლო კომპონენტის შინაარსიდან
- გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ენის დაუფლების სასწავლო კურსისთვის.
- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, სადაც 1.4 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“, ხოლო 1.8 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C 2)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“.
- მიზანშეწონილია გასწორდეს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობა და „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“-ი მითითებულ იქნას „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“-ის წინაპირობად.
- გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“, და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად).
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით სასურველია არჩევითი საგნის სტატუსით სტუდენტს მიეცეს ფრანგულენოვანი კურსების არჩევის შესაძლებლობა.
- რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“, და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად).

კომპონენტი 1.5

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსების სფეროში/კომპლექსურობის სათანადო ასახვა და შედეგების სწორად შეფასება. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია გარკვეული შედეგების გაერთიანება ან ამოღება.
- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სასწავლო კურსების „წერთი და ზეპირი მეტყველების კულტურა 1, 2, 3, 4“ სათაური და შინაარსი მოვიდეს თავსებადობაში.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია, ფრანგული ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა გამრავალფეროვნდეს თანამედროვე ლიტერატურით.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია, არჩევითი სასწავლო კურსის - ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია - სახელწოდება, მიზნები, შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია შედარებით მაღალ სემესტრზე გათვლილ სასწავლო კურსებში, როდესაც სტუდენტს აქვს უკვე საკმარისი ფრანგული ენის ცოდნა, სასწავლო კურსები გამდიდრდეს ფრანგულენოვანი ლიტერატურით, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლა/გამოყენებას, დარგთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე ფრანგულ ენაზე მსჯელობას, ხოლო მეორე მხრივ სტუდენტი გაეცნობა სვერის თანამედროვე მიღწევებს.
- რუსული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია ცალკეულ სილაბუსებში დაიხვეწოს საგნის სწავლების მიზნები და განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

- გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ვინაიდან პროგრამა ქართულენოვანია და შესაბამისად, საკვალიფიკაციო ნაშრომი იწერება ქართულ ენაზე, სასურველია სასწავლო კურსი „სამეცნიერო ენა“, იკითხებოდეს ქართულად.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთ სასწავლო კურსში გადაიხედოს სტუდენტის კვირეული დატვირთვა და მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის გონივრული გადანაწილება კვირების მიხედვით.
- რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სათაური არ იმეორებდეს საბაკალავრო პროგრამის საგნის სათაურებს, როგორც ამას აქვს ადგილი პრაქტიკული კურსების შემთხვევაში (რუსული ენა 1, რუსული ენა 2).

კომპონენტი 2.1

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ჩანაწერი შეიცვალოს და წაიშალოს დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც დაწესებულია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისას თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში. საუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისად, დამატებითი კრიტერიუმები პროგრამაზე მოსვლის შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

კომპონენტი 5.1

- სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის გრაფიკული და მატრიცული მონაცემებს თან დაერთოს ანალიზური განმარტებები დასკვნის სახით, რათა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა თანმიმდევრულად გაითვალისწინონ ყველა ის მოთხოვნა, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმებს;
- სასურველია კვლევის შედეგების პირველადი ინტერპრეტაცია განხორციელდეს ინსტიტუციურად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულად გააზრებისა და ჰოლისტურად პროგრამების კონცეპტუალური განვითარების მიზნით;
- სასურველია გაფართოვდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წრე, რომელიც ხარისხის ინსტიტუციური კულტურის გაღრმავების მიზნით მუდმივად ჩართული იქნება საგანმანათლებლო სიხლეების გაცნობისა და შესწავლის პროცესში;
- სასურველია აკრედიტაციის დასრულების შემდგომ გაანალიზდეს გარე შეფასების შედეგები, გადაიხედოს და მომზადდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საუნივერსიტეტოს პროცედურები კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად.

5. საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

6. ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

კლასტერული რეკომენდაცია 1

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი. მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დახვეწა. ბუნებრივია, ცოდნა/გაცნობიერების შედეგი შეფასდება შესაბამისი ცოდნის განმსაზღვრელი აქტივობებით, თუმცა ვერ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ისეთი კომპონენტები როგორცაა პრაქტიკული საკითხის ანალიზი ავითარებს მხოლოდ უნარს არა ცოდნას კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში. ამასთანავე, ნიშნულების განსაზღვრასთან დაკავშირებით ვიზიტის დროს ექსპერტებმა დასვეს კითხვა, რაზეც ვერ მიიღეს კონკრეტული პასუხი. ვიზიტის დროს,

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკადემიური პერსონალი დაეთანხმა ექსპერტებს რომ სასარგებლოა შედეგების შეფასების კრიტიკული გადახედვა.

კლასტერული რეკომენდაცია 2

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი, ვინაიდან გასაზრების დროს, თვითშეფასების ჯგუფმა ვერ იმსჯელა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებზე.

კლასტერული რეკომენდაცია 3

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი, ვინაიდან საუბარია კონკრეტულად პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებაზე. მაგალითად, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, პროგრამის სწავლის შედეგი 7 „გამოკვეთს საკუთარი კვლევის მიმართულებებს; დამოუკიდებლად გეგმავს სწავლის პროცესსა და სტრატეგიებს“ ფასდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვით. ცალკე არის მსჯელობა მოცემული დასკვნაში სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის შეფასების კომპონენტების შესახებ (იხილეთ დასკვნა გვ. 93).

კლასტერული რეკომენდაცია 4

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტების მოსაზრებას.

კლასტერული რეკომენდაცია 5

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი, დაწესებულებას არ აქვს გამოთქმული მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კლასტერული რეკომენდაცია 6

ექსპერტთა მოსაზრებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი, დასკვნაში განხილული არგუმენტაციის გათვალისწინებით.

პროგრამული რეკომენდაციები

კომპონენტი 1.4-ზე გაცემულია 6 პროგრამული რეკომენდაცია. აქედან 4 (რეკომენდაცია 3, 4, 5, 6) გაზიარებულია დაწესებულების მიერ.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, ინსტიტუციის პასუხის გათვალისწინებით, ვინაიდან ადგილი აქვს ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრების სხვაგვარად ინტერპრეტირებას, ვაკონკრეტებთ რეკომენდაციას, კერძოდ: ლინგვისტური კომპეტენციის მისაღებად, გერმანული ლინგვისტური ტრადიციებიდან გამომდინარე, რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდეს კონკრეტულ სასწავლო კურსებს, რაც პრინციპში წარმოდგენილია „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმით, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსების ჩამონათვალში: 1.1 „შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში“, 1.16 „გერმანული ენის თეორიული გრამატიკა“, 1.20 „ლექსიკოლოგია“, 1.24 „გერმანული ენის ისტორია“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში“, სწავლის შედეგებიდან გამომდინარე (აღწერს გერმანული ფილოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის, ზოგად თავისებურებებს და განსაზღვრავს მის საგანსა და პრობლემატიკას; განიხილავს გერმანული ლიტერატურის განვითარების თავისებურებებს და აკავშირებს მას საერთო ევროპული ლიტერატურის სპეციფიკასთან; გამოკვეთს ენობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების ზოგად თავისებურებებს; ანალიზებს გერმანული ლიტერატურის პერიოდიზაციის პრინციპებს და ცალკეული პერიოდის გერმანული ლიტერატურის სპეციფიკას; მსჯელობს გერმანული ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე პროფესიული ტერმინების გამოყენებით, განაზოგადებს თეორიულ მასალას და აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს; აფასებს მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას) თანაბარწილად უზრუნველყოფს როგორც ლინგვისტური, ასევე ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებით საბაზისო ცოდნის შექმნას, შესაბამისად ვერბ მივაკუთვნებთ მხოლოდ ლინგვისტური კომპეტენციის განმავითარებელ სასწავლო კურსთა ჩამონათვალს. რაც შეეხება ინსტიტუციის პასუხში მითითებულ სასწავლო კურსებს - 3.4 „შესავალი გერმანული ენის ფონეტიკასა და ფონოლოგიაში“, 6.1 „კომუნიკაციური გრამატიკა“, 7.2

„შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“, 8.2 „ფუნქციონალური გრამატიკა“, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალში, შეწყვილებულია უპირატესად ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებისა და მეორე უცხო ენის სასწავლო კურსებთან, შესაბამისად სტუდენტის არჩევანი თავისუფალია და წინასწარ შეუძლებელია განსაზღვრა, შეაჩერებს თუ არა სტუდენტი ამ კონკრეტულ სასწავლო კურსებზე არჩევანს. ამრიგად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით ლინგვისტური ენის ბლოკი წარმოდგენილია სასწავლო კურსებით 1.16 „გერმანული ენის თეორიული გრამატიკა“, 1.20 „ლექსიკოლოგია“, 1.24 „გერმანული ენის ისტორია“ (სულ 10 კრედიტი) და ნაწილობრივ 1.1 „შესავალით გერმანულ ფილოლოგიაში“ (5 კრედიტი). აქვე უნდა აღნიშნოს, რომ გერმანული ლინგვისტური ტრადიციით, ვნაიდან კომუნიკაცია ხორციელდება არა ლექსიკური ერთეულებითა და განყენებული გრამატიკული ფორმებით, არამედ ტექსტებით, მიზანშეწონილია ლინგვისტური ხაზის განვითარება დასრულდეს სასწავლო კურსით „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“, რაც ამავდროულად შეაჯამებს ლინგვისტური კომპეტენციის განმავითარებელ სასწავლო კურსებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია სასწავლო კურსი „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ განისაზღვროს როგორც ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსი.

აღნიშნულ რეკომენდაციასთან კავშირში განვიხილავთ ასევე 1.5 კომპონენტის რეკომენდაცია 5-ს, რომელიც შეეხება სასწავლო კურსის „გერმანული ენა 8“ შინაარსის მოდიფიცირებას და „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ თეორიული კურსის ცალკეული თემების ამოღებას. კერძოდ, სასწავლო კურსის „გერმანული ენა 8“ შინაარსი პრაქტიკული მუშაობის ფარგლებში მოიცავს შემდეგ საკითხებს: 2. კვირა - Kohäsion, Kohärenz und Anaphern, 3. კვირა - Thema und Makrostrukturen, 6. კვირა - Text und Welt, 9. კვირა - Textsorten, 10 კვირა - Angewandte Textanalyse. პრაქტიკული კურსით ლინგვისტიკის ისეთი საკითხების დაფარვა, როგორცაა ტექსტის სახეობები, კოჰეზია, კოჰერენცი და სხვა, არ მიგვაჩნია დარგობრივად სწორ განვითარებად. შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსისთვის „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ სავალდებულო სტატუსის მინიჭებით (კომპონენტი 1.4, რეკომენდაცია1) უზრუნველყოფს სტუდენტისათვის საბაზისო თეორიული ცოდნის გადაცემასა და შესაბამისი კომპეტენციის განვითარებას ტექსტის ლინგვისტიკის მიმართულებით, ხოლო სასწავლო კურსი „გერმანული ენა 8“ ფოკუსირდება ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, სასწავლო კურსის მიზნების შესაბამისად: , გამოუმუშაოს გერმანული ენის B2.2 დონეზე საუბრის, წერის, მოსმენის, სხვადასხვა ჟანრის ტექსტებიდან საჭირო ინფორმაციის ამოკრების უნარ-ჩვევები; შეასწავლოს B2.2 დონის გრამატიკული და ლექსიკური სტრუქტურები, ასევე მასმედიის ენის თავისებურებები; განუვითაროს შესაბამისი დონის ტექსტების გაგება/გააზრების, შინაარსის გადმოცემის, ანალიზისა და შეფასების უნარი’.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია 2 ექსპერტთა მოსაზრებით რჩება უცვლელი. აქვე განვმარტავთ, რომ ცალკეული ფრანგულენოვანი ფრაგმენტების/ კონკრეტული მაგალითების/ ლიტერატურული ტექსტების ეპიზოდების განხილვა/ანალიზი თავისთავად გულისხმობს ფრანგული ენის ცოდნას გარკვეულ დონეზე, ამიტომ ისეთი სასწავლო კურსები როგორებიცაა *ფრანგული ენის ისტორია*, *ფრანგული ენის ლექსიკოლოგია*, *ფრანგული ენის თეორიული გრამატიკა*, *ფრანგულენოვანი მხატვრული ტექსტის ანალიზი*, *ფრანგული ენა და მულტიმედია*, *მეტყველების კულტურა*, *უახლოესი ფრანგული ლიტერატურა*, *თანამედროვე ფრანკოფონული ლიტერატურა*, *ფრანგული ტექსტების კითხვის ინტენსიური კურსი*, *ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია* - შინაარსიდან და მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან გამომდინარე უნდა ითვალისწინებდნენ კურსზე დაშვების წინაპირობას - ფრანგული ენის ცოდნას გარკვეულ დონეზე. სტუდენტის სტატუსის შეჩერების/აღდგენის/შიდა და გარე მობილობის/ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის/ წინა სემესტრის ფრანგული ენის პრაქტიკული კურსის ვერ დაძლევის შემთხვევაში შესაძლებელია სტუდენტი ვეღარ მიყვეს სემესტრების მიხედვით საგნების გამოცხადების რეკომენდებულ ბადეს და ფრანგული ენის წინარე ცოდნის გარეშე აღმოჩნდეს აღნიშნულ სასწავლო კურსებზე, რაც ექვეყნე დააყენებდა სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევის საკითხს.

კომპონენტი 1.5-ის ირგვლივ გაიცა 12 პროგრამული რეკომენდაცია. დაწესებულებულა სრულად ან ნაწილობრივ ეთანხმება 7 რეკომენდაციას (2, 3, 4, 5, 7, 10, 11, 12)

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება პირველ რეკომენდაციას. ექსპერტების აზრით, ასევე მისაღებია დაწესებულების მსჯელობა შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით. შესაბამისად მიგვაჩნია პირველი რეკომენდაცია გადავიდეს რჩევის ნაწილში, ვინაიდან დაწესებულებას აქვს ლოგიკური ხედვა შედეგების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, კურსის შინაარსის გათვალისწინებით. არგუმენტაციის ნაწილში, კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, ექსპერტებმა იმსჯელეს შედეგების ამოღებაზე ან მათ გაერთიანებაზე, რაც ვფიქრობ საყურადღებოა პროგრამის დახვეწის მიზნით.

გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, მე-5 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულება ფაქტობრივად ეთანხმება ექსპერტებს. აღნიშნული რეკომენდაციის დასაბუთება ასევე დაჯგუფებულია 1.4 კომპონენტთან მიმართებით, ვინაიდან იგივე სასწავლო კურსზე იყო საუბარი.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, მე-6 რეკომენდაციასთან მიმართებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი, აქვე განვმარტავთ, რომ რეკომენდაცია ეხება აღნიშნული სწავლის შედეგის მეორე ნაწილს „სტუდენტი განმარტავს ... დარგის ლიტერატურის განვითარების ტენდენციებს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის ჭრილში“, აღნიშნულ შედეგზე გასასვლელად ამ შედეგზე გამსვლელი 7 სასწავლო კურსიდან ერთი მაინც უნდა ითვალისწინებდეს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის გარკვეული საკითხების შესწავლა/შედარებას.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, მე-7 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულება ფაქტობრივად ეთანხმება ექსპერტებს.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, მე-8 რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით ავტონომიურობის შედეგის შეფასება შესაძლებელია იმ სასწავლო კურსებში, რომლებიც ითვალისწინებს პრეზენტაციის, ესეს შეფასებას. განმარტება იხ. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გვ.66. სასურველია შესაბამისი შედეგი გამოიკვეთეს სასწავლო კურსის და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგშიც.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, მე-9 რეკომენდაციასთან მიმართებით რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, მე-12 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულება ფაქტობრივად ეთანხმება ექსპერტებს.

კომპონენტი 2.4-ის ირგვლივ გაცემულია 1 რეკომენდაცია, რაზეც დაწესებულებას არ აქვს გამოთქმული მოსაზრება.

7. ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე,

2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტი/კომპონენტი	შეფასების მიდგომები
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტების შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	

შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო საგანმანათლებლო და სამაგისტრო პროგრამების მიზნები ძირითადად ნათლად არის ჩამოყალიბებული. მხოლოდ რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში გამოიკვეთა ერთ-ერთი მიზნის რედაქტირების საჭიროება, რათა სათანადოდ ასახოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის შესაბამისი კომპეტენციების განვითარება.

საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მიღწევადია. თოთოეული პროგრამის მიზნების შესრულება უზრუნველყოფილია პროგრამის სათანადო შედეგებით, რომლებიც შინაარსობრივად სტუდენტებს შესძენს მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამის ცოდნას და უნარებს. საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის აღმწერის, კერძოდ კი, ენის დაუფლების სფეროს მოთხოვნების შესაბამისად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ასახავს სფეროს და საფეხურის შესაბამისი პრაქტიკული ცოდნის და უნარ-ჩვევების განვითარების შესაძლებლობას, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ცალსახად უზრუნველყოფს პრაქტიკული ენის კომპეტენციის გარღმავებას ან/და აქცენტირებას აკეთებს ლინგვისტიკის თუ ლიტერატურის მიმართულებით თეორიული ცოდნაზე და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებულია ყველა პროგრამის მიზანი შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას. გასაუბრების დროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაადასტურა პროგრამების სტრატეგიული მნიშვნელობა, შესაბამისად დამაჯერებლად იმსჯელეს უნივერსიტეტის მხრიდან განხორციელებულ ხელშეწყობის მექანიზმებზე. მაგალითად, პროგრამებში სტუდენტების მოზიდვის მიზნით, გამოყოფილია უფასო ადგილების რაოდენობა. პროგრამების მიერ განვითარებული ცოდნა და უნარები ხელს უწყობს

საზოგადოების განვითარებას, მათ შორის, ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მექანიზმებში მონაწილეობის გზითაც.

გასაუბრების დროს, დამსაქმებლები ადასტურებდნენ, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ავითარებენ კონკრეტულ უნარებს, რაც მნიშვნელოვანია შრომის ბაზარზე სტუდენტების კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად. საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებული ფლობენ უცხოურ ენაში მაღალ კომპეტენციას, რაც გამომარჩევთ მათ დასაქმების ადგილზე. დამსაქმებლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია კომუნიკაციის და კვლევის უნარები, რასაც წარმოადგენილი პროგრამების მიზნები ნამდვილად ეხმიანება.

პროგრამის მიზნები მეტწილად გაზიარებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები საჯაროა. პროგრამის დოკუმენტები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე <https://www.atstu.edu.ge/ge/faculty/1-humanitarul-metsnierebata-pakulteti>. შესაბამისად, განახლებული ვერსიაც, აკრედიტაციის შემთხვევაში, აიტვირთება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)⁶

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს გამოუმუშაოს ენების ფლობის ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით B2 დონის კომპეტენცია ინგლისურ ენაში (რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილია პროგრამის 5 შედეგით და 13 ძირითადი, პრაქტიკული სასწავლო კურსით), აღჭურვოს ისინი ლინგვისტური თეორიების ფართო ცოდნით (უზრუნველყოფილია პროგრამის 5 შედეგით და 7 ძირითადი სასწავლო კურსით), შეასწავლოს ინგლისური ლიტერატურის განვითარების პერიოდები და ძირითადი მიმდინარეობები (უზრუნველყოფილია პროგრამის 4 შედეგით და 8 ძირითადი, სასწავლო კურსით), გამოუმუშაოს ანალიტიკური აზროვნება და ლოგიკური მსჯელობის უნარი (უზრუნველყოფილია პროგრამის 4 შედეგით და თითქმის ყველა (სულ 30) ძირითადი სასწავლო კურსით, მათი შინაარსის თუ შეფასების კომპონენტების გათვალისწინებით) და ჩამოუყალიბოს თანამედროვე ინგლისურ ენოვანი სამყაროს მახასიათებლების ცოდნა (უზრუნველყოფილია პროგრამის 9 შედეგით და თითქმის ყველა ძირითადი სასწავლო კურსით).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის მიზნები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის აღმწერის მიხედვით, კერძოდ კი, ენის დაუფლების სფეროს მოთხოვნების შესაბამისად. სტუდენტებისათვის შეთავაზებული პროგრამა წარმოადგენს პრაქტიკული, თეორიული (ლინგვისტიკის მიმართულებით) და

⁶ აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

ლიტერატურის სასწავლო კურსების კარგ სინთეზს. პროგრამის მიზნები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც გამოიკვეთა დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგადაც. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ სჭირდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევების და ფართო თეორიული ცოდნის მქონე სტუდენტები, რომელთაც ასევე აქვთ უნარი მარტივად მოახდინონ ადაპტირება სამუშაო გარემოში და დაამყარონ კომუნიკაცია სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან. აღნიშნულ მოთხოვნას პირდაპირ ეხმიანება ინგლისური ენისა და ლიტერატურის ბაკალავრიატის ხუთივე მიზანი.

პროგრამის მიზნები ეხმიანება ზოგადად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რაც ასევე დასტურდება პროგრამაზე ჩარიცხვის მაღალი მოთხოვნით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების ჩართვას, რაც უნივერსიტეტის მუდმივი სტრატეგიული მიზანია.

პროგრამის დოკუმენტი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე <https://www.atsu.edu/ge/ge/faculty/1-humanitarul-metsnierebata-pakulteti>. შესაბამისად, განახლებული ვერსიაც, აკრედიტაციის შემთხვევაში აიტვირთება შესაბამის ვებგვერდზე.

პროგრამის მიზნები ძირითადად გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლები გამოირჩეოდნენ პროგრამის მიზნებისადმი ინტერესით და მათ ჰქონდათ ინფორმაცია მიზნების შესახებ. ასევე, შედარებით ინფორმირებული არიან სტუდენტები პროგრამის მიზნების შესახებ. თუმცა, სასურველია პროგრამის თვით-შეფასების ჯგუფი უფრო მეტად იყოს ინფორმირებული პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართების შესახებ. გასაუბრების დროს მათ გაუჭირდათ საუბარი პროგრამის საერთო მიზნებზე, ასევე, პროგრამის შედეგების კავშირზე მიზნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

კლასტერში დაჯგუფებული „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა შეძენა/გამომუშავებასაც შეძლებს კურსდამთავრებული. დასახული მიზანი - „დარგის თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი გერმანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის „საერთო ევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ პარამეტრების შესაბამისად B.2 დონეზე“, რეალისტური და მიღწევადია, ვინაიდან სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. კერძოდ, სასპეციალიზაციო ენის ბლოკი, რომელიც 8 სასწავლო კურსისგან შედგება - გერმანული ენა 1-8 (სულ 42 კრედიტი) 8 სემესტრის განმავლობაში თანმიმდევრულად აწვდის სტუდენტს დონეების შესაბამის ცოდნასა და გამოუმუშავებს საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებს A1.1-დან B2.2 დონემდე. ლიტერატურის მიმართულებით ფართო ცოდნის გადაცემის, ტექსტის ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარების შეძენა-განვითარების უზრუნველსაყოფად, სასწავლო გეგმა ითვალისწინებს ეპოქების შესაბამისად, ქრონოლოგიურად დალაგებულ დარგობრივი ლიტერატურის ისტორიას შუა საუკუნეებიდან ვიდრე უახლესი პერიოდის გერმანულენოვან ლიტერატურამდე (სულ 6 სასწავლო კურსი), საერთო მოცულობით 28 კრედიტი. „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს, ერთი მხრივ, თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს (როგორცაა, მაგ.: რელევანტური მასალის დამოუკიდებლად მოძიებისა და ანალიზის,

კულტურათაშორისი კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის უნარი), მეორე მხრივ, სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან; ასევე სრულად პასუხობს ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით აღწერილ სფეროს მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და დარგის განვითარების თავისებურებებს.

როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის მიზნებს იცნობენ და სრულად იზიარებენ „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პირები და მოწვეული ლექტორები. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას დაინტერესებულ პირთათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს გამოუმუშავოს ენების ფლობის ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით B2 დონის კომპეტენცია ფრანგულ ენაში, მისცეს ფართო ცოდნა ლინგვისტური თეორიებისა და ფრანგული ენის ენობრივი სისტემის შესახებ (მიღწევა უზრუნველყოფილია 4 შედეგით და 6 ძირითადი სასწავლო კურსით), განუვითაროს ფრანგული ენის ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკულ-სტრუქტურული ენობრივი ფორმების კონტექსტის შესაბამისად გამოყენების, ეფექტური ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის წარმართვის უნარი. (მიღწევა უზრუნველყოფილი 2 შედეგით და 11 ძირითადი სასწავლო კურსით); შეასწავლოს ფრანგული ლიტერატურული მიმდინარეობების სოციალურ-პოლიტიკური, ფილოსოფიურ-ესთეტიკური საფუძვლები, სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურის განვითარების ძირითადი ეტაპები და ტენდენციები (მიღწევა უზრუნველყოფილი 5 შედეგით და 7 ძირითადი სასწავლო კურსით); ჩამოუყალიბოს ფრანგული ლიტერატურის განსხვავებული ჟანრების წარმომადგენელთა შემოქმედების თავისებურებების, თემატიკისა და პრობლემატიკის განხილვის უნარი (მიღწევა უზრუნველყოფილი 4 შედეგით და 8 ძირითადი სასწავლო კურსით); გამოუმუშაოს პროფესიული ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვისა და მულტიკულტურულ გარემოში კულტურათაშორისი დიალოგის წარმართვის უნარი (მიღწევა უზრუნველყოფილი 4 შედეგით და 5 ძირითადი სასწავლო კურსით).

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ჩამოყალიბებულია დეტალური სფეროს აღმწერის, კვალიფიკაციის მე-6 დონის და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს არა მარტო ფრანგული ენის პრაქტიკული, თეორიული და ფრანგულენოვანი ლიტერატურის სასწავლო კურსების სინთეზს, არამედ ემსახურება პრაქტიკული უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას, რაც ამავედროულად, ეხმიანება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. აღნიშნული გამოიკვეთა დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგადაც, მაგალითად, მოთხოვნა გაზრდილია ისეთ კურსდამთავრებულებზე, რომელთაც პროფესიული ცოდნის მიღმა აქვთ აზრის თავისუფლად გამოხატვის ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის უნარები.

პროგრამის მიზნები ეხმიანება ზოგადად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას და ემსახურება რა მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებას ფრანგულ ენასა

და ლიტერატურაში, ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდას; პროგრამა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რაც ასევე გამოიხატება პროგრამაზე უფასო ადგილების გამოცხადების ხელშეწყობით და ინტერნაციონალიზაციის პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების მუდმივი ჩართულობით.

არნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე <https://www.atsu.edu/ge/ge/faculty/1-humanitarul-metsnierebata-pakulteti>. შესაბამისად, განახლებული ვერსიაც, აკრედიტაციის შემთხვევაში აიტვირთება შესაბამის გვერდზე.

პროგრამის მიზნები ძირითადად გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგადაც. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით დამსაქმებლები გამოირჩეოდნენ პროგრამის მიზნებისადმი ინტერესითა და ჩართულობით. თუმცა, პროგრამის საერთო მიზნებზე და მიზან-შედეგების კავშირზე შედარებით ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულები გასაუბრებაზე წარმოდგენილი თვითშეფასების ჯგუფის ზოგიერთი წევრი. სასურველია მათი უფრო მეტად ინფორმირება აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მიმართულებებით. პროგრამაში მოცემული ხუთი მიზნიდან პირველი ორი ისახავს მიზნად ფართო ფილოლოგიური ცოდნის საფუძველზე რუსული ენობრივი სისტემისა და რუსული ლიტერატურის თავისებურების ათვისებას, ორი მიზანი ისახავს ტრანსფერული და სპეციალური უნარების ჩამოყალიბებას, და მეხუთე მიზანი - პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების განვითარებას.

პროგრამის წარმოდგენილ რუკაში მოცემულია მიზნებისა და შედეგების შესაბამისობა, კერძოდ, პირველ მიზანს შეესაბამება ერთი თეორიული (რუსული ენობრივი სისტემის ფართო ცოდნა) და ორი პრაქტიკული შედეგი (კომუნიკაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარის ჩამოყალიბება). მეორე მიზანს შეესაბამება ერთი თეორიული (რუსული ლიტერატურის ფართო ცოდნა) და სამი პრაქტიკული შედეგი (ანალიზის, არგუმენტირებული მსჯელობისა და დისკუსიაში მონაწილეობის უნარის ჩამოყალიბება), მესამე მიზანს შეესაბამება ერთი თეორიულ ცოდნაზე ორიენტირებული შედეგი და ორი პრაქტიკული უნარის განვითარება, მეოთხეე მიზანს - ერთი თეორიულ ცოდნაზე ორიენტირებული შედეგი და ოთხი პრაქტიკული უნარის განვითარება. პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების უნარის განვითარებას (პროგრამის მეხუთე მიზანი) შეესაბამება მეშვიდე და მერვე შედეგი.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებებს. პროგრამის მიზნები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის და ენის დაუფლების სფეროს მოთხოვნების შესაბამისად. კარგად არის დაბალანსებული თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების შესაბამისობა. მკაფიოდ ჩამოყალიბებული მიზნები კარგად ასახავს რა ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა, კერძოდ, ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით B2 დონის კომპეტენციის მიღწევას რუსულ ენაში, ეფექტური ზეპირი და წერილი კომუნიკაციის უნარის განვითარებას.

პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საქართველოს ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს. ამის დასტურია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუს დროს დამსაქმებლების მაღალი აქტიურობა და დამაჯერებელი არგუმენტაცია იმისა ადგილობრივი ბაზრის რა სფეროებში არის მოთხოვნა ასეთ სპეციალისტებზე.

ინტერვიუმ აგრეთვე ცხადყო, რომ პროგრამის მიზნებს იცნობენ და სრულად იზიარებენ „რუსული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პირები და მოწვეული ლექტორ-მასწავლებლები. პროგრამის მიზნები ხელმისაწვდომია ყველა დინტერესებული პირისთვის და განლაგებულია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს მისცეს ღმა და სისტემური ცოდნა ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით (მიღწევა უზრუნველყოფილია სამაგისტრო პროგრამის 4 შედეგით და 10 სასწავლო კურსით), უვითარებს ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, კონსტრუქციული და დასაბუთებული დასკვნების გამოტანის უნარს დამოუკიდებელი კვლევის გზით (მიღწევა უზრუნველყოფილია სამაგისტრო პროგრამის 5 შედეგით და 14 სასწავლო კურსით), დახვეწოს სტუდენტთა ინგლისური ენის ფლობის კომპეტენციები დარგობრივი ლიტერატურის ირგვლივ არგუმენტირებული მოსაზრებების ჩამოყალიბების გზით (მიღწევა უზრუნველყოფილია სამაგისტრო პროგრამის 4 შედეგით და 14 სასწავლო კურსით) და განუმტკიცებს მათ სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევებს (მიღწევა უზრუნველყოფილია სამაგისტრო პროგრამის 6 შედეგით და 14 ძირითადი სასწავლო კურსით).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის მიზნები შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონის და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის აღმწერის მიხედვით, კერძოდ კი, ენის დაუფლების სფეროს მოთხოვნების შესაბამისად. ვინაიდან სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება საბაკალავრო პროგრამის დონეზე მიღებულ პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას, იგი ძირითადად ორიენტირებულია სტუდენტებს შესთავაზოს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის კუთხით თეორიული კურსები და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისთვის საჭირო სასწავლო საგნები. თეორიული და კვლევითი უნარების სინთეზი კი გამოვლენია სამაგისტრო პროგრამის შესრულების პროცესში. შესაბამისად, პროგრამის მიზნები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც გამოიკვეთა დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგადაც. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ სჭირდებათ კვლევითი უნარ-ჩვევების მქონე სტუდენტები, რომლებიც შეძლებენ ეს უნარები სამუშაო გარემოს მოარგონ. პროგრამის მიზნები ასევე შეესაბამება კურსდამთავრებულებისთვის განსაზღვრულ პოტენციური დასაქმების სფეროებს, სადაც ისინი შეძლებენ მიღებული თეორიული ცოდნისა და კვლევის უნარების გამოყენებას.

პროგრამის მიზნები ეხმიანება ზოგადად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას. პროგრამა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რაც ასევე დასტურდება პროგრამაზე ჩარიცხვის მზარდი მოთხოვნით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის პროცესში

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების ჩართვას, რაც უნივერსიტეტის მუდმივი სტრატეგიული მიზანია.

პროგრამის დოკუმენტი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე <https://www.atsu.edu.ge/faculty/1-humanitarul-metsnierebata-pakulteti>. შესაბამისად, განახლებული ვერსიაც, აკრედიტაციის შემთხვევაში აიტვირთება შესაბამის გვერდზე.

პროგრამის მიზნები ძირითადად გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. აღსანიშნავია, რომ დამსაქმებლები გამოირჩეოდნენ პროგრამის მიზნებისადმი ინტერესით და მათ ჰქონდათ ინფორმაცია მიზნების შესახებ. ასევე, შედარებით ინფორმირებული არიან სტუდენტები პროგრამის მიზნების შესახებ. თუმცა, სასურველია პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი უფრო მეტად იყოს ინფორმირებული პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთმიმართების შესახებ. გასაუბრების დროს მათ გაუჭირდათ საუბარი პროგრამის საერთო მიზნებზე, ასევე, პროგრამის შედეგების კავშირზე მიზნებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

კლასტერში დაჯგუფებული „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა შემენა/გამომუშავებაც შეძლებს კურსდამთავრებული. დასახული მიზანი, სტუდენტებს მისცეს ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა გერმანულ ფილოლოგიაში; შეასწავლოს დარგის კვლევის მეთოდები და ძირითადი მიმართულებები; გერმანული ენათმეცნიერების უახლესი თეორიები; გერმანული ენობრივი ვარიაციები და მათი სოციალური რელევანტურობა; ენობრივი დემოგრაფიისა და ლინგვისტური ეთნოგრაფიის საკითხები; პოლიტიკური ენის ფუნქციები და გერმანულენოვანი ქვეყნების თანამედროვე პოლიტიკური ლანდშაფტი; გერმანული დრამის, ლირიკის და რომანის ისტორიული პოეტიკა; ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობები, რეალისტური და მილწევადია, ვინაიდან სავალდებულო სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან. კერძოდ, დარგის კვლევის მეთოდები, გარდა იმისა, რომ ჩაშენებულია ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების ცალკეულ სასწავლო კურსებში, ამავდროულად ფოკუსირებულად ისწავლება „სამეცნიერო წერისა“ და „ლინგვისტური და ლიტმცოდნეობითი კვლევის მეთოდებისა და მიმართულებების“ კურსებით, 5 კრედიტის ფარგლებში. გერმანულენოვანი ლიტერატურის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნის გადაცემა, ჟანრობრივი თავისებურებების აქცენტირებითა და პოეტოლოგიური კატეგორიების სიღმისეული ანალიზით, ასევე ინტერპრეტაციისა და კვლევითი უნარების განვითარება მიიღწევა ლიტერატურის ბლოკის სასწავლო კურსებით: „გერმანული რომანის ისტორიული პოეტიკა“, „გერმანული დრამის ისტორიული პოეტიკა“, „გერმანული ლირიკის ისტორიული პოეტიკა“. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ძირითადი უცხო ენის, გერმანულის შესწავლა 2 სემესტრის განმავლობაში, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ენობრივი კომპეტენციის განვითარებას. „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ითვალისწინებს, ერთი მხრივ, თანამედროვე დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს (როგორცაა, მაგ.: არგუმენტირებული მსჯელობის, კრიტიკული აზროვნებისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარი, სოციალური პასუხისმგებლობის გააზრება), მეორე მხრივ, სრულ შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიასთან; ასევე სრულად პასუხობს ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით აღწერილ სფეროს მიმართ არსებულ მოთხოვნებსა და დარგის განვითარების თავისებურებებს.

როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პროგრამის მიზნებს იცნობენ და სრულად იზიარებენ „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პირები და მოწვეული ლექტორები. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას დაინტერესებულ პირთათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ფრანგული ენა და ლიტერატურა“ მიზანი ჩამოყალიბებულია დეტალური სფეროს აღმწერის, კვალიფიკაციის მე-7 დონის და ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების გათვალისწინებით და მიზნად ისახავს სტუდენტს მისცეს ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის ძირითადი მიმდინარეობების, ფრანგული ენის თანამედროვე თეორიების, ფრანგული ლიტერატურის ისტორიული პოეტიკის, თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ (მიღწევა უზრუნველყოფილია 5 შედეგით და 8 ძირითადი სასწავლო კურსით); განუვითაროს ენობრივი კომპეტენცია, რომელიც შესაბამისობაშია ევროკომისიის მიერ შემუშავებულ „საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ სკალირების C დონესთან (მიღწევა უზრუნველყოფილია 3 შედეგით და 3 ძირითადი სასწავლო კურსით); ჩამოყალიბოს ფრანგულენოვანი მხატვრული და დარგობრივი ტექსტების ანალიზისა და ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობის და კრიტიკული აზროვნების უნარი (მიღწევა უზრუნველყოფილია 7 შედეგით და 4 ძირითადი სასწავლო კურსით და სამაგისტრო ნაშრომით); გამოუმუშავოს აკადემიური პასუხისმგებლობის, ეთიკის პრინციპების აღიარებისა და დაცვის, მულტიკულტურულ სამყაროში ორიენტირების უნარი. (მიღწევა უზრუნველყოფილია 6 შედეგით, 4 ძირითადი სასწავლო კურსითა და სამაგისტრო ნაშრომით).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის დონეზე მიღებული პრაქტიკული და თეორიულ ცოდნის ერთგვარ გაგრძელებას და ორიენტირებულია როგორც პრაქტიკული ენის ცოდნის გაუმჯობესებაზე, ასევე კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით. შესაბამისად, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც გამოიკვეთა დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად. ისინი აღნიშნავენ, რომ მათ სჭირდებათ აღნიშნულ დარგში კვლევითი უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ეს უნარები სამუშაო გარემოს მოარგონ.

პროგრამის მიზნები ეხმიანება ზოგადად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი) მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას და ემსახურება რა მაღალი კომპეტენციის მქონე, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ფილოლოგის მომზადებას ფრანგულ ენასა და ლიტერატურის სპეციალობით, ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაზრდას; პროგრამა სტრატეგიულად მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისთვის, რაც ასევე გამოიხატება ინტერნაციონალიზაციის პროცესში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის და სტუდენტების მუდმივი ჩართულობით.

არნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე <https://www.atsu.edu.ge/ge/faculty/1-humanitarul-metsnierebata-pakulteti>. შესაბამისად, განახლებული ვერსიაც, აკრედიტაციის შემთხვევაში აიტვირთება შესაბამის გვერდზე.

პროგრამის მიზნები ძირითადად გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგადაც. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით დამსაქმებლები გამოირჩეოდნენ პროგრამის მიზნებისადმი ინტერესითა და ჩართულობით. თუმცა, პროგრამის საერთო მიზნებზე და მიზან-შედეგების კავშირზე შედარებით ნაკლებად იყვნენ ინფორმირებულები გასაუბრებაზე წარმოდგეილი თვითშეფასების ჯგუფის ზოგიერთი წევრი. სასურველია მათი უფრო მეტად ინფორმირება აღნიშნული საკითხის ირგვლივ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის მიმართულებებით. პროგრამა ისახავს მიზნად მისცეს სტუდენტებს ღრმა, საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა რუსული ენისა და ლიტერატურის ძირითადი მიმართულებების სფეროში; განუვითაროს C დონის შესაბამისი ენობრივი კომპეტენცია; ჩამოუყალიბოს ტრანსფერული და სპეციალური უნარები, გამოუმუშავოს აკადემიური პასუხისმგებლობისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის უნარი.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ასახავს რა ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა (ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს მიხედვით C1 დონის კომპეტენციის მიღწევა რუსულ ენაში). სწავლის სფეროსა და საფეხურის თავისებურებების გასათვალისწინებლად უპრიანია მესამე მიზნის ფორმულირების დაზუსტება: ნაცვლად „ჩამოუყალიბოს რუსული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების კვლევის, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენების ანალიზის, რუსულენოვანი მხატვრული და დარგობრივი ტექსტების თარგმნისა და ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი“ – „გააღრმავოს“, ვინაიდან ჩამოთვლილი უნარების ძირითადი ნაწილი ყალიბდება „რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის დონეზე.

სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საქართველოს ბაზრის ტენდენციებსა და საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- გასაუბრების შედეგები (თვით-შეფასების ჯგუფი, სტუდენტები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია)
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://www.atsu.edu.ge/ge/home>

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია მესამე მიზნის ფორმულირების დაზუსტება: ნაცვლად „ჩამოყალიბოს რუსული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების კვლევის, ენობრივი და ლიტერატურული მოვლენების ანალიზის, რუსულენოვანი მხატვრული და დარგობრივი ტექსტების თარგმნისა და ინტერპრეტაციის, არგუმენტირებული მსჯელობისა და კრიტიკული აზროვნების უნარი“ – „გააღრმავოს“, ვინაიდან ჩამოთვლილი უნარების ძირითადი ნაწილი ყალიბდება „რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის დონეზე.

შეფასება⁷

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პირველ რიგში, აღსანიშნავია რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს პროგრამების კლასტერში დაჯგუფების პრინციპი. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კლასტერული მიდგომა მართალია რთული და შრომატევადია, თუმცა ასევე ინფორაციულია, რადგან შესაძლებელი გახდა პროგრამებს შორის მსგავსების და თანხვედრის დანახვა, რაც გამოცდილების გაზიარების წინაპირობაც შეიძლება იყოს, კონკრეტული პროგრამის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით. ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

⁷ შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამების კლასტერში დაჯგუფება მოხდა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს და დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.

შესაბამისად, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფორმულირება შინაარსობრივად ძირითადად შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და აკმაყოფილებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს. პროგრამის სწავლის შედეგები ავითარებს სფეროს შესაბამის ცოდნას, უნარებს და სათანადო პასუხისმგებლობას/ავტონომიურობას. მხოლოდ ფრანგული ენის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში გამოიკვეთა პროგრამის სწავლის შედეგების მცირედი დაზუსტების აუცილებლობა (დეტალური მსჯელობა იხილეთ პროგრამის ანალიზის ნაწილში).

სწავლის საფეხურის გათვალისწინებით, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შედეგები ძირითადად ორიენტირებულია უცხოური ენის შესაბამისი კომპეტენციის განვითარებაზე, ლინგვისტიკის მიმართულებით საბაზისო თეორიული ცოდნის შეძენაზე, ლიტერატურის ისტორიის და განვითარების სპეციფიკის შესწავლაზე, ასევე საბაზისო კვლევითი უნარების გამომუშავებაზე. ეს უკანასკნელი, რიგ შემთხვევებში, უზრუნველყოფილია კონკრეტული სასწავლო კურსებით, სხვა შემთხვევებში კი - სასწავლო კურსებში სათანადო აქტივობების, ან შეფასების კომპონენტების ინტეგრირებით (დეტალური მსჯელობა იხილეთ პროგრამების მიხედვით). მეორეს მხრივ, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის გაღრმავებას და სამეცნიერო-კვლევითი უნარების საფუძვლიანად განვითარებას.

წარმოდგენილი კურიკულუმის რუკების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამების მიზნებთან. პროგრამების შედეგები რეალისტურად მიღწევადია თითოეული პროგრამის შინაარსის და სასწავლო კურსების დაბალანსებული მრავალფეროვნების გათვალისწინებით. პროგრამის შედეგები ძირითადად ფორმულირებულია იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მათი გაზომვა (პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის შესახებ მსჯელობა მოცემულია სტანდარტი 1.3-ის ქვეშ).

გასაუბრების პროცესში დასტურდება, რომ პროგრამის შედეგებზე მუშაობა თანამშრომლობითი პრინციპის გამოყენებით მიმდინარეობდა. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სტუდენტები და დასაქმებულები ასახელებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს და მსჯელობებს, რომლებიც მიმდინარეობდა პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების ირგვლივ. განსაკუთრებით ნიშანდობლივი იყო დამსაქმებლის ჩართულობა, მათი აშკარა დაინტერესება პროგრამებით. ისინი აღნიშნავენ, რომ პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს ბაზრის მოთხოვნებზე პასუხს. პროგრამები ავითარებენ კონკრეტულ ცოდნას და განსაკუთრებით, უნარებს, რაც მეტად ღირებულია მათთვის, როგორც პოტენციური დამსაქმებლებისთვის. კურსდამთავრებულებიც აღნიშნავენ, რომ პროგრამების შედეგად მიღებული ცოდნითა და განვითარებული უნარებით შეძლეს დასაქმება და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება. შესაბამისად, პროგრამის დოკუმენტებით განსაზღვრული დასაქმების სფეროებიც რელევანტურია.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ცხრა (9) სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელთაგან

სამი, თავისი შინაარსით ითვალისწინების ინგლისური ენის ფილოლოგიისთვის საჭირო ცოდნის განვითარებას, ოთხი - ორიენტირებულია კონკრეტული უნარების გამომუშავებაზე, ხოლო ორი შედეგი ავითარებს სტუდენტის პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ასევე შედგენილია დაწესებულების შიდა-საუნივერსიტეტო რეგულაციის შესაბამისად, კონკრეტულად კი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის თანახმად.

შინაარსობრივად, საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, რაც უზრუნველყოფილია მრაველფორმადი სასწავლო კურსებით პრაქტიკული, თეორიული, თუ ლიტერატურის მიმართულებით. პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს ინგლისური ენის სტრუქტურისა და კომპოზიციის შესწავლას. ასევე, ხელს უწყობს ბრიტანული და ამერიკული კულტურის, ლიტერატურის, ლინგვისტიკის და ფონეტიკის შესწავლას.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი და გაზომვადი. აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, რომლის ანალიზის საფუძველზე, ექსპერტები მიიჩნევენ რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დალაგებულია სასწავლო კურსების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების პრინციპის გათვალისწინებით. საბოლოო ჯამში, პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგებისა და პროგრამის საერთო მიზნების მიღწევას (პროგრამის შედეგებისა და მიზნების ურთიერთმიმართების შესახებ იხილეთ მსჯელობა სტანდარტი 1.1-ში).

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები გააზრებულად არის შემუშავებული პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობით. გასაუბრების პროცესში პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შედეგების შემუშავების მიზნით გუნდმა იხელმძღვანელა წინა პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილებით, არსებული რეგულაციებით, საქართველოს თუ უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილების შესწავლით. საქართველოს შემთხვევაში ძირითადად გათვალისწინებულია ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილება, ხოლო უცხოური უნივერსიტეტების შემთხვევაში გათვალისწინებულია დიდი ბრიტანეთის საგნობრივი მახასიათებლები ორი მიმართულებით (Subject Benchmark Statements in English and in Languages, Cultures and Societies). დადებით და საინტერესო პრაქტიკად უნდა გამოიყოს ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებაც. აღნიშნული ასევე დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ კი უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ან სნოუს (Department Chair and TESOL Faculty Member, California State University, Los Angeles, USA) გარე შეფასება, რომელიც ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრის დროს პროგრამის კურიკულუმსა და სწავლის შედეგებზე მუშაობას.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები ნამდვილად თანამშრომლობითი პრინციპით არის შემუშავებული. ძლიერ მხარედ უნდა გამოვიყოს დამსაქმებლების ჩართულობა. გასაუბრების დროს ისინი ასახელებდნენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც მიაწოდეს პროგრამის ხელმძღვანელს და რომლებიც, მათი აზრით, გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში და სასწავლო კურსებშიც. მაგალითებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ პროგრამის სწავლის შედეგებში კომუნიკაციის და ზოგადად, ტრანსფერული უნარების აქცენტირების საჭიროება, რაც დასახელდა დამსაქმებლების მხრიდან და აისახა პროგრამის დოკუმენტში.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსი შეესაბამება კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. აღნიშნული დასტურდება კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც, ისინი აღნიშნავენ რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მათ მიერ მიღებულ ცოდნას და უნარებს, რასაც წარმატებით იყენებენ სამუშაო ადგილებზე. ისინი ასევე ადასტურებენ სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას და სურვილს, საბაკალავრო დონეზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია 9 სწავლის შედეგით, მათ შორის: ცოდნა და გაცნობიერება (2 სწავლის შედეგი), უნარები (5 სწავლის შედეგი) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (2 სწავლის შედეგი). პროგრამით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგი ჩამოყალიბებულია რეალისტურად, არის მიღწევადი და გაზომვადი და ლოგიკურად გამომდინარეობს სწავლის მიზნებიდან, რაც დასტურდება სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკით. თითოეულ მიზანს შეესაბამება 3-3 სწავლის შედეგი, ხოლო მე-5 მიზანი - სტუდენტს „გამოუმუშაოს მულტიკულტურულ გარემოში საქმიანობის, პროფესიული ეთიკის დაცვისა და დიალოგის წარმართვის უნარი“, შესაბამისობაშია სწავლის 6 შედეგთან, კერძოდ, მე-2 (განსაზღვრავს გერმანულენოვანი ლიტერატურის განვითარების ტენდენციებსა და ინტერკულტურული ურთიერთობების კომპლექსურ საკითხებს); მე-3 („ახდენს B2 დონეზე ზეპირი და წერილობითი სახის კომუნიკაციას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)“), მე-4 („ახორციელებს გერმანულენოვანი სხვადასხვა სახის ტექსტის (მასმედია, მხატვრული ტექსტი, დარგობრივი ტექსტი) გაგებას, ინტერპრეტაციასა და პრეზენტაციას“), მე-7 („მოიძიებს რელევანტურ მასალებს ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ ბაზებში. ახდენს მათ იდენტიფიცირებას, მონაწილეობს დისკუსიებსა და დებატებში როგორც სპეციალისტ.ებთან, ასევე არასპეციალისტებთან“), მე-8 („ავლენს ტოლერანტულ მიდგომას მულტიკულტურულ გარემოში საქმიანობის პროცესში და აფასებს მრავალფეროვან კულტურულ მემკვიდრეობას“) და მე-9 („იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს და ამჟღავნებს გუნდური მუშაობისას თანამშრომლობით უნარს“) შედეგთან.

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის თითოეული შედეგი ასახულია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებში, რომელთა მიღწევის შეფასების მექანიზმები გაწერილია შესაბამისი სილაბუსებით. მაგალითად, სწავლის შედეგი 3, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „ახდენს B2 დონეზე ზეპირი და წერილობითი სახის კომუნიკაციას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი)“, ეტაპობრივად, 8 სემესტრის განმავლობაში მიიღწევა სასპეციალიაზაციო ენების ბლოკში შემავალი „გერმანული ენა 1-8“ სასწავლო კურსებით. აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევას ემსახურება ასევე „ზეპირი და წერილი მეტყველების კულტურა 1-4“.

ტრანსფერული უნარების განვითარებით პროგრამა პასუხობს თანამედროვე დამსაქმებლის მოლოდინებს, მიიღოს ენობრივი კომპეტენციით აღჭურვილი, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის უნარის მქონე კადრი და თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ენის დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან, ასევე სრულად ითვალისწინებს დეტალური სფეროს აღმწერით განსაზღვრულ მოთხოვნებს და თანხვედრაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. როგორც ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გასაუბრებამ ცხადყო, თითოეული მათგანი აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუებზე ასევე

გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში მეტ-ნაკლები ინტენსივობით თანამშრომლობა შედგა ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის მე-6 დონეს, დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ამასთან ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელსა და ითვალისწინებს ცხრა სწავლის შედეგის მიღწევას, რომელთაგან ორი, თავისი შინაარსით ითვალისწინებს ფრანგული ენის ფილოლოგიისთვის საჭირო ცოდნის განვითარებას, ხუთი - ორიენტირებულია კონკრეტული უნარების გამომუშავებაზე, ხოლო ორი შედეგი ავითარებს სტუდენტის პასუხისმგებლობას. ამგვარად, სწავლის შედეგები აღწერს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებსა და პასუხისმგებლობას და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რაც ასევე დასტურდება პროგრამის მიზან-შედეგების შესაბამისობის წარმოდგენილი რუკით.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია დაწესებულების შიდა-საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით, კონკრეტულად კი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციით და არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რაც დასტურდება წარმოდგენილი სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკით, სადაც სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დალაგებული სასწავლო კურსების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების პრინციპის გათვალისწინებით.

თუმცა, სასურველია პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის ფორმულირება უფრო მეტად დაზუსტდეს და გამოიკვეთოს შინაარსი, მაგალითად,

- **სწავლის შედეგი 4** - „ახორციელებს ეფექტურ ინტერაქციას მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებში სოციოკულტურული თავისებურებების გათვალისწინებით“; გამომდინარე იქიდან, რომ ფრანგულ ენაზე კომუნიკაციის წარმართვაზე ძირითადად ეს სწავლის შედეგია პასუხისმგებელი (რაც ასევე დასტურდება სასწავლო კურსისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკით), სტუდენტისთვის მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია, ფორმულირება დაზუსტდეს ენობრივი ნიშნით.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსი შეესაბამება შრომის ბაზრისა და კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. აღნიშნული დასტურდება დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც. კურსდამთავრებულები აღნიშნავენ რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მათ მიერ მიღებულ ცოდნას და უნარებს, რასაც წარმატებით იყენებენ სამუშაო ადგილებზე. ისინი ასევე ადასტურებენ საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნის საფუძველზე სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას და სურვილს.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობითი პრინციპით. ძლიერ მხარედ უნდა გამოვყოთ დამსაქმებლების ჩართულობა. გასაუბრების დროს ისინი ასახელებდნენ კონკრეტულ რეკომენდაციებს,

რომლებიც მიაწოდეს პროგრამის ხელმძღვანელს და რომლებიც, მათი აზრით, გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში და სასწავლო კურსებშიც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა ითვალისწინებს რვა სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელთაგან ორი ორიენტირებულია რუსული ფილოლოგიის ცოდნის განვითარებაზე, ოთხი ითვალისწინებს ტრანსფერული და კონკრეტული უნარების განვითარებას და ორი - აკადემიურ კეთილსინდისიერებას. საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის თანახმად.

“რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის შედეგები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმის რუკები. ინტერვიუში პროგრამის ხელმძღვანელმა გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ პროგრამის რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული წინა აკრედიტაციის რჩევები და ახალი კლასტერული აკრედიტაციის მოთხოვნები, აგრეთვე საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება.

პროგრამის ანალოგებში მითითებულია სამი უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ვილნიუსის უნივერსიტეტი. აგრეთვე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების დაბალანსების კარგი მაგალითი იყო წარმოდგენილი აზერბაიჯანის სლავური უნივერსიტეტის მოქმედ პროგრამაში. აგრეთვე ანალოგი პროგრამების ანალიზმა ხელი შეუწყო “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის სახელმძღვანელოების ბაზის დახვეწასა და გაფართოვებას.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია თანამშრომლობის პრინციპით, რაზეც მეტყველებს ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. განსაკუთრებულად ძლიერ მხარედ უნდა აღინიშნოს დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა და ბაზრის მოთხოვნის ფართო სფეროს დამაჯერებელი არგუმენტაცია. კერძოდ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუს დროს დამსაქმებლები ლოგიკურად ასაბუთებდნენ მათი რეგიონისთვის მნიშვნელოვან სფეროებს, სადაც რუსული ფილოლოგიის სპეციალისტები ესაჭიროებათ, მაგალითად: ტურისტულ სფეროში, ვინაიდან ტურისტების დიდი ნაწილი რუსულენოვანია; არქივში, ვინაიდან XIX და XX სს. მნიშვნელოვანი საბუთები რუსულ ენაზეა შექმნილი და სხვ.

“რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს შვიდი (7) სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელთაგან ორი (2), თავისი შინაარსით, ითვალისწინებს იგლისური ენის ფილოლოგიისთვის საჭირო ცოდნის განვითარებას, სამი (3) - ორიენტირებულია კონკრეტული უნარების გამომუშავებაზე, ხოლო ორი (2) შედეგი ავითარებს სტუდენტის პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ასევე შედგენილია დაწესებულების შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციის შესაბამისად, კონკრეტულად კი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის თანახმად.

შინაარსობრივად, სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, რაც უზრუნველყოფილია საფეხურისთვის შესაბამისი სასწავლო კურსების სტუდენტებისთვის შეთავაზებით. პროგრამის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას სამეცნიერო საქმიანობისთვის.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი და გაზომვადი. აკრედიტაციის ფარგლებში წარმოდგენილია კურიკულუმის რუკა, რომლის ანალიზის საფუძველზე, ექსპერტები მიიჩნევენ რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დალაგებულია სასწავლო კურსების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების პრინციპის გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები გააზრებულად არის შემუშავებული პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობით. გასაუბრების პროცესში მან აღნიშნა, რომ შედეგების შემუშავების მიზნით გუნდმა იხელმძღვანელა წინა პროგრამის განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილებით, არსებული რეგულაციებით. დადებით და საინტერესო პრაქტიკად უნდა გამოიყოს ასევე პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დახმარებაც. აღნიშნული ასევე დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ კი უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული ან სნოუს (Department Chair and TESOL Faculty Member, California State University, Los Angeles, USA) გარე შეფასება, რომელიც ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პერსონალთან შეხვედრის დროს პროგრამის კურიკულუმსა და სწავლის შედეგებზე მუშაობას.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსი შეესაბამება კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. აღნიშნული დასტურდება კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც, ისინი აღნიშნავენ რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მათ მიერ მიღებულ ცოდნას და უნარებს, რასაც წარმატებით იყენებენ სამუშაო ადგილებზე. ისინი ასევე ადასტურებენ სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას და სურვილს, სამაგისტრო დონეზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია სწავლის 9 შედეგი, მათ შორის: ცოდნა და გაცნობიერება (სწავლის 2 შედეგი), უნარები (სწავლის 6 შედეგი) და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა (სწავლის 1 შედეგი). პროგრამით განსაზღვრული თითოეული სწავლის შედეგი ლოგიკურად გამომდინარეობს სწავლის მიზნებიდან (სულ 4 მიზანი), ჩამოყალიბებულია რეალისტურად, არის მიღწევადი და გაზომვადი. სწავლის მიზნებსა და შედეგებს შორის ურთიერთმიმართებები დასტურდება სწავლის მიზნებისა და შედეგების რუკით. ასევე საგულისხმოა თანმიმდევრულობა და ლოგიკური ბმა „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურების პროგრამებს შორის, რომელიც ვითარდება მარტივიდან რთულისკენ, ზოგადიდან - დარგობრივი მიმართულებით. მაგალითად, საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი ლიტერატურის ისტორია ისწავლება ეპოქების შესაბამისად ქრონოლოგიურ ჭრილში: „შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის გერმანული ლიტერატურის ისტორია“, „XVII-XVIII ს. გერმანული ლიტერატურის ისტორია“, „XIX ს. გერმანული ლიტერატურის ისტორია“, „XX ს. I ნახევრის გერმანული ლიტერატურის ისტორია“, „XX ს. II ნახევრის გერმანული ლიტერატურის ისტორია“ და „უახლესი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურა“, ხოლო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ლიტერატურის მოდული წარმოდგენილია ასევე ისტორიულ ჭრილში, მაგრამ ჟანრობრივად კლასიფიცირებული და პოეტოლოგიურ კატეგორიებზე ფოკუსირებული შემდეგი კურსებით: „გერმანული ლირიკის ისტორიული პოეტიკა“, „გერმანული დრამის ისტორიული პოეტიკა“ და „გერმანული რომანის ისტორიული პოეტიკა“. აღნიშნული კურსების ფარგლებში, წინარე ცოდნაზე დაყრდნობითა და მისი გაღმავებით, კონკრეტული ჟანრების სპეციფიკის გათვალისწინებით ხდება ცალკეული სახეობების პოეტიკური თავისებურებების სისტემური აღწერა, კონკრეტული ნიმუშების შინაარსობრივ და ფორმალურ თავისებურებებზე მსჯელობა. პროგრამა ამზადებს საფუძვლიანი და სისტემური ცოდნით აღჭურვილ კურსდამთავრებულს გერმანულ ფილოლოგიაში, რომელიც ერთვება დარგის სპეციალისტებთან ენათმეცნიერულ საკითხებზე დებატებში და კრიტიკულად იაზრებს თანამედროვე ლინგვისტურ დისციპლინათა პრობლემატიკას, ასევე მსჯელობს გერმანული ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემურ საკითხებზე და გამოაქვს არგუმენტირებული დასკვნები. ამავდროულად დამოუკიდებლად, აკადემიური კეთილსინდისიერებითა და ეთიკის ნორმების დაცვით გეგმავს პროფესიულ მომავალს. ზემოაღნიშნული სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ასევე შესაბამისობაშია ენის დარგობრივ მახასიათებელთან და კვალიფიკაციის შესაბამის დონესთან.

ზოგადი ტრანსფერული და კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარების გამომუშავებით „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია თანამედროვე ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

როგორც ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პირებთან - აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, გასაუბრებამ ცხადყო, თითოეული მათგანი აქტიურად იყო ჩართული სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში. ინტერვიუებზე ასევე გამოიკვეთა, რომ მუშაობის პროცესში თანამშრომლობა შედგა ასევე სხვა დაინტერესებულ პირებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის მე-7 დონეს, დეტალური სფეროს აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ამასთან ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელსა და ითვალისწინებს ათი სწავლის შედეგის მიღწევას, რომელთაგან ორი, თავისი შინაარსით ითვალისწინების ფრანგული ენის ფილოლოგიისთვის საჭირო ცოდნის განვითარებას, ექვსი- ორიენტირებულია კონკრეტული უნარების გამომუშავებაზე, ხოლო ორი შედეგი ავითარებს სტუდენტის პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. სწავლის შედეგების შინაარსობრივი შესაბამისობა ენის დაუფლების დარგობრივ მახასიათებელთან უზრუნველყოფილია საფეხურისთვის შესაბამისი სასწავლო კურსების შეთავაზებით, რაც გულისხმობს ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით თეორიული ცოდნის გაღრმავებას და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარებას სამეცნიერო საქმიანობისთვის.

ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია დაწესებულების შიდა-საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით, კონკრეტულად კი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციით და არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, რაც დასტურდება წარმოდგენილი სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების შესაბამისობის რუკით, სადაც სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დალაგებული სასწავლო კურსების გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცების პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, სწავლის შედეგები აღწერს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რაც ასევე დასტურდება პროგრამის მიზან-შედეგების შესაბამისობის წარმოდგენილი რუკით.

თუმცა რჩევის სახით სასურველია, პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის ფორმულირება უფრო მეტად დაზუსტდეს და გამოიკვეთოს, კონკრეტულად, სასურველია, შედეგი 4-ში *“ამყარებს ზეპირ და წერით კომუნიკაციას ფრანგულენოვან მსმენელთან „საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ სკალირების C დონის შესაბამისი ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების და ტერმინოლოგიის გამოყენებით ენობრივი კომპეტენციების გაღრმავების საფუძველზე”* - დაკონკრეტდეს პროგრამა ითვალისწინებს კურსდამთავრებულის მომზადებას საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს C1 თუ C2 დონეზე.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენს საბაკალავრო პროგრამის დონეზე მიღებული პრაქტიკული და თეორიულ ცოდნის ერთგვარ გაგრძელებას სირთულის, კომპლექსურობისა და სწავლის სფეროს შინაარსის თვალსაზრისით და ორიენტირებულია როგორც პრაქტიკული ენის ცოდნის გაუმჯობესებაზე, ასევე კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსი შეესაბამება შრომის ბაზრისა და კურსდამთავრებულების პოტენციური დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. აღნიშნული დასტურდება დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც. კურსდამთავრებულები აღნიშნავენ რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მათ მიერ მიღებულ ცოდნას და უნარებს, რასაც წარმატებით იყენებენ სამუშაო ადგილებზე. ისინი ასევე ადასტურებენ საბაკალავრო საფეხურზე მიღებული ცოდნის საფუძველზე სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას და სურვილს.

პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია ყველა დაინტერესებული მხარის თანამშრომლობითი პრინციპით. ძლიერ მხარედ უნდა გამოვეყოთ დამსაქმებლების

ჩართულობა. გასაუბრების დროს ისინი ასახელებდნენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომლებიც მიაწოდეს პროგრამის ხელმძღვანელს და რომლებიც, მათი აზრით, გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგებში და სასწავლო კურსებშიც.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს, დეტალური სფეროს აღმწერს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. პროგრამა ითვალისწინებს ათი სასწავლო შედეგის მიღწევას, რომელთაგან სამი ორიენტირებულია რუსული ფილოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნის მიღებაზე, ხუთი ითვალისწინებს ტრანსფერული და სპეციალური უნარების განვითარებას და ორი - აკადემიური პასუხისმგებლობისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვის უნარის ჩამოყალიბება/გაღრმავებაზე.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციის თანახმად და სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებს, მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნასა და უნარებს. პროგრამის შედეგები არის გაზომვადი და მიღწევადი, რაზეც მეტყველებს წარმოდგენილი კურიკულუმის რუკები. ინტერვიუში პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა დაადასტურა, რომ პროგრამის რეაქრედიტაციისთვის მზადების პროცესში იყო გათვალისწინებული წინა აკრედიტაციის რჩევები და ახალი კლასტერული აკრედიტაციის მოთხოვნები, აგრეთვე საქართველოსა და უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილება. პროგრამის ანალოგებში მითითებულია ორი უნივერსიტეტი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. აგრეთვე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, პროგრამის კარგი მაგალითი იყო წარმოდგენილი აზერბაიჯანის სლაფური უნივერსიტეტის მოქმედ პროგრამაში.

სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავებულია თანამშრომლობის პრინციპით, რაზეც მეტყველებს ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან. განსაკუთრებულად ძლიერ მხარეს წარმოადგენს დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა და ბაზრის მოთხოვნის ფართო სფეროს დამაჯერებელი არგუმენტაცია. კერძოდ, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუს დროს დამსაქმებლები ლოგიკურად ასაბუთებდნენ მათი რეგიონისთვის მნიშვნელოვან სფეროებს, სადაც რუსული ფილოლოგიის სპეციალისტები ესაჭიროებათ, მაგალითად: ტურისტულ სფეროში, ვინაიდან ტურისტების დიდი ნაწილი რუსულენოვანია; არქივში, ვინაიდან XIX და XX სს. მნიშვნელოვანი საბუთები რუსულ ენაზეა შექმნილი, მთარგმნელობით საქმიანოში და სხვ.

“რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა: პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა: კურიკულუმის რუკა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა: კურიკულუმის რუკა
- გასაუბრების შედეგები (თვით-შეფასების ჯგუფი, სტუდენტები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელი, კურსდამთავრებულები)
- გარე შეფასების დოკუმენტი (Ann Snow, Department Chair and TESOL Faculty Member, California State University, Los Angeles, USA)
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემშავების ინსტრუქცია
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://www.atsu.edu.ge/ge/home>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სტუდენტისთვის მეტი სიცხადისა და გამჭვირვალობისთვის, სასურველია, სწავლის შედეგი 4-ს ფორმულირება დაზუსტდეს ენობრივი ნიშნით.

პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, სწავლის შედეგი 4-ში დაკონკრეტდეს საუბარია საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს C1 თუ C2 დონეზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის - საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების

პროცედურის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულია პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდი, რაც შეესაბამება სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას. დოკუმენტით გაწერილია პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების ღონისძიებები და მათი ჩატარების პერიოდულობა.

კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საბაკალავრო პროგრამას თან ახლავს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც თანხვედრაშია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურასთან. დოკუმენტი ითვალისწინებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ოთხ ეტაპს: (1) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება; (2) კურიკულუმის ანალიზი; (3) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება; (4) შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხდება იმ სასწავლო კურსებით, რომლებიც განმტკიცებულის დონეს აკმაყოფილებს, რაც სწორი მიდგომაა.

ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7	8	9
სასწავლო კურსების რაოდენობა (M-განმტკიცება)	1	2	2	2	2	2	2	2	1

ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7
სასწავლო კურსების რაოდენობა (M-განმტკიცება)	3	2	1	2	4	3	3

გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7	8	9
სასწავლო კურსების რაოდენობა (M-განმტკიცება)	9	4	3	4	4	4	7	5	5

გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7	8	9
სასწავლო კურსების რაოდენობა (M-განმტკიცება)	4	4	6	6	6	4	4	4	2

ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7	8	9
სასწავლო კურსების რაოდენობა (M-განმტკიცება)	9	7	8	3	5	4	4	4	5

ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სასწავლო კურსების რაოდენობა (M-განმტკიცება)	5	3	6	2	6	3	3	5	6	5

რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7	8
სასწავლო კურსების რაოდენობა (M-განმტკიცება)	7	3	6	3	3	8	4	5

რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის სწავლის შედეგები	1	2	3	4	5	6	7	8	9	10
----------------------------	---	---	---	---	---	---	---	---	---	----

სასწავლო რაოდენობა (M-განმტკიცება)	კურსების	6	2	3	6	2	3	3	3	5	4
---------------------------------------	----------	---	---	---	---	---	---	---	---	---	---

ასევე, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მიზნით გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. პირდაპირი მეთოდები, როგორცაა სასწავლო კურსებით განსაზღვრული დავალებები, რომელთა მტკიცებულებად მოიაზრება სტუდენტის აკადემიური მოსწრება შესაბამისი შეფასების კომპონენტების მიხედვით. აღნიშნული შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

არაპირდაპირი მეთოდები ხორციელდება წელიწადში ერთხელ და მოიაზრებს სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს და კურსდამთავრებულის დასაქმების მაჩვენებლის ანალიზს.

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს თან ახლავს პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია ზემოთ მოყვანილი სასწავლო კურსებით სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა, შეფასების კომპონენტები და სამიზნე ნიშნულები. ექსპერტები დადებითად აფასებენ ასეთი დოკუმენტის არსებობას, თუმცა მიიჩნევენ რომ იგი გადასახედი და დასახვეწია, რათა შესაძლებელი იყოს სტუდენტის მიერ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის საფუძვლიანი შეფასება. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომელთა განზოგადება შესაძლებელია სხვა შედეგებზე.

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაში გადასახედია შედეგის შეფასების კომპონენტები. მაგალითად, შედეგი 1 ფასდება სასწავლო კურსის „ლინგვისტური ანალიზის“ მხოლოდ დასკვნითი გამოცდის ორი თორიული საკითხით (სულ 20 ქულა), მაშინ როცა დასკვნითი გამოცდა, საერთო ჯამში, 40 ქულიანი და ასევე მოიცავს სხვა მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორცაა 4 პრაქტიკული საკითხის ანალიზი (სულ 20 ქულა). ამას გარდა, ამავე საგნით გათვალისწინებულია შუალედური გამოცდა (30 ქულა) და აქტოვობა (30 ქულა). ამ უკანასკნელში შედის ასევე მნიშვნელოვანი კომპონენტი - კვლევითი პროექტი - რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამის აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასებისთვის. შესაბამისად, ექსპერტებს მიაჩნიათ რომ შეფასების კომპონენტად ვერ გამოდგება მხოლოდ 2 თეორიული საკითხი, საჭიროა შეფასებისთვის მთლიანი კურსის 100 ქულის აღება და ნიშნულის განსაზღვრა ან კონკრეტული კომპონენტების მეტად კრიტიკურად გადააზრება.

იმავე პროგრამაში შეგვიძლია განვიხილოთ შედეგი 5, რომელიც ფასდება სასწავლო კურსით „ენობრივი უნარი 6“. შედეგის შეფასებისთვის გამოყენებულია მხოლოდ დასკვნითი გამოცდის წერითი კომპონენტი (8 ქულა), რომელიც ერთის მხრივ, არაა საკმარისი შედეგის შესაფასებლად, მეორეს მხრივ კი ვერ შეაფასებს ენობრივი კომპონენტების ყველა უნარს (მაგალითად მეტყველება).

ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში მსგავსი მიდგომა გამოყენებულია. მაგალითად შედეგი 1, რომლის შეფასების ერთ-ერთი სასწავლო ფკურსია კომუნკაციური ლინგვისტიკა. შეფასების კომპონენტად გამოყენებულია კურსით განსაზღვრული აქტივობის ქულა, ნიშნულით 20. აქვე, აღსანიშნავია ნიშნულები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე ერთნაირია, რაც არ გამოხატავს თითოეული პროგრამის კომპლექსურობას, შინაარსს.

- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები და ნიშნულები ძირითადად გამართულია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში მე-4 შედეგის შეფასებისთვის არის კომპონენტების სელექციური გამოყენება. შედეგი ფასდება სასწავლო კურსებით „მხატვრული ტექსტის ანალიზი“ და „გერმანული ენა 8“. პირველი კურსის შემთხვევაში გამოყენებულია აქტივობების კომპონენტი (შედეგა რამდენიმე კომპონენტისგან: ჯგუფში აქტიურობა, დისკუსია, პრეზენტაცია, ტესტი. ჯამში განკუთვნილია 30 ქულა). სწავლის შედეგის შეფასებისთვის აღებულია ჯამში 20 ქულა, რაც ვფიქრობ კომპონენტების სიმრავლის გათვალისწინებით მარტივად დასაგროვებელია, თითოეულში მინიმალური ზღვარის მიღების შემთხვევაშიც კი.

გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაზე შედეგი 4 ფასდება სასწავლო კურსით პოლიტოლინგვისტიკა და შედეგი 5 - კურსით პრაგმატიკა. ორივე შედეგის და ორივე სასწავლო კურსის შემთხვევაში გამოყენებულია მხოლოდ აქტივობის კომპონენტი.

- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის მსგავსი ტენდენციასა ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაში. შედეგი 5 ფასდება ორი სასწავლო კურსით „ფრანგული ენის ისტორია“ და „ფრანგული ენა 8“. ორივე სასწავლო კურსის შემთხვევაში გამოყენებულია მხოლოდ აქტივობის შეფასების კომპონენტი, მინიმალური ზღვართან 20 ქულა. ფრანგული ენა 8 -ის სილაბუსით აქტივობა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: ჯგუფში აქტიურობა, დისკუსია, ქვიზი, ესე. შესაბამისად, ძალიან დაბალი მარჯაო ერთი კომპონენტის 20 ქულა პროგრამის სწავლის შედეგის შეფასებისთვის. ორივე საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში (გერმანული ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა) შეინიშნება ნიშნულების განსაზღვრის ერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც შეიძლება არ ითვალისწინებდეს, ერთის მხრივ, პროგრამის სწავლის შედეგის შინაარსს/სპეციფიკას და შეფასების კომპონენტის კომპლექსურობას.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შედეგი 2 ფასდება სასწავლო კურსებით “ტექსტის ლინგვისტური ანალიზი” და “ ფრანგული ლირიკის ისტორიული პოეტიკა”. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია მხოლოდ აქტივობის კომპონენტი, ნიშნულით 20 ქულა.

- მსგავსი სიტუაციაა რუსული ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაში. შედეგი 2 ფასდება სასწავლო კურსით მე-20 ს. რუსული ლიტერატურის ისტორია, ხოლო შედეგი 4 - მე-19 ს. და მე-20 ს. დასასრულის რუსული ლიტერატურის მიხედვით. ორივე შედეგის შეფასების შემთხვევაში განსაზღვრულია აქტივობის კომპონენტი, რაც ზემოთ მოყვანილი მსჯელობის შესაბამისად ფასდება ექსპერტების მიერ.

რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო შედეგი 5 ფასდება სასწავლო კურსით “რუსული ენის სტილისტიკა” და “თარგმანის თეორია”. ორივე შემთხვევაში გამოყენებულია მხოლოდ აქტივობის კომპონენტი, ნიშნულით 20 ქულა.

- სამაგისტრო დონის ოთხივე პროგრამაზე, თითქმის ყველა სწავლის შედეგი ფასდება სამაგისტრო ნაშრომით, რაც სწორი მიდგომაა. თუმცა, შეფასების კომპონენტად გამოყენებულია მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შედეგების შეფასების მიზნით მნიშვნელოვანია სამაგისტრო თემაზე მუშაობის მთელი ციკლის შეფასება იყოს გათვალისწინებული, მათ შორის ხელმძღვანელის და რეცენზენტების შეფასებები, რადგანაც მათ შესაძლებლობა აქვთ საფუძვლიანად გაეცნონ სამაგისტრო ნაშრომის ყველა დეტალს და სპეციფიკას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ნიშნულების განსაზღვრის დროს, მნიშვნელოვანია გაანალიზდეს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. მაგალითისთვის, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში წარმოდგენილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური მოსწრების ანალიზები. ამ დოკუმენტების თანახმად, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის მე-4 კურსის სტუდენტები, 2021-2022 წლის საშემოდგომო სემესტრის განმავლობაში იღებენ შემდეგ შეფასებას: A, B, C - 35%, ხოლო D, E - 53%. იმავე პროგრამის მესამე კურსზე სტუდენტების შეფასებაა A, B, C - 35%, D, E - 54%-ის შემთხვევაში. ეს მსჯელობა მოყვანილია საილუსტრაციოდ, რადგან წარმოდგენილი არაა VI, VII, VIII სემესტრის აკადემიური მოსწრების ანალიზი, სადაც ძირითადად ისწავლება განმტკიცების დონის სასწავლო კურსები (ანუ კურსები რომლებითაც ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები). ნიშნულების განსაზღვრა სასურველია აკადემიური მოსწრების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე განხორციელდეს. მნიშვნელოვანია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს კარგად ჰქონდეს გააზრებული პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური მოსწრების ანალიზი.

დაწესებულებაში გამართული ვიზიტის დროს სწავლის შედეგების შინაარსსა და მეთი შეფასების შესახებ გაიმართა მსჯელობა თვითშეფასების ჯგუფთან და სტუდენტებთან. ექსპერტების შეფასების, პროგრამების თვითშეფასების ჯგუფები არ იცნობს კარგად სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტს და ზოგადად, მიდგომას. მათ ვერ შეძლეს მსჯელობა აღნიშნული საკითხის ირგვლივ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების ფორმულირება და მათი შეფასება მოხდეს მონაწილეობითი პრინციპის უზრუნველყოფით, რათა პროგრამაში ჩართულ ყველა პირს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია. სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ნაკლებად იყვნენ ინფორმირებული სტუდენტებიც. შესაბამისად, საჭიროა საინფორმაციო შეხვედრების გამართვა სტუდენტებთან ამ საკითხთან დაკავშირებით.

განსხვავებით თვითშეფასების ჯგუფისგან, პროგრამების ხელმძღვანელები კარგად იცნობენ პროგრამების სწავლის შედეგებს და მათი შეფასების მექანიზმს. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიდგომა მათთვის ახალია, შესაბამისად, მზად არის დააკვირდნენ პროცესს და გააუმჯობესონ რეკომენდაციების თანახმად. ასევე, ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავდა, რომ მან და სასწავლო პროცესში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა გაიარეს ტრენინგები და კონსულტაციები კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელთან ამერიკის საელჩოს პროგრამის ფარგლებში, რაც მნიშვნელოვანი იყო მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის და გამოცდილების გაზიარებისთვის. შესაბამისად, ექსპერტების აზრით, სასურველია, მსგავსი კონსულტაციების გავლის პრაქტიკა სხვა პროგრამებზეც დაინერგოს. სულ მცირე, შესაძლებელია პროგრამების მიერ ერთმანეთის დახმარება და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება გამოცდილების გაზიარების მიზნით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)⁸

⁸ საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების დოკუმენტები (8 პროგრამა)
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების კურიკულუმის რუკები (8 პროგრამა)
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკები (8 პროგრამა)
- კლასტერში დაჯგუფებული შედეგების შეფასების მექანიზმები (8 პროგრამა)
- კლასტერში დაჯგუფებული შედეგების შეფასების გეგმები (8 პროგრამა)
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმების გადახედვა. მნიშვნელოვანია კრიტიკულად იყოს გააზრებული და დალაგებული თითოეული შედეგის შეფასების კომპონენტი, ასევე, სამიზნე ნიშნული. სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა უნდა მოხდეს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პროგრამაში გაიწეროს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდოლოგია.
- რეკომენდებულია პროგრამის თვით-შეფასების ჯგუფი და ზოგადად, პროგრამაში ჩართული პირები საფუძვლიანად იცნობდნენ პროგრამის სწავლის შედეგებს და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს, გეგმას. საჭიროა საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება და მსჯელობა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცედურების შესახებ.
- სამაგისტრო ნაშრომის სწავლის შედეგის შეფასების გამოყენების მიზნით, რეკომენდებულია გათვალისწინებული იყოს სამაგისტრო თემაზე მუშაობის მთლიანი ციკლი და არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომის დაცვა.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია პროგრამების ხელმძღვანელებმა და განმახორციელებელმა პერსონალმა გაუზიაროს სხვა პროგრამის პერსონალს გამოცდილება პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირების და შეფასების მიდგომების შესახებ, განსაკუთრებით მაშინ თუ რომელიმე პროგრამას (ამჯერად ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამას) ჰქონდა შესაძლებლობა ესარგებლა ამა თუ იმ უცხოური უნივერსიტეტის გამოცდილებით/ექსპერტიზით. ბუნებრივია, იგულისხმება შედეგებსა და მათ შეფასებაზე ტექნიკური მუშაობა და გათვალისწინებული იქნება თითოეული პროგრამის სპეციფიკა.

საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები (მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კლასტერში დაჯგუფებული, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების დაცვით, კონკრეტულად კი აკადემიური საბჭოს #49 (17/18) დადგენილებით განსაზღვრულ „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურის“ მიხედვით. პროგრამები წარმოდგენილი შინაარსით შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეექვსე და მეშვიდე დონეებს, საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხური, თანმიმდევრულად) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნის. შესაბამისად პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი სრულად პასუხობს მისანიჭებელი კვალიფიკაციების მოთხოვნებს (ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ/რუსულ ფილოლოგიაში და ჰუმანიტარულ მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ/გერმანულ/ფრანგულ/რუსულ ფილოლოგიაში)

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამების კრედიტმოცულობა, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შეადგენს 240 კრედიტს, ხოლო, სამაგისტრო პროგრამების - 120 კრედიტს. შინაარსობრივად საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და ითვალისწინებს გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების პრინციპით შინაარსის სემესტრულ განფენილობას. საბაკალავრო პროგრამები შედგება ძირითადი სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი კურსებისგან, ასევე თავისუფალი კომპონენტისგან. ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიარონ უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი დამატებითი პროგრამა (Minor) 60 კრედიტის ფარგლებში. საბაკალავრო პროგრამებით სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პრაქტიკული სასწავლო კურსები შესაბამისი უცხოური ენის მიმართულებით. ასევე, შეისწავლონ ლინგვისტიკის საფუძვლები და ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა სირთულის სასწავლო კურსები. სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში, ძირითადად აქცენტირებულია თეორიული ცოდნის განვითარება ლინგვისტიკის და ლიტერატურის მიმართულებით, ასევე სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავება.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფს აქვს გარკვეული შეთავაზებები პროგრამის სტრუქტურასთან და შინაარსთან დაკავშირებით. მაგალითად, წარმოდგენილია კონკრეტული მიგნებები სასწავლო კურსების წინაპირობების დაზუსტების რეკომენდაციით (მაგალითად, საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებში ფრანგული ენა და ლიტერატურა). ექსპერტებმა გააკეთეს კონკრეტული შეთავაზებები პროგრამის შინაარსის გაძლიერებასთან დაკავშირებით (მაგალითად, გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის გაძლიერება ლინგვისტური მიმართულებით, გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში სასწავლო კურსის “სემანტიკა” დამატება, ხოლო “პოლიტოლინგვისტიკის” არჩევით კურსებში გადატანა. ასევე, ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ კვლევითი უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე მეტი ყურადღების გამახვილება (მაგალითად, რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში კვლევის მეთოდების შესწავლის გაძლიერება, გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში საკურსო ნაშრომის სასწავლო კომპონენტად გადატანა და სხვა). დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ არგუმენტაციის ნაწილი პროგრამების მიხედვით.

საბაკალავრო და საგანმანათლებლო პროგრამები შედგენილია გარე შეფასებების გათვალისწინებით და თითოეული პროგრამა მნიშვნელოვნად ჩართულია ინტერნაციონალიზაციის პროცესში. გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის

განმახორციელებელ პერსონალს და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობები მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში, დაესწრონ და სიტყვით გამოვიდნენ სხვადასხვა კონფერენციებზე.

პროგრამები შედგებილია განმახორციელებელი პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობით, რაც დასტურდება გასაუბრების პროცესში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურების თანახმად. პროგრამის შინაარსი მრავალფეროვანია, სასწავლო კურსები წარმოადგენს პრაქტიკული ენის კომპეტენციის, ლინგვისტიკის საფუძვლების და ლიტერატურის ისტორიის შესწავლის კარგ ბალანსს. შესაბამისად, პროგრამა შინაარსობრივად შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეექვსე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად და საერთო ჯამში, შედგება 240 კრედიტისგან. პროგრამის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი. შინაარსობრივად პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან (საერთო ჯამში 140 და 35 ECT, 30 სავალდებულო და 24 არჩევითი სასწავლო კურსისგან, თანმიმდევრულად) და თავისუფალი კომპონენტისგან (5 ECT). სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ გაიარონ უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი დამატებითი პროგრამა (Minor) 60 კრედიტის ფარგლებში. თითოეულ სემესტრი სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი 7 სასწავლო კურსი.

საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და ითვალისწინებს კონკრეტული დისციპლინების გაცნობის დონიდან განმტკიცების დონემდე შესწავლას. დაწყებით ეტაპზე სტუდენტები ძირითადად გადიან ენობრივი კომპეტენციის განმავითარებელ და ლიტერატურის სასწავლო კურსებს, ხოლო მე-4 სემესტრიდან პროგრამა მეტად დატვირთულია თეორიული კურსებით ლინგვისტიკის და ლიტერატურის მიმართებით. სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურად არის დალაგებული, რაც დასტურდება წარმოდგენილი სასწავლო გეგმით.

პროგრამის შინაარსის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია გარე შემფასებლის (ანნ სნოუ, კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მოსაზრებები, კონკრეტულად კი ინგლისურენოვანი კურსების რაოდენობის გაზრდის და ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების (CBI) პრინციპების დანერგვასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხზე დეტალურად იმსჯელა პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის ექსპერტთან შეხვედრის დეტალური ოქმი. ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინება, ასევე კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსი და

შეთავაზებული სასწავლო ლიტერატურა ადასტურებს, რომ პროგრამა ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში. გასაუბრების დროს ისინი საუბრობდნენ უცხოურ უნივერსიტეტებში მიღებული გამოცდილების ინტეგრირებაზე არსებულ პროგრამაში, განსაკუთრებით სწავლების მეთოდების და ლიტერატურის თვალსაზრისით.

გასაუბრების შედეგად სტუდენტები ასევე ადასტურებენ, რომ პროგრამის შინაარსის შემუშავებაში გათვალისწინებული იყო მათი მოსაზრებები, კონკრეტულად კი პრაქტიკული კურსების გაძლიერების (განსაკუთრებით თარგმანის კუთხით) და საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით.

მეორე უცხოური ენის შესწავლა სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი კურსების ან მაინორ პროგრამის მეშვეობით. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სასურველია მეორე უცხოური ენა მესამე და მეოთხე სემესტრებში რამდენიმე დონით იყოს შეთავაზებული სტუდენტებისთვის. აღნიშნული რჩევა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ სტუდენტს მეორე სემესტრიდან შეუძლია აირჩიოს ოთხი არჩევითი კურსიდან მხოლოდ ერთი. შესაბამისად, თუკი ის მეორე სემესტრში არ აირჩევს მეორე უცხოურ ენა 1-ს, მესამე და მეოთხე სემესტრში ვეღარ შეძლებს მეორე უცხოური ენა 2 და 3-ის არჩევას.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს #49 (17/18) დადგენილებით განსაზღვრულ „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურას“, მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები 130 კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები 35 კრედიტი (რაც მოიცავს სემესტრებად დაჯგუფებულ 2-3-4 სასწავლო კურსს, ერთ-ერთი კურსის არჩევის შესაძლებლობით, მაგ.: I სემესტრი: გერმანიის ისტორია, შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, შესავალი ფილოსოფიაში, შესავალი გერმანული ენის ფონეტიკასა და ფონოლოგიაში) და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები 15 კრედიტი. საბაკალავრო პროგრამა 60 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს სთავაზობს დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კრედიტების არჩევანს. პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. თანმიმდევრულია პროგრამის სტრუქტურა, რაც გულისხმობს მარტივი ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი თემატიკიდან რთულზე გადასვლას, ასევე სასპეციალიზაციო ენის დაუფლებას დონეების მიხედვით. „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კურსები მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ენის დაუფლება, წარმოდგენილი სასწავლო კურსებით გერმანული ენა 1-8 (1.2, 1.6, 1.9, 1.12, 1.15, 1.19, 1.23, 1.26;), ზეპირი და წერიტი

მეტყველების კულტურა 1-4 (1.3, 1.7, 1.10, 1.13); გერმანული ენის თეორიული გრამატიკა (1.16), თარგმნის თეორია და პრაქტიკა (1.17), სულ 68 კრედიტი; ლინგვისტიკისა და ლიტერატურის მიმართულებებს თანაბრად ფარავს „შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში“ (1.1) (რომელიც აცნობს სტუდენტს გერმანული ფილოლოგიის, როგორც დარგის, ზოგად სპეციფიკას, ენობრივ სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებსა და ცალკეული პერიოდების გერმანული ლიტერატურის ზოგადი მახასიათებლებს) და „კლასიკური ფილოლოგიის საფუძვლები“ (1.4). ამავდროულად კურსის „შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში“ ფარგლებში I სემესტრში მიღებული ზოგადი ცოდნა ეხმარება სტუდენტს მისთვის საინტერესო არჩევითი კურსებისა და თავისუფალი კომპონენტების განსაზღვრისას. ლინგვისტიკის მიმართულებას ეთმობა სულ 27 კრედიტი და ფარავს შემდეგი სასწავლო კურსები: ლექსიკოლოგია (1.20), გერმანული ენის ისტორია (1.24), ენათმეცნიერების შესავალი (2.2), ზოგადი ენათმეცნიერება (2.3). ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულება ჯამურად 50 კრედიტით მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: „ლიტმცოდნეობის შესავალი გერმანული ფილოლოგიისთვის“ (1.5), გერმანული ლიტერატურის ისტორიის კურსები შუა საუკუნეებიდან უახლეს პერიოდამდე (1.8, 1.11, 1.14, 1.18, 1.22, 1.25), გერმანული განმანათლებლობისა და რომანტიზმის ლიტერატურის თეორია (1.27), ასევე გერმანულენოვანი მხატვრული ტექსტის ანალიზი (1.21). როგორც ანალიზმა ცხადყო, პროგრამის ფარგლებში სავალდებულო სასწავლო კურსების თანაფარდობა შემდეგია ენის დაუფლება/ლინგვისტიკა/ლიტერატურათმცოდნეობა: 14 კურსი/6 კურსი/11 კურსი; კრედიტებში თანაფარდობა შემდეგნაირად აისახება 68 კრედიტი/27 კრედიტი/60 კრედიტი; ანალოგიური სურათი იკვეთება ძირითადი სპეციალობის სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ანალიზის დროს: პროგრამა 6 სემესტრში აძლევს სტუდენტს ლიტერატურათმცოდნეობითი საგნის არჩევის შესაძლებლობას, 4 სემესტრში - სასპეციალიზაციო ენის, ხოლო 3 სემესტრში - დამატებით მეორე უცხო ენის დაუფლების შესაძლებლობას, ლინგვისტური მიმართულების სასწავლო კურსის არჩევანი მხოლოდ ერთ სემესტრშია შეთავაზებული. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს ლინგვისტური მიმართულება (შესაძლოა ენის დაუფლების კომპონენტების შემცირების ხარჯზე), რაც უზრუნველყოფს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებების ოპტიმალურ თანაშეწონილობასთან.

სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია მხოლოდ ენის პრაქტიკული კურსების: „გერმანული ენა 1-8“ და „ ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურა 1-4“ ფარგლებში: თითოეული დონე მომდევნო საფეხურის წინაპირობაა, რაც სრულად შეესაბამება ენის შესწავლის თანამედროვე მიდგომებს. ლინგვისტური და ლიტერატურის ბლოკის საგნებიდან გამონაკლისს წარმოადგენს და დაშვების წინაპირობები აქვს მითითებული „გერმანული ენის ისტორიასა“ და „გერმანული განმანათლებლობისა და რომანტიზმის ლიტერატურის თეორიას“. ვინაიდან „გერმანული ენის ისტორიის“ ძირითად და დამხმარე ლიტერატურად გერმანულენოვანი წყაროებია გათვალისწინებული, ვფიქრობთ, დაშვების წინაპირობად „გერმანული ენა 5-ის“ განსაზღვრა რელევანტურია აღნიშნული სასწავლო კურსისთვის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის თვალსაზრისით. ლიტერატურის მიმართულებით სასწავლო კურსებს დაშვების წინაპირობა არ აქვთ, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „გერმანული განმანათლებლობისა და რომანტიზმის ლიტერატურის თეორია“. აღნიშნულ კურსზე დაშვების აუცილებელი პირობაა XVII-XVIII ს. და XIX ს. გერმანული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა, რაც ზემოაღნიშნული კურსის კომპლექსურობის გათვალისწინებით, ლოგიკური და მისაღებია.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „გერმანული ენა და ლიტერატურა“ სტრუქტურა 5 კრედიტის ფარგლებში, სავალდებულო სტატუსით ითვალისწინებს „საკურსო ნაშრომს“, რომელიც, სილაბუსის თანახმად, წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის მიერ დამამთავრებელ სემესტრში ინდივიდუალურად შესრულებულ დამოუკიდებელ კვლევით სამუშაოს. საკურსო აჩვენებს, თუ რამდენად შეუძლია სტუდენტს ხელმძღვანელის დახმარებით კვლევითი სამუშაოს შესრულება. აღსანიშნავია, რომ სტუდენტის საკურსო ნაშრომის მომზადებისა და მისი საჯარო დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება როგორც დამოუკიდებელი სასწავლო კურსის - „აკადემიური წერა“ (სასწავლო კურსის მიზანია, სტუდენტს შეასწავლოს წერის პროცესის სწორი ორგანიზება, წერის ტექნიკა, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები, აკადემიური ტექსტის სტრუქტურა, ფორმატი, ორგანიზება, მიზანზე ორიენტირებული და მეთოდურად კონტროლირებული ნაშრომის შექმნის წესები, სახელმწიფო სალიტერატურო ენით აზრის ფორმირების, კომუნიკაციური სტრატეგიის განხორციელებისა და საჯარო გამოსვლის შესაძლებლობები.), ფარგლებში, ასევე შესავალ კურსებსა და ლინგვისტიკის/ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების სასწავლო კურსებში ჩაშლილი ისეთი კომპონენტებით, როგორცაა ესეს, რეფერატის, პრეზენტაციის მომზადება და სხვა. (მაგ.: სასწავლო კურსის „უახლესი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურა“ სწავლის შედეგია: „მოიძიებს რელევანტურ მასალებს ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ ბაზებში და ახდენს მათ კლასიფიკაციას; მსჯელობს პროფესიული ტერმინების გამოყენებით ლიტერატურათმცოდნეობით წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე, განაზოგადებს თეორიულ მასალას, გამოხატავს საკუთარ პოზიციებს უახლესი პერიოდის გერმანული ლიტერატურის მნიშვნელოვან საკითხებზე და ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაზე; ანალიზებს მხატვრულ ტექსტებს, აყალიბებს დასაბუთებულ მოსაზრებებს და აკეთებს ლოგიკურ დასკვნებს; აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ხდება მიმდინარე შეფასების კომპონენტში ესეს და პრეზენტაციის მომზადებით. ანალოგიურად, ლინგვისტური მიმართულებით, სასწავლო კურსის „ლექსიკოლოგია“ სწავლის შედეგია „ახდენს ლექსიკური მარაგის იდენტიფიცირება-შერჩევის საშუალებების და მეთოდების განხილვა-განზოგადებას; აყალიბებს შესაბამისი ტერმინოლოგიის გამოყენებით თეორიულ მოსაზრებებს;“, ხოლო სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება პრეზენტაციის საშუალებით). „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზი ცხადყოფს, რომ სტრუქტურა თანმიმდევრულად ამზადებს სტუდენტს საკურსო ნაშრომისთვის. ამავდროულად, შესაბამისი სილაბუსში აღწერილი ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტი „საკურსო ნაშრომი“ შეთავაზებულ იქნას საბაკალავრო ნაშრომის სახით, გამომდინარე ზემოხსენებული სასწავლო კომპონენტის შინაარსიდან.

პროგრამაში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით საბაკალავრო საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევა ინტერნაციონალიზაცია, რაც გამოიხატება გერმანულ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან (მაგ.: ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, გოეთეს საზოგადოება და სხვა) მრავალწლიანი აქტიური თანამშრომლობით, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით, უნივერსიტეტში DAAD-ს ბიუროს არსებობითა და ენის მატარებელი ლექტორის მუდმივი ჩართულობით პროგრამის განხორციელებაში. ასევე აღსანიშნავია მდიდარი, მუდმივგანახლებადი გერმანულენოვანი საბიბლიოთეკო ფონდი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსებს თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოებითა და სასწავლო რესურსებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურების თანახმად. პროგრამა შინაარსობრივად შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეექვსე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. აგრეთვე, ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, შესაბამისად პროგრამის შინაარსი (პრაქტიკული ენის, ლინგვისტიკის საფუძვლების, ლიტერატურული, ისტორიული და კულტურული ელემენტების ერთობლიობა), მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. ამასთან, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი ფრანგულ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად და საერთო ჯამში, შედგება 240 კრედიტისგან. პროგრამის ხანგრძლივობაა 8 სემესტრი. შინაარსობრივად პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან (საერთო ჯამში 180 კრედიტი გადანაწილებულია როგორც : ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 120 კრედიტი (24 სასწავლო კურსი); თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი (5 სასწავლო კურსი); ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - 30 კრედიტი (შეთავაზებულია არჩევანი 16 სასწავლო კურსიდან); თავისუფალი კომპონენტი - 5 კრედიტი). სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ გაიარონ უნივერსიტეტში არსებული ნებისმიერი დამატებითი პროგრამა (Minor) 60 კრედიტის ფარგლებში.

საბაკალავრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და ითვალისწინებს კონკრეტული დისციპლინების გაცნობის დონიდან განმტკიცების დონემდე შესწავლას. დაწყებით ეტაპზე სტუდენტები ძირითადად გადიან ენობრივი კომპეტენციისა და მეტყველების განმავითარებელ, ლიტერატურისა და ქვეყნის ისტორიის გაცნობის საწყისი ეტაპების სასწავლო კურსებს, ხოლო მე-5 სემესტრიდან პროგრამა მეტად დატვირთულია თეორიული კურსებით ლინგვისტიკის და ლიტერატურის მიმართულებით, ასევე თანამედროვე ფრანგული ლიტერატურის ისტორიის ცოდნის გამაღრმავებელი კურსებით. სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურად არის დალაგებული პრაქტიკულ ენების საფეხურებთან მიმართებაში, თუმცა ისეთი სასწავლო კურსები როგორცაა ფრანგული ენის ისტორია, ფრანგული ენის ლექსიკოლოგია, ფრანგული ენის თეორიული გრამატიკა, ფრანგულენოვანი მხატვრული ტექსტის ანალიზი, ფრანგული ენა და მულტიმედია, მეტყველების კულტურა - შინაარსიდან და მითითებული სავალდებულო ლიტერატურიდან გამომდინარე, იმისთვის რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგები იყოს რეალისტური, უნდა ითვალისწინებდნენ კურსზე დაშვების წინაპირობას - ფრანგული ენის ცოდნას გარკვეულ დონეზე. წინაპირობად პრაქტიკული ფრანგული ენის მითითება ასევე სასურველია ფრანგული ლიტერატურის ისტორიის იმ სასწავლო კურსებზე, სადაც უშუალოდ ხდება ფრანგულ ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობა და ანალიზი. (მაგ.უახლესი ფრანგული ლიტერატურა: კვირა 6 - კ. დე ტოლედოს „Thésée, sa vie nouvelle“ - ეპიზოდების ანალიზი, კვირა 10, ჟ. ლ. კოატალემის „La Part du fils“ - ეპიზოდების ანალიზი; სასწავლო კურსი - თანამედროვე ფრანკოფონული ლიტერატურა - კვირა 14 - „La censeur de Baudelaire“ - ეპიზოდების ანალიზი). აგრეთვე არჩევით

სასწავლო კურსებზე - ფრანგული ტექსტების კითხვის ინტენსიური კურსი, ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ისინი მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში და იცნობენ დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამა თანამშრომლობს საფრანგეთის საელჩოსთან, AUF-თან, რომელიც მუდმივად აწყობს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ტრენინგებს. თვითშეფასების ანგარიშს თან ახლავს რენის უნივერსიტეტის პროფესორის დომინიკ ტურეს დადებითი მოსაზრებები ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის შესახებ. 2019-2020 წლებში ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ოთხი სტუდენტი მონაწილეობდა ERASMUS + სასწავლო გრანტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში რუანის უნივერსიტეტში.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS-კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და უნივერსიტეტში დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგიას. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეექვსე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების ბაკალავრი რუსულ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამა შედგება 240 კრედიტიდან: ძირითადი პროგრამის 180 კრედიტის ათვისების გარდა სტუდენტებს აქვთ საშუალება აირჩიონ 60 კრედიტიანი დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამა ან თავისუფალი კომპონენტი. ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები შეადგენს 135 კრედიტს და არჩევითი - 25 კრედიტს, 10 კრედიტი ეთმობა თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსებს და 10 კრედიტი - თავისუფალ კომპონენტს. პროგრამის ხანგრძლივობაა რვა სემესტრი, მესამე სემესტრიდან მერვე სემესტრის ჩათვლით ათ-ათი კრედიტი ეთმობა სტუდენტის მიერ არჩეულ დამატებითი პროგრამის ან თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს. ასეთი სტრუქტურა და პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება გაცნობის დონიდან გაღრმავებისა და განმტკიცების დონემდე. სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურად არის დალაგებული, რაც დასტუდება წარმოდგენილი სასწავლო გეგმითა და სილაბუსებით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რუსულ

ენის პრაქტიკულ კურსებში არ არის მითითებული ენობრივი დონე (რუსული ენა 1, რუსული ენა 2 და ა.შ.).

პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, დიდ დახმარებას უწევდა ხარისხის სამსახური და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

“რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ აკადემიურ პირებს აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა აზერბაიჯანის სლავურ უნივერსიტეტთან, პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლებთან და პოლონეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ქართულ-პოლონურ ურთიერთობების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაცია განლაგებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურების თანახმად. პროგრამა ითვალისწინებს სწავლების საფეხურის სპეციფიკას და შესაბამისად, შინაარსობრივად ძირითად დატვირთულია თეორიული სასწავლო კურსებით და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კომპონენტებით. შესაბამისად, პროგრამა შინაარსობრივად შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეშვიდე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების მაგისტრი ინგლისურ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად და საერთო ჯამში, შედგება 120 კრედიტისგან, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობაა ოთხი (4) სემესტრი. შინაარსობრივად პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისგან (საერთო ჯამში 95 (მათ შორის სამაგისტრო ნაშრომი 30 კრედიტი) და 25 ECT. სავალდებულო კურსების ფარგლებში მოცემულია 14 სასწავლო კურსი, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსი არის 12.

სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული. სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურია, რაც დასტუდება წარმოდგენილი სასწავლო გეგმით. დადებითად უნდა შეფასდეს პროგრამაში რამდენიმე სასწავლო კურსის არსებობა, რომელიც სტუდენტებს აძლევს სიღრმისეულ ცოდნას და უნარებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის და წარმართვის კუთხით. ასევე მნიშვნელოვანია სამაგისტრო თემაზე მუშაობის პროცესი, რაც რეალურად აჯამებს სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გავლილ ყველა სასწავლო დისციპლინას.

პროგრამის შინაარსის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულია გარე შემფასებლის (ან სწორედ კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მოსაზრებები, რომელიც ადასტურებს რომ პროგრამა კონცეპტუალურად გამართულია და ეხმიანება თანამედროვე თეორიულ და პრაქტიკულ პერსპექტივებს. ექსპერტის რეკომენდაციების გათვალისწინება, ასევე კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსი და შეთავაზებული სასწავლო ლიტერატურა ადასტურებს, რომ პროგრამა ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში. გასაუბრების დროს ისინი საუბრობდნენ უცხოური უნივერსიტეტებში მიღებული გამოცდილების ინტეგრირებაზე არსებულ პროგრამაში, განსაკუთრებით სწავლების მეთოდების და ლიტერატურის თვალსაზრისით.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს #49 (17/18) დადგენილებით განსაზღვრულ „საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურას“, მოიცავს 120 კრედიტს, მათ შორის ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო კურსები განსაზღვრულია 105 კრედიტით და ითვალისწინებს 5 კრედიტს საკურსო და 30 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომისთვის, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი კურსები შეადგენს სულ 15 კრედიტს, რაც მოიცავს სემესტრებად დაჯგუფებულ 2-3 სასწავლო კურსს, ერთ-ერთი კურსის არჩევის შესაძლებლობით, მაგ.: I სემესტრი: კონტრასტული ლინგვისტიკა, ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობები). პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესისა და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია 5 კრედიტით და ითვალისწინებს 45 საკონტაქტო საათს, რომელიც საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე იყოფა სალექციო და სასემინარო/პრაქტიკულ მეცადინეობად. გამონაკლისს წარმოადგენს სასწავლო კურსები „ლინგვისტური და ლიტმოდინეობითი კვლევის მეთოდები და მიმართულებები“ და „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“, „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“ 60 საკონტაქტო საათით, რაც ვფიქრობთ, მართებული გადაწყვეტაა, ამავდროულად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია კიდევ უფრო გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ენის დაუფლების სასწავლო კურსისთვის, რათა საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა მიუახლოვდეს/შესაბამისობაში მოვიდეს უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის C 1 დონით განსაზღვრულ სტანდარტთან. ამავდროულად სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, სადაც 1.4 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“, ხოლო 1.8 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C 2)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“.

ზემოაღნიშნული ტექნიკური უზუსტობაა და დასტურდება აკრედიტაციისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციით, კერძოდ „ძირითადი უცხო ენა (გერმანულის) სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულია დონეები C1.1 და C1.2.

პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრულია, ამავდროულად ითვალისწინებს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნის გაღრმავება-განვითარებასა და სისტემატიზაციას, ასევე სასპეციალიზაციო ენის დაუფლებას (ძირითადი უცხო ენა: გერმანული C 1.1 და C1.2) უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი კომპეტენციის C 1 დონის მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ დაცულია თანაშეწონილობა ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობით დისციპლინებს შორის: ლინგვისტური მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს სულ 25 კრედიტს და წარმოდგენილია შემდეგი დისციპლინებით - 1.2 ტექსტის ლინგვისტიკა (გერმანული ფილოლოგია), 1.6 ლინგვისტური სტილისტიკა, 1.11 პოლიტოლინგვისტიკა, 1.12 სოციოლინგვისტიკა, 1.13 პრაგმატიკა. ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებით პროგრამა 25 კრედიტის ფარგლებში ითვალისწინებს შემდეგ სავალდებულო სასწავლო კურსებს: 1.3 გერმანული რომანის ისტორიული პოეტიკა, 1.7 გერმანული დრამის ისტორიული პოეტიკა, 1.10 შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, 1.14 გერმანული ლირიკის ისტორიული პოეტიკა და 1.15 დასავლეთევროპული კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის პრობლემური საკითხები. სასწავლო კურსების თანმიმდევრობა მიმართულებების ფარგლებში ლოგიკურ ბმავში ერთმანეთთან შინაარსობრივად, მაგალითად „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა“ (II სემესტრი) წინ უსწრებს სასწავლო კურსს „დასავლეთევროპული კრიტიკისა და ლიტმცოდნეობის პრობლემური საკითხები“ (III სემესტრი), რომელიც პირველის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, ვინაიდან „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის“ დისციპლინაში მიღებული თეორიული ცოდნისა და გამომუშავებული დარგობრივი კომპეტენციის გაღრმავება-სისტემატიზაციას ისახავს მიზნად.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სამაგისტრო პროგრამით III სემესტრში სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით გათვალისწინებულია „პრაგმატიკა“, რომლის კომპლექსურობიდან და შინაარსიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია სასწავლო კურსს „პრაგმატიკა“ შეექმნას წინარე ცოდნა სასწავლო კურსის „სემანტიკა“ შეთავაზების საფუძველზე.

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამით III სემესტრში სავალდებულო სასწავლო კურსის სტატუსით გათვალისწინებულია „სოციოლინგვისტიკა“ და „პოლიტოლინგვისტიკა“. ვინაიდან პოლიტიკური დისკურსი სოციოლინგვისტიკის უშუალო შემადგენელი ნაწილია, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია სასწავლო კურსი „პოლიტოლინგვისტიკა“ დაჯგუფდეს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევით კურსებთან და გადაინაცვლოს შემდგომ სემესტრში, ვინაიდან აღნიშნული კურსით ხდება სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთი მიმართულებით ცოდნის გაღრმავება და პოლიტიკური ტექსტების ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სასწავლო კურსები არ ითვალისწინებს დამკვეთის წინაპირობებს. აღნიშნული მიდგომა მისაღებია ექსპერტთა ჯგუფისთვის ლიტერატურათმცოდნეობითი და ლინგვისტური მიმართულებით, თუმცა ვფიქრობთ, „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“-ის წინაპირობად აუცილებელია „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“-ის განსაზღვრა, რაც მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსით. შესაბამისად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია გასწორდეს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობა და „ძირითადი უცხო ენა

(გერმანული C1.1)-ი მითითებულ იქნას „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)-ის წინაპირობად.

დაშვების წინაპირობა არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო ნაშრომისთვის, რომელიც მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე აჯამებს სამაგისტრო საფეხურზე შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“ და ასევე ათვისებული კრედიტების (ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით სასწავლო კურსების ფარგლებში) ის ზღვრული რაოდენობა, რაც აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვებისათვის. პროგრამის სავალდებულო კომპონენტს შეადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომლის მაღალკვალიფიციურად მომზადებისა და მისი საჯარო დაცვისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება ხდება ეტაპობრივად, შემდეგი სასწავლო კურსების ფარგლებში: „ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის მეთოდები და მიმართულებები“ (5 კრედიტი), „დასავლეთევროპული კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემური საკითხები“ (5 კრედიტი), „სამეცნიერო წერა“ (5 კრედიტი). აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები ეცნობიან კვლევისა და ანალიზის თანამედროვე მეთოდებს, ამასთანავე სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ თითოეული ლინგვისტური თუ ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულების სასწავლო კურსი ითვალისწინებს სხვადასხვა მოცულობის ანალიტიკური თუ კვლევითი პროექტის განხორციელებას (ესე, რეფერატი, პრეზენტაცია). გარდა ზემოაღნიშნულისა, სასწავლო გეგმით II სემესტრში განსაზღვრულია „საკურსო ნაშრომის“ შესრულება, რომელიც წარმოადგენს მაგისტრანტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ დამოუკიდებელ კვლევით სამუშაოს. საკურსო აჩვენებს თუ რამდენად მზადაა მაგისტრანტი ხელმძღვანელის მეთვალყურეობით დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად. სამაგისტრო საფეხურზე ხელმძღვანელის მოვალეობა შემოიფარგლება სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად შესრულებული კვლევითი პროექტის კოორდინირებით და არა „მეთვალყურეობით“, რაც საბაკალავრო საფეხურისთვის რელევანტური პრაქტიკაა. სილაბუსის თანახმად, საკურსო ნაშრომი მიზანმიმართულად ამზადებს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისა და მისი საჯარო დაცვისთვის. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი - საკურსო ნაშრომი ტრანსფორმირდეს სრულიად სასწავლო კომპონენტის სახით, სადაც მაგისტრანტი დაეუფლება სამაგისტრო ნაშრომის დიზაინის აგების პრონციპებს, ან სრულად ამოღებულ იქნას სასწავლო გეგმიდან და ჩანაცვლდეს მაგისტრატურის საფეხურისთვის მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსით.

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ყველა კომპონენტი პასუხობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით სამაგისტრო საფეხურისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, პროგრამის ძლიერ მხარედ მიიჩნევა ინტერნაციონალიზაცია, რაც გამოიხატება გერმანულ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან (მაგ.: ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი, გოეთეს საზოგადოება და სხვა) მრავალწლიანი აქტიური თანამშრომლობით, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამებით (აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს გამართულ ინტერვიუებზე გამოიკვეთა, რომ სამაგისტრო საფეხურის ყველა სტუდენტი ნაშრომზე მუშაობისას ერთხელ მაინც იმყოფებოდა გერმანულ უნივერსიტეტში, სარგებლობდა მასპინძელი უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდით და აშ), უნივერსიტეტში DAAD-ს ბიუროს არსებობითა და ენის მატარებელი ლექტორის მუდმივი ჩართულობით პროგრამის

განხორციელებაში. ასევე აღსანიშნავია მდიდარი, მუდმივგანახლებადი გერმანულენოვანი საბიბლიოთეკო ფონდი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსებს თანამედროვე უცხოენოვანი სახელმძღვანელოებითა და სასწავლო რესურსებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურების თანახმად. პროგრამა შინაარსობრივად შედგენილია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეშვიდე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. აგრეთვე, ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, შესაბამისად პროგრამის შინაარსი (პრაქტიკული ენის, ლინგვისტური და ლიტერატურული თეორიული სასწავლო კურსებისა და სამეცნიერო-კვლევითი უნარების განმავითარებელი სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა), მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. ამასთან, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების მაგისტრი ფრანგულ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად და საერთო ჯამში, შედგება 120 კრედიტისგან. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 სემესტრი. შინაარსობრივად პროგრამა შედგება : ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები – 105 კრედიტი (მათ შორის: საკურსო ნაშრომი - 5 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი); ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები – 15 კრედიტი (შეთავაზებულია 8 სასწავლო კურსი).

სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები ლოგიკურად არის დალაგებული და თანმიმდევრულია, რაც გულისხმობს ერთი მხრივ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნის გაღმავება-განვითარებასა და სისტემატიზაციას, მეორე მხრივ, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული კურსების ფარგლებში მარტივი ლინგვისტური და ლიტერატურათმცოდნეობის თემატიკიდან რთულზე გადასვლას, თეორიული საკითხების შესწავლიდან ტექსტის ანალიზზე და კვლევაზე გადასვლას, ასევე სასპეციალიზაციო ფრანგული ენის დაუფლებას C 1.1 დონიდან და C2.1 დონემდე. სასწავლო კურსების წინაპირობები ლოგიკურია, თუმცა გაპარულია ტექნიკური უზუსტობა, ზოგიერთ სასწავლო კურსში მითითებული წინაპირობა არ ემთხვევა სასწავლო გეგმაში მითითებულ წინაპირობას. მაგ. სასწავლო კურსების - ფრანგული ენის სემანტიკა, ლინგვისტური პრაგმატიკა - სილაბუსებში წინაპირობად მითითებული აქვს ფრანგული ენა 1 (C 1.1), ხოლო ტექსტის ლინგვისტურ ანალიზს - ფრანგული ენა 2(C 1.2), რაც არ ფიქსირდება სასწავლო გეგმაში. სასურველია სასწავლო გეგმა შესაბამისობაში მოვიდეს სილაბუსებთან.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურად არის ჩართული ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ისინი მუდმივად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში და იცნობენ დარგის თანამედროვე მიღწევებს. პროგრამა თანამშრომლობს საფრანგეთის საელჩოსთან, AUF-თან, რომელიც მუდმივად აწყობს სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ტრენინგებს. თვითშეფასების ანგარიშს თან ახლავს რენის უნივერსიტეტის პროფესორის დომინიკ ტურეს დადებითი მოსაზრებები ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შესახებ.

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის შეფასების ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მეტ-ნაკლები ინტენსივობითა და მოცულობით ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე - პროგრამის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს დაბრკოლების გარეშე შეუძლია მისი ნახვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS-კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება სწავლების საფეხურს და უნივერსიტეტში დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგიას. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შემუშავებულია ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს (მეშვიდე დონე) და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებების მაგისტრი რუსულ ფილოლოგიაში - შესაბამისობაშია შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 სემესტრია, მოცულობა - 120 კრედიტი, რომელიც ნაწილდება შემდეგი სახით: ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 105 კრედიტი (მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი. სასწავლო კომპონენტი სრულდება პირველ სამ სემესტრში, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - მეოთხე სემესტრში. ასეთი სტრუქტურა და პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული, თუმცა, სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია იქნებოდა კვლევის მეთოდების სწავლება. ნაწილობრივად ამ მოთხოვნას ფარავს საგანი - „სამეცნიერო წერა“, მაგრამ სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე ჩანს, რომ აქ საუბარია ჩატარებული კვლევის გაფორმებაზე, პრეზენტაციაზე და არა თანამედროვე კვლევის მეთოდებზე (დისკურს ანალიზი, კონცეპტუალური ანალიზი და სხვ.).

პროგრამის შეფასების ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობდნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები, დიდ დახმარებას უწევდა ხარისხის სამსახური და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

“რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს, პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელ აკადემიურ პირებს აქვთ ხანგრძლივი ურთიერთობა აზერბაიჯანის სლავურ უნივერსიტეტთან, პოლონეთის საელჩოს წარმომადგენლებთან და პოლონეთის უნივერსიტეტებთან, სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულები ქართულ-პოლონურ ურთიერთობების ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას, ინფორმაცია განლაგებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურები;
- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დოკუმენტები
- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია მეორე უცხოური ენა მესამე და მეოთხე სემესტრებში რამდენიმე დონით იყოს შეთავაზებული სტუდენტებისთვის.

პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია პროგრამაში გაძლიერდეს ლინგვისტური მიმართულება (შესაძლოა ენის დაუფლების კომპონენტების შემცირების ხარჯზე), რაც უზრუნველყოფს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებების ოპტიმალურ თანაშეწონილობას.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კომპონენტი „საკურსო ნაშრომი“ შეთავაზებულ იქნას საბაკალავრო ნაშრომის სახით, გამომდინარე ზემოხსენებული სასწავლო კომპონენტის შინაარსიდან.

პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები, ისეთი სასწავლო კურსები, რომლებიც ითვალისწინებს ფრანგული ტექსტის/მაგალითების დამუშავება, ანალიზს, წინაპირობად განესაზღვროს შესაბამისი დონის ფრანგული ენის პრაქტიკული კურსი, იმისთვის რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგები იყოს რეალისტური.

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსს „პრაგმატიკა“ შეექმნას წინარე ცოდნა სასწავლო კურსის „სემანტიკა“ შეთავაზების საფუძველზე.

- **რეკომენდებულია** სასწავლო კურსი „პოლიტოლინგვისტიკა“ დაჯგუფდეს ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევით კურსებთან და გადაინაცვლოს შემდგომ სემესტრში.

- **რეკომენდებულია**, „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი - საკურსო ნაშრომი ტრანსფორმირდეს სრულიად სასწავლო კომპონენტის სახით, სადაც მაგისტრანტი დაეუფლება სამაგისტრო ნაშრომის დიზაინის აგების პრინციპებს, ან სრულად ამოღებულ იქნას სასწავლო გეგმიდან და ჩანაცვლდეს მაგისტრატურის საფეხურისთვის მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსით.

რჩევ(ებ)ი:

- **სასურველია** გაიზარდოს საკონტაქტო საათების რაოდენობა ენის დაუფლების სასწავლო კურსისთვის.
- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში, სადაც 1.4 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“, ხოლო 1.8 ნომრად მითითებული „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C 2)“, ნაცვლად უნდა ჩაიწეროს „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“.
- მიზანშეწონილია გასწორდეს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში არსებული ტექნიკური უზუსტობა და „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.1)“-ი მითითებულ იქნას „ძირითადი უცხო ენა (გერმანული C1.2)“-ის წინაპირობად.
- სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“, და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად).

პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რჩევ(ებ)ი:

- ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესების მიზნით არჩევითი საგნის სტატუსით სტუდენტს მიეცეს ფრანგულენოვანი კურსების არჩევის შესაძლებლობა.

პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- პროგრამაში შემავალი სასწავლო კომპონენტები არის ლოგიკურად დალაგებული, თუმცა, სამეცნიერო კვლევის ჩასატარებლად რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სწავლება ცალკე სასწავლო კურსის ფარგლებში, ან რომელიმე არსებული კურსის გაძლიერებით.

რჩევ(ებ)ი:

- რუსული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, სასურველია სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“, და ასევე სასწავლო კურსი/კურსები ლინგვისტიკის ან ლიტერატურის მიმართულებით (დიფერენცირებულად სამაგისტრო ნაშრომის მიმართულების შესაბამისად).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსები შინაარსობრივად მრავალფეროვანია და სტუდენტებს სთავაზობს პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის შექმნას და ტრანსფერული უნარების გამომუშავების შესაძლებლობას. საბაკალავრო პროგრამები დატვირთულია საბაზისო თეორიული კურსებით ლინგვისტიკის და/ან ენათმეცნიერების მიმართულებით, ასევე, უცხოურ ენაში სათანადო კომპეტენციის განმავითარებელი პრაქტიკული კურსებით. სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში აქცენტირებულია ლინგვისტიკის, ენათმეცნიერების, ლიტერატურის თეორიული ცოდნა და კვლევითი უნარების განვითარება სამაგისტრო ნაშრომების შესრულების სახით.

საერთო ჯამში, პროგრამის შინაარსი შეესაბამება დარგის სპეციფიკას, თუმცა, წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზის და გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კონკრეტულ პროგრამებში საჭიროა გარკვეულ სასწავლო კურსებში შინაარსის დაზუსტება და შინაარსის შესაბამისობაში მოყვანა კურსის მიზნებთან და შედეგებთან (ან მიზნების შესაბამისად, სასწავლო კურსის სწავლის შედეგების და შინაარსის სათანადო განსაზღვრა). აღნიშნული მოსაზრება განსაკუთრებით თვანსაჩინოა გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის, ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის და ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში. აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, გარკვეულ პროგრამებში მეტი აქცენტირებაა საჭირო კვლევითი უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებზე, რადგანაც სტუდენტებმა მიიღონ საფუძვლიანი ცოდნა კვლევის მეთოდოლოგიის

სპეციფიკის შესახებ. აღნიშნული დაფიქსირდა ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში (დეტალური ანალიზი იხილეთ შესაბამისი პროგრამების მიხედვით).

საერთო ჯამში, კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი სასწავლო კურსების კრედიტმოცულობა გააზრებულად არის განსაზღვრული. პროგრამის ხელმძღვანელები და შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორები გასაუბრების დროს ადასტურებდნენ, რომ კურსების კრედიტმოცულობის განსაზღვრის დროს ხელმძღვანელობდნენ შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებით, წინარე გამოცდინებით და თითოეული კურსის შინაარსის კომპლექსურობის გათვალისწინებით. აქვე აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსებში აბსოლუტურად ლოგიკურად არის განსაზღვრული საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა. კურსების შინაარსის სპეციფიკის გათვალისწინებით განსხვავებული მიდგომა თვანსაჩინოა თეორიული და პრაქტიკული კურსების შემთხვევაში.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება იმავე კურსის მიზნებს და საერთო ჯამში, თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და მიზნებთან. თუმცა, წარმოდგენილი სილაბუსების ანალიზის საფუძველზე, ექსპერტთან ჯგუფი მიიჩნევს, რომ რიგ შემთხვევებში, საჭიროა კონკრეტული სასწავლო კურსების შედეგების ენობრივად მოდიფიცირება ან გაერთიანება. აღნიშნული დაფიქსირდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო და ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თითოეული პროგრამის არგუმენტაციის ნაწილი).

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად დალაგებულია ცოდნა/გაცნობიერების, უნარების და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის კომპეტენციების განვითარების მიხედვით. თუმცა, რიგ შემთხვევებში, სასწავლო კურსების შინაარსის, ასევე, შეფასების კომპონენტებში გათვალისწინებით, სასწავლო კურსები გადის ავტონომიურობის შედეგებზე, მაგრამ ეს არაა ნათლად აღნიშნული სასწავლო კურსებში შესაბამისი შედეგების ფორმულირებით. აღნიშნული დაფიქსირდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, ასევე გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო და ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თითოეული პროგრამის არგუმენტაციის ნაწილი).

საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ძირითადად შესაძლებელია. თუმცა, კონკრეტულ პროგრამებში გამოიკვეთა ნაკლოვანები, როდესაც ამა თუ იმ კურსის სწავლის შედეგის შეფასების კომპონენტები არასაკმარისია ან ბუნდოვანია. მსგავსი მიგნებები დაფიქსირდა ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის და ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამების შემთხვევაში (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თითოეული პროგრამის არგუმენტაციის ნაწილი).

სასწავლო კურსებით განსაზღვრული ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება დარგის სიახლეებს და სპეციფიკას. კონკრეტული პროგრამების შემთხვევებში ექსპერტებმა გამოთქვეს რეკომენდაცია უცხოური ენის ლიტერატურის მეტად გამოყენების შესახებ (ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა და რუსული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა). გარკვეულ შემთხვევებში არის სახელმძღვანელოების დუბლირების შემთხვევები სასწავლო კურსებს შორის (მაგალითად, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო და გერმანული ენისა და ლიტერატურის

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში). გარკვეულ სილაბუსებში არის ტექნიკური ტიპის შეცდომები, მაგალითად არაა მითითებული გვერდები, სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული სახელმძღვანელოები სრულად არაა გაწერილი კვირეულ მასალებში, ა.შ.

გასაუბრების დროს პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ადასტურებდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერას სასწავლო კურსების ლიტერატურის განახლების კუთხით. სტუდენტებიც ადასტურებენ რომ ლიტერატურა ხელმისაწვდომია ელექტრონული კატალოგით და ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს და სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამეცნიერო ბაზებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციის, საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს სტუდენტისთვის პრაქტიკული და თეორიული ცოდნისა და უნარების განვითარებას. შესაბამისად, საერთო ჯამში, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი სილაბუსებით და კურიკულუმის რუკით.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტმოცულობის განაწილება ლოგიკურია და შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, მის შინაარსს. გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი თითოეული კურსისთვის კრედიტმოცულობის მინიჭებისათვის ხელმძღვანელობდა წინარე გამოცდილებით, კურსის შინაარსობრივი დატვირთვით და კომპლექსურობით. ასევე, ისინი აღნიშნავენ, რომ სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, კონკრეტული პრაქტიკული საგნების დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათები შეიცვალა. აღნიშნული დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრების შედეგადაც. შესაბამისად, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების ამჟამინდელი განაწილება შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსსა და კომპლექსურობას. ამ მოსაზრების დასადაგენად ასევე შესწავლილი იყო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სილაბუსები.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სიახლეებს. თუმცა, სილაბუსების გაცნობის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირებები გადასახედია, არის შემთხვევები როდესაც შედეგების ფორმულირება მეორდება, ან მიზანშეწონილია სასწავლო კურსში შედეგების გაერთიანება მეტი სიცხადისთვის და შეფასების უზრუნველყოფისთვის. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, რომელთა განზოგადება შეიძლება:

- სასწავლო კურსი “**მხატვრული ტექსტის კითხვა**”: შესაძლებელია მე-6 შედეგის ამოღება (აჯამებს შინაარსს მოთხრობის ელემენტების დადგენის საშუალებით, აღმოაჩენს ნაცნობ ლიტერატურულ ელემენტებს ნაცნობ და უცნობ მხატვრულ ტექსტში) ან მისი ინტეგრაცია მე-2 (განსაზღვრავს მოთხრობის შემადგენელი ზოგიერთი ელემენტის [...] ასევე, ლიტერატურული ელემენტების და ტერმინების [...] არსს) და მე-5 შედეგებთან

(გადმოცემს წაკითხული ტექსტს და/ან ახდენს მის პერეფრაზირებას), რადგან ისინი არსობრივად ერთმანეთს იმეორებს.

- სასწავლო კურსი **“ინგლისურენოვანი აკადემიური წერის საფუძვლები”**: შესაძლებელია მე-6 (აანალიზებს და აფასებს საკუთარ და მეწყვილეს აკადემიურ აზრს) და მე-8 (აფასებს ობიექტურად და კონსტრუქციულად საკუთარ და პარტნიორის ნაშრომს, რითიც ხელს უწყობს სწავლის საჭიროებების განსაზღვრას) შედეგების გაერთიანება.
- სასწავლო კურსების **„მხატვრულ ტექსტის ინტერპრეტაციის საფუძვლები“** და **„მხატვრული ტექსტის კითხვა“** ფაქტობრივად იდენტურია და საჭიროებს გადახედვას კურსების შინაარსის გათვალისწინებით.
- სასწავლო კურსი **„ინგლისური ენის ისტორია“**: პირველი (აღწერს და აჯამებს ინგლისური ენის განვითარების უძველესი ეტაპიდან დღემდე ენაში მომხდარი სტრუქტურულ და შინაარსობრივ ცვლილებებს) და მეოთხე (აღარებს ინგლისური ენის სამ პერიოდს) შედეგი ფაქტობრივად იდენტურია და საჭიროა მათი გაერთიანება.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები დალაგებულია ცოდნა/გაცნობიერები, უნარების და პასუხისმგებლობა ავტონომიურობის კონცეფციების მიხედვით. თუმცა, სასწავლო კურსების უმრავლესობაში არაა ნათლად წარმოჩენილი აღნიშნული პრინციპით სასწავლო კურსების შედეგების დაყოფა. არის შემთხვევები, როდესაც უბრალოდ ტექნიკურად არაა გაყოფილი შედეგები, რიგ შემთხვევებში რიგითობა ამ სამ კომპონენტს შორის არეულია, ან გარკვეულ შემთხვევებში, კურსის შინაარსის და შეფასების კომპონენტების გათვალისწინებით შესაძლებელია ავტონომიურობაზე გასვლა, მაგრამ არაა განსაზღვრული სილაბუსით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- სასწავლო კურსი **„თემატური ლექსიკა“**: შესაძლებელია პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის განვითარება მაშინ როდესაც არსებობს შედეგი „მუშაობს დამოუკიდებლად ლექსიკური მარაგის უკეთ დაუფლების მიზნით ლექსიკონის წარმოების პროცესში“ (შედეგი მე-7).
- სასწავლო კურსი **„მხატვრული ტექსტის კითხვა“**: რამდენიმე შედეგით შესაძლებელია ავტონომიურობის განსაზღვრა (მაგალითად: აკავშირებს წინარე გამოცდილებას/ცოდნას (schema) და ახალ შინაარსს)
- სასწავლო კურსი **„ენათმეცნიერების შესავალი“**: შედეგი მოიძიებს ინფორმაციას თანამედროვე ტექნოლოგიების მეშვეობით და ახდენს მასალის პრეზენტირებას - შესაძლოა გარკვეულწილად გავიდეს ავტონომიურობაზე.
- სასწავლო კურსი **„ინგლისური ენის კომუნიკაციური გრამატიკა“**: შედეგების ერთობლიობით შესაძლებელია სტუდენტის პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის განვითარება.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვის შემდეგ, მნიშვნელოვანია შესაბამისი კურსის ყველა შედეგის შეფასების სათანადო უზრუნველყოფა ამათუიმ შეფასების კომპონენტით. ამ ეტაპზე, გარკვეული სწავლის შედეგების შეფასება შეიძლება სადაო იყოს და საჭიროებს მეტ სიცხადეს სილაბუსებში. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

- სასწავლო კურსი **„ინგლისური ენის წარმოქმის საფუძვლები“**, მე-5 შედეგი (იყენებს შესწავლილ ფონეტიკურ სიმბოლოებს ლექსიკონზე მუშაობისას) არ ფასდება სილაბუსით გაწერილი შეფასების კომპონენტებით. შესაძლებელია აღნიშნული შედეგის ამოღებაც სილაბუსიდან.
- სასწავლო კურსი **„მხატვრული ტექსტის კითხვა“**: პირველი შედეგი (ასახელებს მხატვრული ტექსტის სწორად გააზრებისთვის საჭირო კითხვის სხვადასხვა სტრატეგიების (predicting, questioning, activating prior knowledge (schema), inferring,

rereading) და ახდენს მათ ილუსტრირებას) ფაქტობრივად არ ფასდება, რადგან შეფასების კომპონენტები არ მოიცავს თეორიულ საკითხებს.

- სასწავლო კურსი „ლიტერატურისმცოდნეობის შესავალი ინგლისური ფილოლოგიისთვის“: შედეგი 4 (აფიქსირებს საკუთარ პოზიციას პროფესიულ ლიტერატურასთან მიმართებაში და აფასებს სხვათა მოსაზრებებს) და შედეგი 7 (აკავშირებს ტექსტს სხვა მსგავსი თემატიკისა თუ მხატვრული მახასიათებლების მქონე ტექსტებთან) წარმოდგენილი კომპონენტებით ვერ ფასდება.
- სასწავლო კურსი „ინგლისური პრესა“: მე-3 შედეგი (ახდენს ინგლისურენოვანი გაზეთების ტიპებისა და მათი შემადგენელი ნაწილების იდენტიფიცირებას და კლასიფიცირებას) არ ფასდება წარმოდგენილი კომპონენტებით.

სასწავლო კურსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვეა, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ასახავს სწავლის სფეროს მიღწევებს. სილაბუსებში არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც სავალდებულო ლიტერატურის ნუსხით განსაზღვრული წიგნები სრულად არაა დაფარული კვირეულ ჩაშლაში ან ორ სასწავლო კურსში გამოიყენება ერთი და იგივე სახელმძღვანელო, მაგალითად:

- სასწავლო კურსი „ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში“: სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში ჩამოთვლილი 7 წიგნი/რესურსი, კვირეულ გადანაწილებაში ნახსენებია მხოლოდ ოთხი მათგანი.
- სასწავლო კურსებში „ენობრივი უნარები 1“ და „ინგლისური ენის გრამატიკა“ მითითებული ერთი და იგივე წიგნი (Michael Vince, Macmillan English Grammar in Context, Intermediate, 2008) სავალდებულო ლიტერატურაში. იგივე წიგნი მეორდება კურსში „ენობრივი უნარები 3“, ამჯერად როგორც დამატებითი ლიტერატურა.
- სასწავლო კურსი „ენათმეცნიერების შესავალში“ მითითებულია 5 სავალდებულო ლიტერატურა, კვირეულ გადანაწილებაში ნახსენებია მხოლოდ 4. აქვე, არაა მითითებული განსაზღვრული წიგნების გვერდები, სხვა სილაბუსებისგან განსხვავებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

კლასტერში დაჯგუფებული „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების ძირითადი ნაწილი 5 კრედიტიანია, გვხვდება ასევე 3,4 და 6 კრედიტის მოცულობის მოიცავს საგნებიც. თითოეულ კრედიტზე გაანგარიშებულია სულ 25 საათი. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გასაზღვრულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, ასევე საკონტაქტო საათების გადანაწილება სალექციო და პრაქტიკულ საათებად. მაგ.: გერმანული ენის პრაქტიკული კურსისთვის 5 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებულია 90 საკონტაქტო საათი, ხოლო ლიტერატურის კურსებისთვის - 45 საკონტაქტო საათი, რაც მართებული გადაწყვეტაა და სრულად შეესაბამება აღნიშნული დისციპლინების სპეციფიკას, ვინაიდან სავალდებულო მხატვრული ლიტერატურის წაკითხვისა და დამუშავებისთვის მეტი არასაკონტაქტო საათია რელევანტური. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო სასწავლო კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

- სასწავლო კურსის „გერმანული ენა 8“ ფარგლებში მაგ. 2, 3, 9, 10 კვირეებში შინაარსით გათვალისწინებულია ლინგვისტიკის საკითხები, შესაბამის ძირითად ლიტერატურად მითითებულია სახელმძღვანელო „Schwarz-Friesel, Monika, Consten, Manfred: Einführung in die Textlinguistik. Darmstadt: WBG, 2014“. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის

მოსაზრებით, მნიშვნელოვანია მოდიფიცირდეს სასწავლო კურსის „გერმანული ენა 8“ შინაარსი, ამოღებულ იქნას თეორიული კურსის „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ ცალკეული თემები, რათა წინამდებარე სასწავლო კურსი არ მოვიდეს მეორე კურსის თემატურ გადაფარვაში.

- „წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა“ წარმოდგენილია 4 სასწავლო კურსით. როგორც სილაბუსების დეტალურმა ანალიზმა (შინაარსი, სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, შეფასების ფორმები და რუბრიკები) ცხადყო, „წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა 1“ სრულად ეთმობა გერმანული ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ასპექტების შესწავლას, გარდა ამისა სწავლის შედეგი - სტუდენტი „ახორციელებს ზეპირ კომუნიკაციას ენობრივი ნორმების დაცვით“ მიზანმიმართულად ითვალისწინებს მხოლოდ ზეპირმეტყველების უნარების განვითარებას. „წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა 2-ის“ სილაბუსით ფონეტიკისა და გრამატიკის საკითხებთან ინტეგრირებულია ინტენსიური კითხვის კომპონენტებიც. მომდევნო სასწავლო კურსების „წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა 3 და 4“ ფარგლებში შინაარსს ემატება მხატვრული ტექსტის კითხვისა და კომუნიკაციური წერის ასპექტები. საგულისხმოა, რომ კვირეებად ჩაშლილ ფონეტიკის, გრამატიკის, კითხვისა თუ წერის საკითხებს შორის არ იკვეთება პირდაპირი შინაარსობრივი ბმა და თითოეული კომპონენტი შეთავაზებულია პარალელურ რეჟიმში, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, სასურველია სასწავლო კურსების „წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა 1,2,3,4“ სათაური და შინაარსი მოვიდეს თავსებადობაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და უნარების განვითარებას. პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (სულ 24 სასწავლო კურსი, რომელთაგან 12 ეძღვნება პრაქტიკული ენის ცოდნის გაღრმავებას, ფრანგულ ენაზე წერისა და მეტყველების გაუმჯობესებას, 3 ლინგვისტიკას, 7 ლიტერატურას, 1 ისტორიას). პროგრამაში ასევე მოცემულია 16 არჩევითი კურსი, სტუდენტს შეუძლია ცოდნა გაიღრმავოს ლინგვისტიკის, ლიტერატურის, მეთოდის კუთხით ან დაეუფლოს უცხო ენას.

საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება ლოგიკურია და შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და შინაარსს. გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი თითოეული კურსისთვის კრედიტების მინიჭებისას ითვალისწინებდა კურსის შინაარსობრივ დატვირთვას. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში მოდიფიცირება განიცადა სავალდებულო და არჩევითმა სასწავლო კურსებმა. სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა: „ფრანგული ენა და მულტიმედია“, „თანამედროვე ფრანკოფონული ლიტერატურა“. არჩევით სასწავლო კურსებს დაემატა: „ფრანგული ლირიკის ჟანრული ფორმები“, „კომპიუტინგის შესავალი და კომპიუტერული უნარ-ჩვევები“, „შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია“, „მსოფლიო ისტორია“, „ფრანგული ტექსტების კითხვის ინტენსიური კურსი“.

საერთო ჯამში, სასწავლო კურსებს სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შედეგებს. თუმცა,

- სასურველია ზოგიერთი სასწავლო კურსის და პროგრამის სწავლის შედეგი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგი 2, სადაც აღნიშნულია რომ სტუდენტი „განმარტავს ლიტერატურის განვითარების ტენდენციებს ზოგადევროპული და ამერიკული ლიტერატურის კონტექსტში“, შესაბამისობაში მოვიდეს ამ შედეგზე გამსვლელი კონკრეტული სასწავლო კურსების მიზნებთან, შედეგებთან და აისახოს თემატურ მასალაში ან პირიქით, შეიცვალოს პროგრამის სწავლის შედეგის ფორმულირება.
- სასურველია, სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის შედეგებშიც უფრო მეტად გამოიკვეთოს *პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის* შედეგები. პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია მხოლოდ პასუხისმგებლობა, რაც ასევე დასტურდება 5 ძირითადი სასწავლო კურსით. მიხედვად იმისა, რომ სასწავლო კურსების შეფასების ფორმები ითვალისწინებს სტუდენტისთვის ავტონომიურობის უნარის გამომუშავებას, აღნიშნული არ ჩანს სასწავლო კურსებისა და პროგრამის შედეგებში. მართალია, აკრედიტაციის სტანდარტში მითითებული, რომ „პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას“, მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, რომ ცოდნა და ტრანსფერული უნარები მოკლებულია ავტონომიურობასა და პასუხისმგებლობას. ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა ნაწილია როგორც დარგობრივი ცოდნის, ასევე ტრანსფერული უნარების. ნიმუშისთვის იხილეთ ენის ფლობის დარგობრივი მახასიათებელი, სადაც ამ კონცეფციითაა აღნიშნული - „ავლენს ნაცნობ და უცნობ (არაპროგნოზირებად), მათ შორის ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ გარემოში დროისა და შრომის ორგანიზების უნარს“, ან/და კვალიფიკაციის მე-6 დონის აღმწერი “საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება”.
- სასურველია, სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგებშიც, ენის ფლობისა დარგობრივი მახასიათებლისა და კვალიფიკაციის მე-6 დონის აღმწერის შესაბამისად, გამოიკვეთოს „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად“. გამომდინარე იქიდან, რომ ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, პროგრამის სასწავლო კურსებში ინტეგრირებულია პრეზენტაციისა და ესეების მომზადება, თუმცა შესაბამისი სწავლის შედეგი არ არის გამოკვეთილი სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგებში.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება ძირითადად უზრუნველყოფილია სათანადო შეფასების კომპონენტებით, თუმცა დასახვეწია შეფასების კრიტერიუმები.

- სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით სასურველია ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოვიდეს სასწავლო კურსის შედეგები და შეფასების კრიტერიუმები. მაგ. სასწავლო კურსების სილაბუსებში არ ჩანს თუ რა ცოდნა და უნარები ფასდება შუალედური გამოცდით, დასკვნითი გამოცდით. პრეზენტაციის, ესე-ს შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები უნიფიცირებულია ყველა სილაბუსში და სასურველია ითვალისწინებდეს კონკრეტული სასწავლო კურსების შედეგების გაზომვას. მაგ. სასწავლო კურსის - **უახლესი ფრანგული ლიტერატურა** - ერთ-ერთი შედეგია “იყენებს ლიტერატურული კვლევის მეთოდებს XX საუკუნის ფრანგ ავტორთა ცალკეული ნაწარმოებების გასაანალიზებლად”, თუმცა არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი

თუ შეფასების რომელი ფორმით იზომება აღნიშნული შედეგი. სასწავლო კურსის - **თანამედროვე ფრანკოფონული ლიტერატურა** - ერთ-ერთი შედეგია - “მოიძიებს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციას და მათი განზოგადების საფუძველზე ახდენს თანამედროვე ფრანკოფონული (ფრანგულენოვანი) ლიტერატურული ნაწარმოებების კლასიფიცირებას” - თუმცა არ არის გამოკვეთილი შეფასების რომელი ფორმით იზომება აღნიშნული შედეგი.

სასწავლო კურსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა მეტწილად თანამედროვეა, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ასახავს სწავლის სფეროს მიღწევებს, თუმცა ფრანგული ლიტერატურის მიმართულეებით ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას თანამედროვე ლიტერატურით. მაგ.

- სასწავლო კურსში - **XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორია**, - მითითებული სავალდებულო ლიტერატურა - საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია (XIX). ნაწილი II, თბილისი, გამ., „განათლება“ 1985. 607 გვ.- სასურველია ჩანაცვლდეს თანამედროვე სახელმძღვანელოთი.

სასურველია შედარებით მაღალ სემესტრზე გათვლილ სასწავლო კურსებში, როდესაც სტუდენტს აქვს უკვე საკმარისი ფრანგული ენის ცოდნა, სასწავლო კურსები გამდიდრეს ფრანგულენოვანი ლიტერატურით, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლა/გამოყენებას, დარგთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე ფრანგულ ენაზე მსჯელობას, ხოლო მეორე მხრივ სტუდენტი გაეცნობა სფეროს თანამედროვე მიღწევებს.

ამასთან,

- ფრანგული ლიტერატურის ისტორიის კურსის სილაბუსებში სავალდებულოდ მითითებულია მხოლოდ ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოები, სასურველია მიეთითოს იმ ლიტერატურული ტექსტების ნუსხაც, რომლის წაკითხვა/განალიზებაც სავალდებულოა კურსის შედეგების მისაღწევად.
- არჩევითი სასწავლო კურსის - **ფრანგული ენის სწავლების მეთოდიკა** - სახელწოდება, მიზნები, შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში. მაგ. სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს “შეასწავლოს ფრანგული ენის სწავლების თანამედროვე პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მიდგომები და თეორიები; გაკვეთილის ჩატარების პროცესში თანამედროვე მიდგომები და მეთოდები”, თუმცა სასწავლო კურსის შედეგები, სავალდებულო ლიტერატურა და შინაარსი ორიენტირებულია მხოლოდ ზოგადად უცხოური ენების სწავლების მეთოდიკაზე. აღნიშნულ კურსში ასევე შესაბამისობაშია მოსაყვანი კურსის შედეგები და შეფასების რუბრიკები.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შინაარსი და შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს: რუსული ფილოლოგიის ცოდნის ჩამოყალიბებას, ტრანსფერული და სპეციალური უნარების განვითარებას და აკადემიურ კეთილსინდისიერებას. პრაქტიკული და თეორიული ხასიათის სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი სილაბუსებით და კურიკულუმის რუკით.

თითოეული სასწავლო კურსის მიზნები შეესაბამება ამ საგნის ფარგლებში დაგეგმილ სწავლის შედეგებს, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მოითხოვს ფორმულირების დახვეწას. ასე მაგალითად, სასწავლო კურსის „პრესის ენა“ მიზნები ორიენტირებულია მხოლოდ ცოდნაზე, შედეგებში კი ჩამოთვლილია ბევრი ტრანსფერული და სპეციალური უნარი.

გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგნის ასათვისებლად გამოყოფილია ხუთ-ხუთი კრედიტი, რუსული ენის პრაქტიკული კურსებისთვის 125 საათიდან 75 საათი საკონტაქტოა და 47 დამოუკიდებელი (3 საათი გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის); თეორიული საგნებისთვის კი ეს შეფარდება იცვლება: 45 საათი საკონტაქტოა, 77 - დამოუკიდებელი, რაც დასტურდება წარმოდგენილი სილაბუსებითა და სასწავლო გეგმით. ცალკეულ შემთხვევაში თეორიული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე 125 საათიდან 60 საათი საკონტაქტოა, 3 საათი გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის და 62 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას (მაგალითად: მართლწერის ინტენსიური კურსი, კლასიკური ფილოლოგიის საფუძვლები). სასწავლო კურსების სწავლის შედეგის მიღწევა რეალური და გაზომვადია.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და საერთო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არ პასუხობს საგნის სპეციფიკას, კერძოდ, პირველ სემესტრში ქართულ ენაზე ისწავლება სავალდებულო საგანი „შესავალი რუსულ ფილოლოგიაში“, მაგრამ სავალდებულო ლიტერატურის ნუსხაში მითითებულია ორი რუსულენოვანი რუსული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელო, დამატებით ლიტერატურაში კი - რუსულენოვანი რუსეთის ისტორია.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შეესაბამება სწავლის სფეროს მიღწევებს და მოიცავს თანამედროვე კვლევებს შესაბამის სფეროში, თუმცა ცალკეულ სილაბუსებში მითითებული სასწავლო ლიტერატურა მოითხოვს განახლებას, მაგალითად: ენათმეცნიერების შესავალი, ზოგადი ენათმეცნიერება, რუსული ლიტერატურის პროპედევტიკული კურსი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)

ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციის, საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნისა და კვლევის უნარების განვითარებას. პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (სულ 14 სასწავლო კურსი, რომელთაგან 4 ეძღვნება ლიტერატურას, 6 ლინგვისტიკის მიმართულებას და 3 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ცოდნის და უნარების გაღრმავებას). პროგრამაში ასევე მოცემულია 13 არჩევითი კურსი, რაც ნამდვილად ქმნის შინაარსობრივ მრავალფეროვნებას. შესაბამისად, საერთო ჯამში, სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი სილაბუსებით და კურიკულუმის რუკით.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტმოცულობის განაწილება ლოგიკურია და შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას, მის შინაარსს. გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი თითოეული კურსისთვის კრედიტმოცულობის მინიჭებისათვის ხელმძღვანელობდა წინარე გამოცდილებით, კურსის შინაარსობრივი დატვირთვით და კომპლექსურობით. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროგრამაში გაჩნდა კურსი “დარგის კვლევის მეთოდები”, ასევე სასწავლო კურსების შინაარსით აქცენტირებული კვლევების სპეციფიკა და უნარები, რაც არ იყო წინა პროგრამაში. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით, გადაიხედა სასწავლო კურსების სემესტრული განაწილებაც. ასევე სამაგისტრო საფეხურზე, წინა წლებისგან განსხვავებით, არ ისწავლება პრაქტიკული ენა და იგი ჩანაცვლდა კურსებით “დისკურსი 1” და “დისკურსი 2”.

თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება დარგის სპეციფიკას და სიახლეებს. სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შედეგებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება უზრუნველყოფილია სათანადო შეფასების კომპონენტებით. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვეა, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ასახავს სწავლის სფეროს მიღწევებს. აღნიშნული დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)

კლასტერში დაჯგუფებული „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების მოცულობა 5-5 კრედიტია, გვხვდება თითოეულ კრედიტზე გაანგარიშებულია სულ 25 საათი. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე გასაზღვრულია საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაოსთვის განკუთვნილი საათების რაოდენობა, ასევე საკონტაქტო საათების გადანაწილება სალექციო და პრაქტიკულ საათებად. მაგ.: გერმანული ენის პრაქტიკული კურსისთვის 5 კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებულია 60 საკონტაქტო საათი, ხოლო სხვა დანარჩენი კურსებისთვის - 45 საკონტაქტო საათი, რაც მართებული გადაწყვეტაა და სრულად შეესაბამება აღნიშნული დისციპლინების სპეციფიკას, ვინაიდან სამაგისტრო საფეხურზე სავალდებულო ლიტერატურის გაცნობისა და დამუშავებისთვის მეტი არასაკონტაქტო საათია რელევანტური. სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო სასწავლო კურსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ძირითადად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების ანალიზმა გამოავლინა შემდეგი გარემოებები:

- სასწავლო კურსი „სამეცნიერო წერა“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია I სემესტრში, წინ უსწრებს და ამზადებს სავალდებულო „საკურსო ნაშრომისა“ (II სემესტრი) და სამაგისტრო ნაშრომისათვის (IV სემესტრი). „სამეცნიერო წერის“ სწავლის ერთ-ერთი შედეგი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: სტუდენტი „წერს სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო ნაშრომს ტექსტის სახეობისთვის დამახასიათებელ თავისებურებების გათვალისწინებით.“ აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, ვინაიდან „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამა ქართულენოვანია და შესაბამისად, როგორც საკურსო, ასევე საკვალიფიკაციო ნაშრომი იწერება ქართულ ენაზე, სასურველია სასწავლო კურსი „სამეცნიერო ენა“, იკითხებოდეს ქართულად.
- სასწავლო რესურსის ანალიზმა ცხადყო, რომ რიგ შემთხვევებში ხდება სახელმძღვანელოების დუბლირება სხვადასხვა სასწავლო კურსში, მაგ.: Linke: Einführung in die Textlinguistik გათვალისწინებულია „გერმანული ენის ფონეტიკისა და

ფონოლოგიის“ (MA) სილაბუსით როგორც ძირითადი და „ტექსტის ლინგვისტიკის“ (M) სილაბუსით როგორც დამატებითი ლიტერატურა. ასევე Hirschfeld : Phonetik im Fach DaF und DaZ, მითითებულია „გერმანული ენის ფონეტიკისა და ფონოლოგიის“ (MA) და „ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურა 2“ (BA) სილაბუსებში ძირითად, ხოლო „ზეპირი და წერიტი მეტყველების კულტურა 1“ (BA) სილაბუსში დამატებით ლიტერატურად. ამავდროულად, სახელმძღვანელო Hirschfeld : Phonetik im Fach DaF und DaZ მეტწილად გერმანულის, როგორც უცხო ენისა და გერმანული, როგორც მეორე ენის დიდაქტიკისთვის საჭირო თემატიკას მოიცავს, ნაცვლად ფონოლოგიის თეორიული კურსისთვის რელევანტური თემებისა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და მათი განსაზღვრა მოხდეს სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით.

- აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს შერჩევითობის პრინციპით გავეცანით და გავაანალიზეთ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები, როგორც ლინგვისტიკის, ასევე ლიტერატურის მიმართულებით. წარმოდგენილ საკვალიფიკაციო ნაშრომებში დეტალურად არის გაანალიზებული ქართულ- და უცხოენოვანი სამეცნიერო წყაროები, რასაც ეყრდნობა მაგისტრანტი, მაგრამ შესავალი ნაწილი მწირად ან საერთოდ არ ასახავს კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევის პრინციპებს, არ სახელდება მეთოდები, რითიც შესრულდა კვლევა. აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდებულია სასწავლო კურსებით შეთავაზებული კვლევითი კომპონენტის უფრო მკაფიოდ წარმოდგენა საკვალიფიკაციო ნაშრომში, რაც ხელს შეუწყობდა შერჩეული საკვლევე კორპუსის გამოყენების დასაბუთებას და დასკვნის ტრანსპარენტულობას .

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსები მრავალფეროვანია და უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თეორიული ცოდნისა და კვლევის უნარების განვითარებას. პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო/კვლევითი კურსებისგან (სულ 16 კურსი, რომელთაგან 3 ეძღვნება პრაქტიკული ენის ცოდნის გაღრმავებას, 4 ლინგვისტიკის მიმართულებას, 4 ლიტერატურას, 4 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და 1 სამაგისტრო ნაშრომი). პროგრამაში ასევე მოცემულია 8 არჩევითი კურსი, სტუდენტს შეუძლია ცოდნა გაიღრმავოს ლინგვისტიკის, ლიტერატურის, ციფრული მედია წიგნიერების კუთხით ან დაეუფლოს უცხო ენას.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების კრედიტების განაწილება ლოგიკურია და შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და შინაარსს. გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი თითოეული კურსისთვის კრედიტების მინიჭებისას ითვალისწინებდა კურსის შინაარსობრივ დატვირთვას. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ რეაკრედიტაციისთვის მზადების პროცესში „ფრანგული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამას დაემატა ახალი სავალდებულო სასწავლო კურსი „ფრანგული სტრუქტურალიზმი და ლიტერატურათმცოდნეობა“, გამრავალფეროვნდა არჩევითი კურსები და დაემატა: „ციფრული და მედია წიგნიერება“, „მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 1“, „მეორე უცხო (ინგლისური, გერმანული, რუსული) ენა 2“, „ანტიკურობა და ფრანგული

ლიტერატურა“, „ფრანგული ენის სტილისტიკა“ , „კლასიკური ფორმალური ლოგიკა“. გადაიხედა სასწავლო კურსების შინაარსი და აქცენტი გაკეთდა კვლევითი უნარების გამომუშავებაზე,

საერთო ჯამში, სასწავლო კურსებს სწავლის შედეგები ნათლად არის ფორმულირებული და შეესაბამება პროგრამის მიზნებს და შედეგებს. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება ძირითადად უზრუნველყოფილია სათანადო შეფასების კომპონენტებით, თუმცა დასახვეწია კრიტერიუმები. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა მეტწილად თანამედროვეა, შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ასახავს სწავლის სფეროს მიღწევებს, თუმცა ფრანგული ლიტერატურის მიმართულელებით ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, ფრანგულენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას და კურსის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას. სწავლის შედეგების მიღწევის სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად სასურველია ცვლილებები განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით:

- ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა სრულად შესაბამისობაში მოვიდეს კურსის მიზნებთან, სწავლის შედეგებთან და შინაარსთან .

მაგალითად, სასწავლო კურსის - **ფრანგული სტრუქტურალიზმი და ლიტერატურათმცოდნეობა**- სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას და კურსის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნულ სასწავლო კურსის შედეგების (მსჯელობს კლოდ ლევი სტროსის ეთნოლოგიის, როლან ბარტის სემიოლოგიის და ჟაკ ლაკანის ფსიქოანალიზის მიმართებაზე მხატვრულ ტექსტთან და გამოთქვამს დასაბუთებულ მოსაზრებებს; ანალიზებს ავტორისა და დისკურსის პრობლემას მიშელ ფუკოსთან; ახდენს მხატვრული ტექსტების ინტერპრეტაციას განსხვავებული კვლევითი მეთოდების გამოყენებით) მიღწევა რთული იქნება შედეგებში მითითებული ავტორების: კლოდ ლევი სტროსის, ჟაკ ლაკანის, როლან ბარტის, მიშელ ფუკოს ნაშრომების წაკითხვის გარეშე.

- განახლდეს ლიტერატურის მიმართულებით სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა სწავლის სფეროს მიღწევების ამსახველი თანამედროვე ქართულ/ფრანგულენოვანი ლიტერატურით, არ მოხდეს საბაკალავრო საფეხურზე მითითებული ლიტერატურის ისტორიის შემსწავლელი სახელმძღვანელოების დუბლირება.

მაგ. სასწავლო კურსში - **ფრანგული ლირიკის ისტორიული პოეტიკა**- პირველ ნომრად მითითებული სავალდებულო წიგნი - არჩვამე ზ., ლეონიძე ნ., *ფრანგული ლიტერატურის ისტორია (ტომი I)*. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. ქუთაისი. 2019. 374 გვ., რომელიც სამაგისტრო საფეხურზე ისწავლება 9 კვირის მანძილზე. აღნიშნული ლიტერატურა მეორდება საბაკალავრო საფეხურზეც სასწავლო კურსში - **XIX საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ისტორია**, სადაც ის მითითებულია ყველა სასწავლო კვირაში.

სასწავლო კურსში - **ფრანგული რომანის პოეტიკა** - მითითებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა წარმოადგენს საბაკალავრო საფეხურის სხვადასხვა სავალდებულო კურსის სავალდებულო ლიტერატურის გამეორებას. ამასთან აღნიშნული სასწავლო კურსში შეფასების რუბრიკები არ არის მორგებული სწავლის შედეგებს.

- ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთ სასწავლო კურსში გადაიხედოს სტუდენტის კვირეული დატვირთვა და მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის გონივრული გადანაწილება კვირების მიხედვით.

მაგალითად „სასწავლო კურსის - **ფრანგული სტრუქტურალიზმი და ლიტერატურათმცოდნეობა**-. სასწავლო მასალა არ არის ადეკვატურად გადანაწილებული კვირების მიხედვით. მაგ. სავალდებულო ლიტერატურა დოიაშვილი, თ., -ს *სტრუქტურალიზმი: Pro et contra*, ლიტერატურული აღმანახი, „ცისკარი“ № 6, 1979. 75-82 გვ., წარმოადგენს მხოლოდ 7 გვირდს და მისი შესწავლა გადანაწილებულია I, II, III, VI, XV და XVI სასწავლო კვირაზე. ანალოგიურად, სავალდებულო ლიტერატურა - ებანოიძე, *მ., ფრაგმენტები დისკურსის პრობლემებზე*. თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი, 2001. 30 გვ. - გადანაწილებულია 11 სასწავლო კვირაზე; რიგით მესამე სავალდებულო ლიტერატურა- ლაბუჩიძე-ხოფერია დ., წინასიტყვა. მიშელ ფუკოს წიგნიდან „სიტყვები და საგნები“, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი, 2005. 3-15 გვ., რომელიც წარმოადგენს 12 გვერდს, ისწავლება - 2 სასწავლო კვირის მანძილზე 6 საკონტაქტო საათის ფარგლებში. .სამაგისტრო პროგრამის ყველა სასწავლო კურსში შეფასების რუბრიკები უნიფიცირებულია, შედეგების გასაზომად საჭიროა მათი მორგება სასწავლო კურსის შედეგებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების შინაარსი და შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს: რუსული ფილოლოგიის ღრმა და სისტემურ ცოდნის ჩამოყალიბებას, ტრანსფერული და სპეციალური უნარების განვითარება/გაღრმავებას და აკადემიურ კეთილსინდისიერებას.

პროგრამა შედგება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსებისგან (სავალდებულო 15 სასწავლო კურსიდან 7 ეძღვნება ლიტერატურას, 7 ლინგვისტიკის მიმართულებას და 1 სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ცოდნის და უნარების გაღრმავებას). პროგრამაში ასევე მოცემულია 6 არჩევითი კურსი. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსები უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდგენილი სილაბუსებით და კურიკულუმის რუკით.

თითოეული სასწავლო კურსის მიზნები შეესაბამება ამ საგნის ფარგლებში დაგეგმილ სწავლის შედეგებს. გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგნის ასათვისებლად გამოყოფილია ხუთ-ხუთი კრედიტი, რუსული ენის პრაქტიკული კურსებისთვის 125 საათიდან 60 საათი საკონტაქტოა და 62 დამოუკიდებელი (3 საათი გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის); თეორიული საგნებისთვის კი ეს შეფარდება იცვლება: ჩვეულებრივ, 30 საათი საკონტაქტოა, 92 - დამოუკიდებელი, რაც დასტურდება წარმოდგენილი სილაბუსებითა და სასწავლო გეგმით. ცალკეულ შემთხვევაში თეორიული საგნის სპეციფიკიდან და სასწავლო მასალის მოცულობიდან გამომდინარე 125 საათიდან 45 საათი საკონტაქტოა, 3 საათი გათვალისწინებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდებისთვის და 77 საათი ეთმობა სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას (მაგალითად: სამეცნიერო წერა, რუსული ისტორიული პროზის პოეტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, პოსტმოდერნიზმი როგორც XX-XXI საუკუნეების მიჯნის რუსული ლიტერატურის ფენომენი). სასწავლო კურსების სწავლის შედეგის მიღწევა რეალური და გაზომვადია.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და საერთო ჯამში უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სასურველია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სათაური არ იმეორებდეს საბაკალავრო პროგრამის საგნის სათაურებს, როგორც ამას აქვს ადგილი პრაქტიკული კურსების შემთხვევაში (რუსული ენა 1, რუსული ენა 2). მიუხედავად იმისა, რომ ამ სასწავლო კურსების შინაარსი განსხვავებულ ენობრივ დონეს წარმოადგენს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში და, შესაბამისად, განსხვავებული კოდი გააჩნიათ, უპრიანია სათაურშიც იყოს დაფიქსირებული ეს განსხვავება.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შეესაბამება სწავლის სფეროს ახალ მიღწევებს და მოიცავს თანამედროვე კვლევებს რუსული ფილოლოგიის სფეროში. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასება უზრუნველყოფილია სათანადო შეფასების კომპონენტებით. სასწავლო კურსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა თანამედროვეა და სტუდენტებისთვის მისაწვდომი (შესაბამისი მონოგრაფიები და წყაროები მოიძებნება ნაწილობრივად საუნისვერსიტეტო ბიბლიოთეკაში, ნაწილობრივად კი გამოყენებულია ელექტრონული რესურსები). მითითებული ლიტერატურა შეესაბამება რუსული ფილოლოგიის სპეციფიკას და ასახავს სწავლის სფეროს თანამედროვე მიღწევებს, რაც დასტურდება სასწავლო კურსების სილაბუსების შესწავლით და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან საუბრით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის დოკუმენტები
- კლასტერში დაჯგუფებული პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები
- კურიკულუმის რუკები
- საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედური
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ცოდნა/გაცნობიერების, უნარების და ავტონომიურობის შედეგების განვითარების სწორად განსაზღვრის მიზნით.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ლოგიკა. შესაძლებელია საჭირო გახდეს შეფასების კომპონენტების დახვეწა რათა უფრო ნათლად ჩანდეს სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობა.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურის ნუსხა და თანხვედრაში მოვიდეს ლიტერატურის კვირეულ განაწილებასთან. გარკვეულ შემთხვევებში რეკომენდებულია სავალდებულო ლიტერატურის შეცვლა.

რჩევ(ებ)ი:

- მიზანშეწონილია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო კურსების სფეციფიკის/კომპლექსურობის სათანადო ასახვა და შედეგების სწორად შეფასება. გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია გარკვეული შედეგების გაერთიანება ან ამოღება.

პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია მოდიფიცირდეს სასწავლო კურსის „გერმანული ენა 8“ შინაარსი, ამოღებულ იქნას თეორიული კურსის „შესავალი ტექსტის ლინგვისტიკაში“ ცალკეული თემები, რათა წინამდებარე სასწავლო კურსი არ მოვიდეს მეორე კურსის თემატურ გადაფარვაში.
- რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და მათი განსაზღვრა მოხდეს სასწავლო კურსის მიზნების, შინაარსისა და სწავლის შედეგების მიხედვით.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია სასწავლო კურსების „წერთი და ზეპირი მეტყველების კულტურა 1, 2, 3, 4“ სათაური და შინაარსი მოვიდეს თავსებადობაში.

პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- პროგრამის სწავლის შედეგი 2 და ამ შედეგზე გამსვლელი კონკრეტული სასწავლო კურსების მიზნები, შედეგები და თემატური მასალა მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში
- სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით, სასურველია, ერთმანეთთან უფრო მეტად შესაბამისობაშია მოვიდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის შედეგი და შეფასების კრიტერიუმები.
- სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის შედეგებშიც უფრო მეტად გამოიკვეთოს *ავტონომიურობის* შედეგები.
- სასწავლო კურსის შედეგებში და შესაბამისად პროგრამის სწავლის შედეგებშიც, ენის ფლობისა დარგობრივი მახასიათებლისა და კვალიფიკაციის მე-6 დონის აღმწერის

შესაბამისად, გამოიკვეთოს „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად“.

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია, ფრანგული ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთი სასწავლო კურსის სავალდებულო ლიტერატურა გამრავალფეროვნდეს თანამედროვე ლიტერატურით.
- სასურველია, არჩევითი სასწავლო კურსის - ფრანგული ენის სწავლების მეთოდოლოგია - სახელწოდება, მიზნები, შედეგები და შინაარსი მოვიდეს ერთმანეთთან შესაბამისობაში.
- სასურველია შედარებით მაღალ სემესტრზე გათვლილ სასწავლო კურსებში, როდესაც სტუდენტს აქვს უკვე საკმარისი ფრანგული ენის ცოდნა, სასწავლო კურსები გამდიდრდეს ფრანგულენოვანი ლიტერატურით, რაც ერთი მხრივ ხელს შეუწყობს დარგობრივი ტერმინოლოგიის შესწავლას/გამოყენებას, დარგთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე ფრანგულ ენაზე მსჯელობას, ხოლო მეორე მხრივ სტუდენტი გაეცნობა სფეროს თანამედროვე მიღწევებს.

პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია ცალკეულ სილაბუსებში დაიხვეწოს საგნის სწავლების მიზნები და განახლდეს სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა.

პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია კვლევის მეთოდების მითითება საკვალიფიკაციო ნაშრომში, რაც ხელს შეუწყობდა შერჩეული საკვლევი კორპუსის გამოყენების დასაბუთებას და დასკვნის ტრანსპარენტულობას.

რჩევ(ებ)ი:

- ვინაიდან პროგრამა ქართულენოვანია და შესაბამისად, საკვალიფიკაციო ნაშრომი იწერება ქართულ ენაზე, სასურველია სასწავლო კურსი „სამეცნიერო ენა“, იკითხებოდეს ქართულად.

პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- ფრანგული ლიტერატურის მიმართულებით სასწავლო კურსების სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას, სწავლის სფეროს ამსახველი და სწავლების

საფეხურის შესაბამისი თანამედროვე ფრანგულენოვანი ლიტერატურით გამდიდრებას და კურსის შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას.

რჩევები:

- ლიტერატურის მიმართულებით ზოგიერთ სასწავლო კურსში გადაიხედოს სტუდენტის კვირეული დატვირთვა და მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის გონივრული გადანაწილება კვირების მიხედვით.

პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სათაური არ იმეორებდეს საბაკალავრო პროგრამის საგნის სათაურებს, როგორც ამას აქვს ადგილი პრაქტიკული კურსების შემთხვევაში (რუსული ენა 1, რუსული ენა 2).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დაშვების წინაპირობები შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ასევე, გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამაზე ჩარიცხვის შესაძლებლობა აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასევე, სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ მობილობით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან. პროგრამებზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია იმგვარად რომ სტუდენტებმა შეძლონ პროგრამის შინაარსით განსაზღვრული სპეციფიკის დაძლევა. დაშვების წინაპირობები უზრუნველყოფს პროგრამებზე შესაბამისი კონტიგენტის მიღებას.

პროგრამებზე სწავლების ენად განსაზღვრულია ქართული. შესაბამისად სასწავლო კურსები ძირითადად ისწავლება ქართულად, რიგ შემთხვევებში კი სასწავლო კურსები დატვირთულია ლიტერატურით უცხოურ ენაზე.

პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, კონკრეტულად კი აკადემიური საბჭოს დადგებილებით #67 - სტუდენტებს სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამკტიცების შესახებ. შესაბამისად, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა შეესაბამება მისაღების სტუდენტების რაოდენობას. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა მექანიზმი მცირერიცხოვანი საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრანგული ენისა და ლიტერატურის და რუსული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის დაშვების წინაპირობა შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს მოქალაქეები პროგრამაზე ირიცხებიან ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე. საქართველოს მოქალაქეებს მოეთხოვებათ ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარება, განსაზღვრული ბარიერით 50%-ზე მეტი. აღნიშნული დათქმით, თეორიულად, პროგრამაზე შეიძლება ჩარიცხოს სტუდენტი, რომელს ინგლისური ენის საწყისი კომპეტენცია შეიძლება იყო A2 დონე, თუმცა, პროგრამაზე პრაქტიკული ინგლისური ენის სწავლება იწყება B1.1 დონიდან. პროგრამის ხელმძღვანელი და განმახორციელებელი პერსონალი მიუთითებს, რომ სტუდენტები, ჩარიცხვის შემდეგ, წერენ შიდა საუნივერსიტეტო ტესტს, რომლის შედეგების მიხედვითაც ისინი გადანაწილებული არიან სხვადასხვა ჯგუფში, დონეების მიხედვით. ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი გასაუბრების დროს

აღნიშნავდა, რომ ზოგადად, სტუდენტები ინგლისური ენის მაღალი კომპეტენციით მოდიან და მეტნაკლებად თანაბრად ძლევენ B1.1-ის საწყის კურსს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პროგრამაზე ასევე დაიშვებიან უცხო ქვეყნის მოქალაქეები და საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს ზოგადი განათლება ან სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში.

შესაბამისად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნას და უნარებს, ასევე, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და კომპლექსურობასთან. პროგრამაში სასწავლო კურსების სემესტრული განლაგება უზრუნველყოფს ეტაპობრივად, საბოლოო პროგრამის შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას. სასწავლო კურსები განაწილებულია გაცნობის, გაღრმავების და განმტიკიცების პრინციპის გათვალისწინებით.

პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ძირითად იკითხება ქართულად, თუმცა, ხშირად ინტეგრირებულია ინგლისურენოვანი კომპონენტები (ტექსტები, სასწავლო მასალები, ა.შ.). აღნიშნული არათუ აფერხებს სასწავლო პროცესს, არამედ უფრო მრაველფეროვანს ხდის პროგრამის შინაარსს და უზრუნველყოფს სამიზნე კომპეტენციების განვითარებას პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის/უნარების კუთხით.

ბოლო სამი წლის განმავლობაში პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრა 105 ადგილით. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა (პირველი არჩევანი) რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება გამოყოფილი ადგილების რაოდენობას (245, 266, 306 თანმიმდევრულად), რაც ადასტურებს პროგრამის მიმზიდველობას. გასაუბრების დროს, ფაკულტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავდნენ, რომ ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაზე მოთხოვნა მზარდია, თუმცა მისაღები ადგილების რაოდენობა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დეგემგვის მეთოდოლოგიით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელება.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს, რესპოდენტები აღნიშნავდნენ, რომ სათანადოდ ინფორმირებული იყვნენ პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ ფაკულტეტის წარმომადგენლების მიერ. ამასთანავე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაშვების წინაპირობის საჯაროობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენასთან. პროგრამა მოქნილია შიდა და გარე მობილობის თვალსაზრისით. ამავდროულად ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ: ენის პრაქტიკული კურსის შეთავაზება იწყება A1.1 ანუ ნულოვანი დონიდან და შესაბამისად დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გერმანული ენის ჩაბარების აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა მექანიზმი მცირერიცხოვანი საგანმანათლებლო პროგრამების (რომელთა ჯგუფს განეკუთვნება კლასტერში დაჯგუფებული „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც უდაოდ მისასაღებელია.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების საჯაროობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას დაინტერესებულ პირთათვის. იგივე დადასტურეს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენასთან. პროგრამა მოქნილია შიდა და გარე მობილობის თვალსაზრისით. ამავდროულად ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, კერძოდ: ენის პრაქტიკული კურსის შეთავაზება იწყება A1.1 ანუ ნულოვანი დონიდან და შესაბამისად დაშვების წინაპირობად არ არის განსაზღვრული ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ფრანგული ენის ჩაბარების აუცილებლობა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შიდა მექანიზმი მცირერიცხოვანი საგანმანათლებლო პროგრამების (რომელთა ჯგუფს განეკუთვნება კლასტერში დაჯგუფებული, ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა) ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, რაც უდაოდ მისასაღებელია.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების საჯაროობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას დაინტერესებულ პირთათვის. იგივე დადასტურეს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

“რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, უნივერსიტეტში შემუშავებულ დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. საქართველოს მოქალაქეები პროგრამაზე ირიცხებიან ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე შეიძლება ჩაირიცხოს პირები მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. აგრეთვე “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლობენ გარე და შიდა მობილით გადმოსული სტუდენტები.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნას და უნარებს, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული, მაგრამ ხშირ შემთხვევაში პრაქტიკულ და თეორიულ სასწავლო კურსებშიც კი ინტეგრირებულია რუსულენოვანი კომპონენტები (საილუსტრაციო მასალა, ტექსტები, საკითხავი მასალა და სხვ.), რაც უზრუნველყოფს სამიზნე კომპეტენციების განვითარებას და პროგრამის შედეგების მიღწევას.

“რუსული ენა და ლიტერატურის“ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია, ინფორმაცია განლაგებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გასაუბრების დროს სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია აგრეთვე უნივერსიტეტში ფაკულტეტის წარმომადგენლებთან.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის დაშვების წინაპირობა შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს მოეთხოვებათ ჰქონდეთ ბაკალავრის ხარისხი და ჩააბარონ სამაგისტრო გამოცდა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობით ასევე განსაზღვრულია შიდასაუნივერსიტეტო კომპლექსური დარგობრივი წერითი გამოცდა, რომელიც ამოწმებს კანდიდატის მზაობას დაძლიოს პროგრამით გათვალისწინებული შინაარსი და მიაღწიოს სწავლის შედეგებს. პროგრამის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების დროს თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება პირს, რომელსაც შესრულებული აქვს კვლევითი ნაშრომი საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები, მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კონფერენციებში და აქვს საზღვარგარეთ სწავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აღნიშნული ჩანაწერი არარელევანტურია და ამოსაღებია პროგრამის დაშვების წინაპირობიდან. თავად აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულება მხოლოდ არჩევით კურსებში აქვთ, შესაბამისად, სტუდენტს მაღალი ალბათობით არ ექნება შესრულებული მსგავსი კვლევითი ნაშრომი. ასევე, სამეცნიერო პუბლიკაციების მოთხოვნა საბაკალავრო საფეხურიდან მოსული სტუდენტებისთვის შეუსაბამო კრიტერიუმია. აღნიშნული ჩანაწერი შეიძლება შემაფერხებელი გარემოება იყოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის კურსდამთავრებულებისთვის, ვინაიდან კვლევითი ნაშრომების შესრულების ვალდებულება, ხშირ შემთხვევაში, არ არის აქცენტირებული საბაკალავრო დონეზე. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა რომ აღნიშნული ჩანაწერი რეალურად არც ყოფილა გამოყენებული, შესაბამისად, მიზანშეწონილია მისი პროგრამის დოკუმენტიდან ამოღება, რათა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა თანასწორ გარემოში შეძლონ გამოყოფილი ადგილების დაკავება. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა კი საკმარისი წინაპირობაა იმისთვის რომ პროგრამისთვის შეირჩეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირები.

სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნას და უნარებს, ასევე, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და კომპლექსურობასთან. პროგრამაში სასწავლო კურსების სემესტრული განლაგება უზრუნველყოფს ეტაპობრივად, პროგრამის საბოლოო შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას. სასწავლო კურსები განაწილებულია გაცნობის, გაღრმავების და განმტიკვების პრინციპის გათვალისწინებით.

პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები ძირითად იკითხება ქართულად, თუმცა, ხშირად ინტეგრირებულია ინგლისურ ენოვანი კომპონენტები (ტექსტები, სასწავლო მასალები, ა.შ.). აღნიშნული არათუ აფერხებს სასწავლო პროცესს, არამედ უფრო მრაველფეროვანს ხდის პროგრამის შინაარსს და უზრუნველყოფს სამიზნე კომპეტენციების განვითარებას თეორიული ცოდნის თუ სამეცნიერო-კვლევითი უნარების კუთხით.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა განისაზღვრა 15 ადგილით, ხოლო პროგრამაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში ირიცხება 5 და 6 სტუდენტი. პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს რომ საჭიროა განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით. თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ხშირ შემთხვევაში სტუდენტები რეგიონში არ აგრძელებენ სწავლას მომდევნო საფეხურზე დასაქმების გამო, ან მიდიან დედაქალაქში. საერთო ჯამში, პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დევეგმვის მეთოდოლოგიას.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს, რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ სათანადოდ ინფორმირებული იყვნენ პროგრამის დაშვების წინაპირობების შესახებ ფაკულტეტის წარმომადგენლების მიერ. ამასთანავე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს დაშვების წინაპირობის საჯაროობას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენასთან. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას გერმანულ ენასა და ლიტერატურაში. აღნიშნული უზრუნველყოფს რელევანტური წინარე ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სტუდენტის მიღებას პროგრამაზე. საგამოცდო საკითხები ერთი თვით ადრე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, შესაბამისად ხელმისაწვდომი და საჯაროა დაინტერესებულ პირთათვის.

სასწავლო კურსების ფარგლებში არ არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობები, რაც უფრო მოქნილს ხდის პროგრამას შიდა და გარე მობილობის თვალსაზრისით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, საკვალიფიკაციო ნაშრომისთვის, რომელიც მიზნებიდან და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე აჯამებს სამაგისტრო საფეხურზე შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, სასურველია განისაზღვროს დაშვების წინაპირობები (რჩევა იხ. 1.4 სტანდარტში).

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების საჯაროობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას დაინტერესებულ პირთათვის. იგივე დადასტურებს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სრულ შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენასთან. ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდას ფრანგული ენის თეორიაში, ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში და ფრანგულ ენაში; ფრანგული ენის გამოცდისგან განთავისუფლება ის აპლიკანტი, რომელიც წარმოადგენს ფრანგული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ

საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს, ან ის პირი, რომელსაც აქვს ფრანგული ფილოლოგიის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; აღნიშნული უზრუნველყოფს რელევანტური წინარე ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი სტუდენტის მიღებას პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია გარე და შიდა მობილობის წესით.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამის დაშვების წინაპირობებისა და პროცედურების საჯაროობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობას დაინტერესებულ პირთათვის. იგივე დადასტურეს აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუების დროს სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

“რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, უნივერსიტეტში შემუშავებულ დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ შეუძლია ჩაირიცხოს “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამაზე მხოლოდ საუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარების შემდეგ. “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია, საგამოცდო საკითხები სპეციალობაში და საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარების წესი ქვეყნდება ერთი თვით ადრე აწეს-ს ვებგვერდზე (<http://www.atsu.edu.ge>), რაც უზრუნველყოფს დაშვების წინაპირობის საჯაროობას.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის დასაძლევად საჭირო ცოდნას და უნარებს, ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების ენა არის ქართული, მაგრამ პრაქტიკულ და თეორიულ სასწავლო კურსებშიც კი ინტეგრირებულია რუსულენოვანი კომპონენტები (საილუსტრაციო მასალა, ტექსტები, საკითხავი მასალა და სხვ.), რაც უზრუნველყოფს სამიზნე კომპეტენციების განვითარებას და პროგრამის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგებილებით #67 - სტუდენტებს სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის დამკვიცების შესახებ
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროგრამა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა: კურიკულუმის რუკა
- ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა: კურიკულუმის რუკა

- გასაუბრების შედეგები (სტუდენტები, პროგრამის ხელმძღვანელი, კურსდამთავრებულები)
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი (აკადემიური) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინსტრუქცია
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://www.atsu.edu.ge/ge/home>

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

- სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობის ჩანაწერი შეიცვალოს და წაიშალოს დამატებითი კრიტერიუმები, რომლებიც დაწესებულია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ჩაბარებისას თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში. საუნივერსიტეტო გამოცდის შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისად, დამატებითი კრიტერიუმები პროგრამაზე მოსვლის შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საკრედიტაციოდ წარმოდგენილ კლასტერში დაჯგუფებულ ენის დაუფლების დეტალური სფეროს რვა საგანმანათლებლო პროგრამას (მათ შორის 4 საბაკალავრო და 4 სამაგისტრო საფეხურის), აერთიანებს ზოგადი მიზანი - შეასწავლოს სტუდენტს ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები და შესაბამისი ლიტერატურა ზოგადკულტუროლოგიურ კონტექსტში. პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენის ფლობასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების განვითარება, რაც შესანიშნავად მიიღწევა კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში სასპეციალიზაციო ენების შემსწავლელი სასწავლო კურსების ფარგლებში.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართულ ინტერვიუებზე დამსაქმებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათთვის კურსდამთავრებულთა ენობრივ კომპეტენციასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, რისი გამომუშავებაც თანმიმდევრულად ხორციელდება კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფილია სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კურსებში ჩაშენებული აქტივობები, როგორცაა პრეზენტაციები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევების ანალიზი, პროექტების მომზადება და სხვა.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ პროგრამის კურსდამთავრებულების გარკვეული ნაწილი საქმდება უცხო ენის პედაგოგებად საჯარო და კერძო სკოლებსა და საგანმანათლებლო ცენტრებში (უპირატესად ინგლისური და გერმანული ენისა და ლიტერატურის კურსდამთავრებულები), მუზეუმში, ტურისტულ სააგენტოებში, და სხვ. ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, წარმოდგენილია სასწავლო კურსი “თარგმნის თეორია და პრაქტიკის საფუძვლები”, რომლის ფარგლებში პროგრამა მოიაზრებს სტუდენტების თარგმნის მიმართულებით სტაჟირების გავლას. აღნიშნული გამყარებულია წარმოდგენილი მემორანდუმებით. დამსაქმებლებთან ინტერვიუების მსვლელობისას ასევე გაჟღერდა, რომ ადგილობრივ ბაზარზე პოტენციურ დამსაქმებლებს აქვთ სურვილი, გაამღიერონ თანამშრომლობა უნივერსიტეტთან სასწავლო პრაქტიკის/სტაჟირების კუთხით, რაც ვფიქრობთ, კარგი შესაძლებლობა იქნება წარმოდგენილი პროგრამების განვითარებისთვის.

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები სხვადასხვა მოცულობით ითვალისწინებს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას, შედარებით ნაკლებად ბაკალავრიატის, ხოლო არსებითად - მაგისტრატურის საფეხურზე. სამაგისტრო პროგრამებში კვლევითი უნარების გამომუშავება ხდება არა მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, არამედ სასწავლო კურსების ფარგლებში, მაგ.: გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამაში დამოუკიდებელ სასწავლო კურსებად I სემესტრში გათვალისწინებულია „ლინგვისტური და ლიტმცოდნეობითი კვლევის მეთოდები და მიმართულებები“ და „სამეცნიერო წერა“, სადაც ხდება ერთი მხრივ კვლევის მეთოდებისა და ტექნიკების შესახებ თეორიული ცოდნის გადაცემა, ამავდროულად საბაზისო კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავება. ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, აღნიშნული უზრუნველყოფილია სასწავლო კურსებით “დისკურსი 1” და “დისკურსი 2”.

გარდა სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობებისა, სტუდენტები მეტ-ნაკლები აქტიურობით მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის სამეცნიერო-კვლევით ღონისძიებებში და პროექტებში. მაგალითად, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, გერმანული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილეობენ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციებში. ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციაში “ინგლური, ამერიკული და ქართული კულტურათაშორისი ნარკვევები” და “აწსუ სტუდენტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციებში”, ასევე ინგლისურენოვან კლუბში (English Speaking Club), დებატკლუბის და მთარგმნელობით კულებების საქმიანობებში. პროგრამის სტუდენტების ასევე ჩართული არიან საერთაშორისო პროექტებში ბრიტანეთის საბჭოს ორგანიზებით. აღნიშნული შესაძლებლობების შესახებ სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია და აქტიურად იყენებენ მათ.

რაც შეეხება ბაკალავრიატს, ორ პროგრამაში გათვალისწინებულია საკურსო ნაშრომის შესრულება, კერძოდ, ინგლისური ენისა და ლიტერატურის პროგრამა მოიცავს საკურსო ნაშრომის შესრულების კომპონენტს არჩევითის სტატუსით, გერმანული ენისა და ლიტერატურის პროგრამა ითვალისწინებს სავალდებულოდ საკურსო ნაშრომის შესრულებას, ხოლო რუსული ენისა და ლიტერატურის და ფრანგული ენისა და ლიტერატურის პროგრამებში საერთოდ არ არის გათვალისწინებული. საბაზისო კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება აგრეთვე სტუდენტების მეტ-ნაკლებად აქტიური მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში.

შრომის ბაზრის ანალიზმა, აგრეთვე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გამართულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამების კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი დამაკმაყოფილებელია და ისინი დასაქმებული არაინ არა მხოლოდ პროფილურად, არამედ მომიჯნავე და სხვა სფეროებში. აღნიშნული მიგვანიშნებს, რომ ისინი ადაპტირდებიან საკმაოდ შეზღუდულ და ცვალებად შრომის ბაზართან, რაც ადასტურებს, რომ პროგრამებით განსაზღვრული სწავლის შედეგები, მათ შორის ტრანსფერული უნარები რეალურად მიიღწევა.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დოკუმენტები
- სილაბუსები
- მემორანდუმები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების, სასწავლო კურსებისა და გასაუბრების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ერთი მხრივ, შეესაბამება კურსის/კომპონენტის შინაარსს, ხოლო, მეორე მხრივ, მათი ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამები, თავისი შემადგენელი სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით ითვალისწინებს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების შექმნის შესაძლებლობას, რასაც აღწევს, ძირითადად, სწავლების ისეთი ფომებით, როგორცაა ლექცია და პრაქტიკული/ჯგუფში მუშაობა.

სწავლის შედეგების მისაღწევად შერჩეული სწავლება-სწავლის მეთოდები განსხვავებულია ცალკეული სასწავლო კურსებისა და საფეხურების მიხედვით. პროგრამის ფარგლებში გამოიყენება წიგნზე მუშაობის და დემონსტრირების, ახსნა-განმარტებითი, წერიითი მუშაობის, დისკუსია-დებატების, წყვილში ან გუნდური მუშაობის, როლური და სიტუაციური თამაშების, ინდუქციის და დედუქციის მეთოდი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ისტორიული ანალიზის მეთოდი, გონებრივი იერიშის, ევრისტიკული მეთოდები, სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით და სხვ. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება როგორც სწავლების საფეხურსა და კურსის შინაარსს, ასევე, ითვალისწინებს ენის დაუფლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას;

სწავლების აღნიშნული მეთოდები აპრობირებულია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქტიურადაა ჩართული მეთოდურ ტრენინგებში. სტუდენტები გასაუბრების დროს ადასტურობდნენ, რომ ლექციები მიმდინარეობს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოში და ითვალისწინებს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. ლექტორები იყენებენ სხვადასხვა მეთოდს ინტერაქციის უზრუნველყოფის მიზნით. მათ მიერ გამოყენებული მეთოდები მიმართულია სტუდენტისთვის კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე;

ამასთან, სასწავლო კურსების შესწავლამ და სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრების შედეგებმა დაადასტურა, რომ შრომის ბაზრის კვლევისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის შედეგად სასწავლო კურსებში გამოკვეთილი სახითაა წარმოდგენილი კომუნიკაციისა და წერიითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების მეთოდები.

აწუს-ს მიღებული აქვს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის გამოყენებით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ამასთან, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ელექტრონულ/დისტანციურ სწავლებას პროგრამის სწავლის სფეროსათვის რელევანტური სწავლების მეთოდებით რომლებიც არ იწვევს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ცვლილებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცის მოთხოვნებთან.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებულის საგანმანათლებლო პროგრამები, სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები
- აკადემიური საბჭოს დადგენილება №30(17/18) „უნივერსიტეტში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 ((გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად. შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანებით და აკადემიური საბჭოს დადგენილება #10-ით - „ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების წესის დამტკიცების შესახებ“.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევის“ მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო კურსების შეფასების კომპონენტები და მეთოდები, ძირითადად უნიფიცირებულია. ერთგვაროვანია შეფასების კომპონენტების ხვედრითი წილიც. თითქმის ყველა სილაბუსის მიხედვით შეფასების კომპონენტებია აქტივობა (30%), შუალედური გამოცდა (30%), და

დასკვნითი გამოცდა (40%). ასევე, აქტივობის კომპონენტი თითქმის ერთნაირად არის ჩაშლილი (მხოლოდ მცირედი ვარიაციით კურსებს შორის). ექსპერტთა მოსაზრებით უნიფიცირებული მიდგომა სრულყოფილად ვერ ასახავს კურსების შინაარსს, სპეციფიკას და კომპლექსულობას. შესაძლებელია კომპონენტების წონის სხვადასხვანაირად გადათვლა, განსაკუთრებით კი პრაქტიკული და თეორიული საგნებს შორის, ასევე სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებს შორის. მაგალითად:

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაში შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წონა 6 სასწავლო კურსში ერთნაირია. ამასთანავე, პრაქტიკული ენის კურსების აქტივობის კომპონენტი ჩაშლილია შემდეგნაირად: ჯგუფში მუშაობა (6 ქულა), დისკუსიაში მონაწილეობა (4 ქულა), პროგრეს ტესტი (9 ქულა), პრეზენტაცია (6 ქულა), ელ. დავალება (5 ქულა). ზუსტად იგივე მეორდება სასწავლო კურსში „ენობრივი უნარი 2“. შესაბამისად, მეორდება კომპონენტები (ენობრივი უნარი 1 და 2-დან მინიმალური ცვლილებით) სასწავლო კურსებში „ენობრივი უნარი 3“ და „ენობრივი უნარი 4“. კომპონენტები მეორდება სასწავლო კურსებში „ენობრივი უნარი 5“ და „ენობრივი უნარი 6“.

ექსპერტები ასევე მიიჩნევენ, რომ საყურადღებოა შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების დახვეწა და დივერსიფიკაცია, რათა, ერთი მხრივ, შეფასება უფრო ნათელი იყოს სტუდენტისთვის, მეორე მხრივ, კი სწორად შეფასდეს სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევა. განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამაში, სასწავლო კურსი „ენობრივი უნარი 1“ შუალედური გამოცდის კომპონენტია სასაუბრო სიტუაცია, შეფასების რუბრიკა მოცემულია, რომელშიც ნახსენებია მონოლოგის წარმართვა. აღსანიშნავია, რომ სილაბუსში არაა დაკონკრეტებული რა ტიპის სასაუბრო სიტუაციის წარმართვა უწევს სტუდენტებს, ეძლევათ თუ არა მათ წინასწარ თემების ჩამონათვალი, რაზეც უნდა გააკეთონ მონოლოგი. ასევე იმავე კურსის დასკვნით გამოცდაზე, სტუდენტები წერენ ესეს, თუმცა არაა მოცემული ესეს ტექნიკური მახასიათებლები (რა მოცულობის უნდა იყოს, რა ტიპის ესე უნდა შეასრულოს სტუდენტმა). ასევე, ამ უკანასკნელის რუბრიკა არაა ადექვატური B.1.1 დონის კომპეტენციის შესამოწმებლად (ამოწმებს უფრო მაღალ კომპეტენციას). აქტივობის კომპონენტში შედის მეთოდები „დისკუსიაში მონაწილეობა“ და „ჯგუფური სამუშაო“, თუმცა არაა დაკონკრეტებული სემესტრის განამვლობაში რამდენჯერ გამოიკითხება ამ მეთოდით სტუდენტები.
- ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში „თემატური ლექსიკა“ პრეზენტაციის შეფასების რუბრიკა დასახვეწია, იგი არ იძლევა ამომწურავ ინფორმაციას.
- შეფასების ერთნაირი კრიტერიუმები, კომპონენტებია ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში „აკადემიური დისკურსი 1“ და „აკადემიური დისკურსი 2“. ასევე, სასწავლო კურსებში „დარგის კვლევის მეთოდები“ და „ინგლისური ენის სემანტიკა“.
- გერმანული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში სხვადასხვა მიმართულების სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკები იდენტურია და არ ასახავს კონკრეტული საგნის შინაარსისა და სწავლის შედეგების სპეციფიკას, მაგალითად აქტივობის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია დისკუსია, ფასდება მაქსიმალური 5 ქულით და რუბრიკა ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: „სტუდენტი სისტემატურად და მაღალ პროფესიულ დონეზე მონაწილეობს დისკუსიებში, საფუძვლიანად არის დაუფლებული სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებებს, კორექტულია ოპონენტთა მიმართ“. აღნიშნული რუბრიკა ფიგურირებს სხვადასხვა სემესტრისა და მიმართულების

სასწავლო კურსებში, როგორცაა „გერმანული ენა 1-8“, „ლექსიკოლოგია“ და სხვა. ასევე იდენტურია პრეზენტაციის კომპონენტის რუბრიკები. აკრედიტაციის ექსპერტთა მოსაზრებით, რეკომენდებულია შეფასების რუბრიკები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის მიზნებთან და შედეგებთან;

- „**რუსული ენა და ლიტერატურის**“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საუბრის ხელოვნების“ სასწავლო კურსში მითითებული მიზნები ლოგიკურ თანხვედრაში ჩამოთვლილ შედეგებთან, მაგრამ შეფასების კომპონენტები ნაკლებად ითვალისწინებენ საგნის სპეციფიკას, რომელიც გულისხმობს ზეპირი მეტყველების უნარის განვითარება/გაღრმავებას. კერძოდ, შეფასების 100 ქულიდან 30 ქულით ფასდება წერილობითი შვალედური გამოცდა (სამი ათქულიანი საკითხი), 40 ქულით ფასდება ასევე წერილობითი დასკვნითი გამოცდა (ოთხი ათქულიანი საკითხი) და დარჩენილი 30 ქულა ენიჭება სტუდენტს შემდეგ კომპონენტებში: 15 ქულა - ჯგუფში აქტიურობა, 10 ქულა - დისკუსია და 5 ქულა - პრეზენტაცია. სასურველი იქნებოდა იმ კომპონენტების გაზრდა, რომლებიც უშუალოდ ზეპირი მეტყველების უნარის ჩამოყალიბებას ამოწმებენ.
- ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსებსა **შე** (გარდა პრაქტიკული ენის კურსებისა) და ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსებში წარმოდგენილი პრეზენტაციის, ესეს, შვალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების რუბრიკები ნაკლებ ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას, სასურველია მოხდეს კრიტერიუმების დახვეწა და დივერსიფიკაცია.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ისინი იცნობენ შეფასების კომპონენტებს, მეთოდებს და კრიტერიუმებს. მათ თავად არ ჰქონიათ გასაჩივრების გამოცდილება, თუმცა იციან პროცედურის არსებობის შესახებ და იხსენებენ მეგობრებს, რომელთაც გაასაჩივრეს მიღებული ქულები. სტუდენტები ასევე აღნიშნავენ, რომ ისინი ამომწურავად იღებენ ლექტორებისგან უკუკავშირის შეფასების შესახებ.

სილაბუსებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ესეს, რეფერატის, ნაშრომის შესრულება მითითებულია, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა უზრუნველყოფილია რეგულაციით – პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ, დადგ. 51 (17/18). პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების მიზნით ნაშრომი პლაგიატზე მოწმდება პროგრამით (Turnitin) - სწავლების ელექტრონულ პორტალზე (Moodle). აღნიშნულის შესახებ სტუდენტები ინფორმირებული არიან, რაც დასტუდება გასაუბრებით

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #38 (20/21) - სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტით დეტალურად არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მახასიათებლები, ასევე მოცემულია შესრულების პროცედურა, შეფასების წესი და შესაბამისი ფორმების შაბლონები. თუმცა, ვინაიდან სამაგისტრო პროგრამების განცხადებული მიზანია სამეცნიერო-კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება, შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები გადასახედი და დასახვეწია. საჭიროა მეტი აქცენტის გაკეთება კვლევაზე და დასკვნების გაკეთების უნარზე (საჭიროა შეფასების ქულების გაზრდა), თემის სხვა კომპონენტებთან შედარებით. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამებში ნაშრომის შინაარსობრივი მხარე ფასდება 60 ქულით, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: თემის აქტუალობა - 30 ქულა, ორიგინალურობა - 10 ქულა, შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა - 5 ქულა, შეგროვებული მონაცემები, მეთოდები - 5 ქულა, საინფორმაციო რესურსების გამოყენება -5 ქულა, მსჯელობის ხარისხი - 5 ქულა. აქედა გამომდინარე, რეალურად, კვლევითი უნარ-ჩვევები მხოლოდ 10 ქულის ჯამით თუ შეფასდება, რაც არ არის საკმარისი. ასევე,

მნიშვნელოვანია კომისიის წევრებისთვის შეთავაზებული იყოს დეტალური რუბრიკა თითოეული კომპონენტის სწორად შეფასების მიზნით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური საბჭოს დადგენილება #10-ით – „ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების წესის დამტკიცების შესახებ“
- კაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევის
- კაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვა უზრუნველყოფილია რეგულაციით – პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების დამტკიცების შესახებ, დადგ. 51 (17/18)
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით #38 (20/21) - სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ
- საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სილაბუსები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსების შინაარსის, სპეციფიკის და კომპლექსურობის გათვალისწინებით შეფასების კომპონენტების, მეთოდების და კრიტერიუმების დივერსიფიკაცია; ასევე, რეკომენდებულია სილაბუსებში დავალებების სპეციფიკის განსაზღვრა.
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმების გადახედვა და კვლევითი უნარ-ჩვევების შეფასებაზე მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე ნაშრომის სხვა ტექნიკურ მხარეებზე.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცი(ებ)ი:

- რეკომენდებულია შეფასების რუბრიკები მოვიდეს შესაბამისობაში სასწავლო კურსის მიზნებთან და შედეგებთან;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--	---------------------------------	---	---	---

პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კლასტერში შემავალი პროგრამების სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიურ მიღწევებზე და კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

სტუდენტებს უნივერსიტეტში ჩარიცხვისას ჰქონდათ საინფორმაციო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც ადმინისტრაციამ გააცნო სწავლების ზოგადი სტრუქტურა. უსდ-ში ასევე მოქმედებს კურატორთა და ტუტორთა ინსტიტუტი, რომლის მეშვეობითაც პირველ და მეორე კურსელებს უადვილდებათ სასწავლო პროცესის თავისებურებებში გარკვევა.

სტუდენტთა განცხადებით, ადმინისტრაცია ახერხებს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ხოლო აკადემიური პერსონალი - უკუკავშირის მიცემას. ლექტორთა დატვირთვაში კონსულტაციის საათებიცაა გამოყოფილი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ კონკრეტულ საგანში პრობლემის შექმნის შემთხვევაში მიმართონ. მათი თქმით, ლექტორები ყოველთვის მზად არიან დაეხმარონ პრობლემის მოგვარებაში. სტუდენტებს ასევე საჭიროების შემთხვევაში კვირის ნებისმიერ დროს შეუძლიათ დაუკავშირდნენ ლექტორს.

ზოგადი კმაყოფილების დასადგენად, უნივერსიტეტში სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს ავსებენ შესაბამის კითხვარებს. მათ შესაძლებლობა აქვთ შეაფასონ როგორც სასწავლო კურსები, ასევე ლექტორები. შეფასების კითხვარები ანონიმურია.

უნივერსიტეტში წარმატებით მოქმედებს სტუდენტთა განვითარებისა და მხარდაჭერის სამსახური. ნებისმიერი სახის პრობლემის შექმნის შემთხვევაში, სტუდენტები ავსებენ განცხადების ფორმას, რომელიც მეილის საშუალებით ჯერ ამ სამსახურში იგზავნება, შემდეგ კი შესაბამის დეპარტამენტს გადაეცემა.

უნივერსიტეტი სტუდენტებს დასაქმებაშიც უწყობს ხელს, მათ არსებული ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ ინფორმაცია შეუძლიათ ნახონ საიტზე <https://job.at su.edu.ge/>. როგორც სტუდენტებს, ასევე კურსდამთავრებულებს, უნივერსიტეტის მეილზეც მისდით ინფორმაცია გამოცხადებული ვაკანსიებისა და თუ კონფერენციების შესახებ.

კლასტერში შემავალი პროგრამების ფარგლებში, სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში. ინგლისური, ფრანგული და გერმანული ფილოლოგიის კუთხით, ფაკულტეტს აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები ევროპისა და აზიის უნივერსიტეტებთან. რუსული ფილოლოგიის მხრივ, ფაკულტეტს ორ უნივერსიტეტთან აქვს ხელშეკრულება გაფორმებული, თუმცა სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან პოლონეთთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებებში.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჩაერთონ სამეცნიერო კონფერენციებში. როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურზე გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა აქტიურად იღებს მონაწილეობას კონფერენციებში. აქვეყნებენ პუბლიკაციებსაც.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- საერთაშორისო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- გამოკითხვის ფორმები და შედეგები;
- განხორციელებული ინტერვიუების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
--	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტთა ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოძიება მოხდა თვითშეფასების ანგარიშის, შესაბამისი დოკუმენტებისა და კლასტერის სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი მაგისტრატურის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის დანიშვნის პროცესის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები ასევე არეგულირებენ თანამშრომლობას სამაგისტრო თემის ხელმძღვანელებსა და სტუდენტებს შორის. ერთ პროფესორს შეუძლია ერთდროულად მაქსიმუმ ხუთ მაგისტრანტს უხელმძღვანელოს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკადემიური პერსონალი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი. სამაგისტრო ნაშრომს ასევე შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი.

სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც ასევე დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით. (აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ იხ. აგრეთვე ექსპერტთა დასკვნა 4.1 სტანდარტისთვის). ხელმძღვანელთა და მაგისტრანტთა თანაფარდობა ინგლისური ფილოლოგიისთვის შეადგენს 1.40-ს, გერმანული ფილოლოგიისთვის - 2.50, ფრანგული ფილოლოგიისთვის - 1.00, ხოლო რუსული ფილოლოგიისთვის - 5.00. შესაბამისად, აღნიშნულ პროგრამებს ჰყავთ ხელმძღვანელთა საკმარისი რაოდენობა.

სტუდენტებს ხელმძღვანელი ენიშნებათ მას შემდეგ, რაც საკვლევი თემა აირჩევენ. მათ არ აქვთ საშუალება თავიანთი სურვილით აირჩიონ ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემა პირველი სემესტრის ბოლოს უნდა ჰქონდეთ არჩეული, შემდეგ კი ეტაპობრივად ამზადებენ ბიბლიოგრაფიას, პირველ და მეორე თავს, გადიან წინადაცვაზე და საბოლოოდ კომისიის წინაშე სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე. ხელმძღვანელები მაგისტრანტებს მაქსიმალურად უთანხმებენ გრაფიკს, ეხმარებიან როგორც საკვლევი თემაზე მუშაობის პროცესში, ასევე ლიტერატურის მოძიებაში.

ნაშრომები მოწმდება სპეციალურ პლაგიატის ფორმა Turnitin-ში. მაგისტრანტები სარგებლობენ უნივერსიტეტის მატერიალური ბაზით, ბიბლიოთეკით და სხვა რესურსებით. აქვთ ხელმისაწვდომობა ინგლისურენოვან ლიტერატურაზეც.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)⁹	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	14
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	10
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	1.40
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)¹⁰	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	10
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	4
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	2.50
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)¹¹	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	4
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	

⁹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁰ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

მაგისტრანტების რაოდენობა	4
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	1.00
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)¹²	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	5
//სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	1
//დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	5.00
თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები, პირადი საქმეები;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესი;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

¹² საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო პროგრამა)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი, კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების დოკუმენტაციის (მათ შორის პერსონალის პირადი საქმეების) ანალიზი ადასტურებს, რომ როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. მათი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და პროფესიული გამოცდილება სრულ შესაბამისობაშია პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტის

სწავლის შედეგებთან. პროგრამის განმახორციელებელ პირებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვთ საგანმანათლებლო პროგრამების პროფილის შესაბამისი ნაშრომები: მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები საერთაშორისო და ადგილობრივ რეფერირებად ჟურნალებში და სხვ. სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის სამეცნიერო ხელმძღვანელებად განსაზღვრულ პირებს ასევე აქვთ შესაბამისი მიმართულებით მრავალფეროვანი სამეცნიერო თემატიკის ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.

საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“ N173 დადგენილების შესაბამისად, ხოლო მათ წლიურ დატვირთვას არეგულირებს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის N61 (21/22) დადგენილება „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“. როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზმა, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის უნივერსიტეტში ვიზიტის დროს გამართულმა ინტერვიუებმა სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ცხადყო, რომ ორივე საფეხურის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან სხვადასხვა ტიპის ეფექტიანი კონსულტაციით.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, ასევე მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება და ქმედითი საერთაშორისო კონტაქტები, რაც უზრუნველყოფს პროგრამების ეფექტიან ფუნქციონირებას და განვითარებას.

კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს აწსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაცია: დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასევე უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურები. სამაგისტრო და საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, აგრეთვე პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გამართული ინტერვიუების მიხედვით დადგინდა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სტუდენტებს უწევს დროულ, ეფექტურ და კვალიფიციურ მომსახურებას, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. ასევე გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

ამრიგად, კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს მაღალი კვალიფიკაციის აკადემიური და მოწვეული პერსონალს, რომელთა საქმიანობაც მხარდაჭერილია შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურების მიერ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო პროგრამა)

ინგლისური ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით, პროფესიონალიზმით და მოტივაციით. პროგრამაზე აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, კერძოდ კი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი დასაქმებულია დოკუმენტების ქვეთავი 1.3-ის შესაბამისად.

პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობა შესაბამისობაშია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #173-თან - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებისთვის და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)¹³				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი¹⁴	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი¹⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	26	26		26
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	19	19	16	19
- ასისტენტ-პროფესორი	5			5
- ასისტენტი	0			0
მოწვეული პერსონალი	14	14		-
სამეცნიერო პერსონალი				-

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარებაზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობა შთამბეჭდავია:

ადგილობრივი ჟურნალებში პუბლიკაციები	228
-------------------------------------	-----

¹³ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁴ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁵ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციები	32
ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა	23
საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა	309
სხვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაჩვენებელი	25

აღნიშნული დასტურდება გასაუბრების შედეგადაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ასახელებენ უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობის კონკრეტულ მაგალითებს. ასევე, წარმოდგენილია პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი, შესაბამისი ღონისძიებების მითითებით.

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს #61 დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ. საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის დატვირთვა შეესაბამება მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას, ასევე ითვალისწინებს სტუდენტების საკონსულტაციო საათებს. აღნიშნულს ადასტურებენ წარმოდგენილი დოკუმენტი - პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა და სტუდენტებთან გასაუბრებაც.

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მიმდინარეობის უწყვეტობას და მდგრადობას. ბოლო 5 წლის განმავლობაში პერსონალის დენადობა შეადგენდა დაახლოებით 15%, ხოლო შენარჩუნება - 84.6%-ს.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. იგი ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დასტურდება გასაუბრებით. მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი), პრაქტიკული გამოცდილებით (სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის 10 წელი) და/ან სამეცნიერო ნაშრომებით (30 სამეცნიერო სტატიის ავტორი, 5 სამეცნიერო გრანტის მფლობელი, 36 საერთაშორისო კონფერენციაში/სიმპოზიუმში მონაწილეობის მიღება, 5 სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის ავტორი, 17 სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტი, 26 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებში მონაწილეობა).

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 7 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს განსაკუთრებით გამოვლინდა მათი კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პერსონალი მუდმივად მზადაა დახმარებისთვის და მათი პროფესიონალიზმი ღირებული სტუდენტების განვითარებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“ N173 დადგენილების შესაბამისად, ხოლო მათ წლიურ დატვირთვას არეგულირებს აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის N61 (21/22) დადგენილება „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“. როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

თანდართული დოკუმენტებით (პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა CV, დიპლომები) დასტურდება, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია, ასევე მოწვეული ლექტორების ცოდნა და გამოცდილება სრულად უზრუნველყოფს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა, ზოგადად გერმანიისტიკის მიმართულებით ქვეყნის მასშტაბით არსებული მცირერიცხოვანი ჯგუფების ტენდენციისა, ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში (21/45). ბალანსია დაცული პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის (21/11). აკადემიური პერსონალის დენადობის თვალსაზრისით არ განხორციელებულა რაიმე ცვლილება, ასევე არ შეცვლილა მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი (მოაკლდა 0 და შეემატა 0 პირი), რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)¹⁶

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ¹⁷	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ¹⁸	მათ შორის, ავლირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	21	21	21	21
- პროფესორი	5	5	5	5
- ასოცირებული პროფესორი	14	14	14	14
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2

¹⁶ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

¹⁷ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

¹⁸ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	11	11	10	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

შთამბეჭდავია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი - 381.

მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 113,

საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 21,

ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 41,

საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 144,

სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 62.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ხელმძღვანელის პირადი საქმის) შესწავლამ, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია სრულად შეესაბამება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს, იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას არა მხოლოდ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის კუთხით, კერძოდ, საერთაშორისო თანამშრომლობების შენარჩუნება, განვითარება და გაღრმავება გერმანულ უნივერსიტეტებთან, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა და სხვა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პირები, რომლებსაც გააჩნია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია. პროგრამას ახორციელებს 30 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 17 აფილირებული აკადემიური პირი (2 პროფესორი, 13 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი) და 13 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	17	17	17	17

- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	13	13	13	13
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	13	13	4	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობამ და გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნებსა და სპეციფიკას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ამის დასტურია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონაცემები ბოლო 5 წლის განმავლობაში:

<u>პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)</u>			109
ადგილობრივ ჟურნალებში	გამოქვეყნებული ნაშრომები		15
საერთაშორისო ჟურნალებში	გამოქვეყნებული ნაშრომები		13
ადგილობრივ კონფერენციებში	გაკეთებული მოხსენებები		18
საერთაშორისო კონფერენციებში	გაკეთებული მოხსენებები		44
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები			19

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობის გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას.

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენს 0 %, რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. იგი ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დასტურდება გასაუბრებით. მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით (ფილოლოგიის დოქტორი) და პრაქტიკული გამოცდილებით (სამეცნიერო-პედაგოგიური (22 წელი) და ადმინისტრაციული საქმიანობის 10 წელი) და სამეცნიერო ნაშრომებით: მას შესრულებული აქვს არაერთი კვლევა კოგნიტური ლინგვისტიკის, ლინგვოკულტუროლოგიის, ფრანგულ-ქართულ ენათა შეპირისპირების მიმართულებით; არის 1 სახელმძღვანელოს ავტორი: „ფრანგული ენის თეორია - ლექსიკოლოგია, თეორიული გრამატიკა“ (2014 წ.); მოპოვებული აქვს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინდივიდუალური საკონფერენციო გრანტი „მიზეზის გამოხატვის გრამატიკა“ (პარიზი-სორბონის უნივერსიტეტში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობისთვის); ასევე 2020 წ. მოპოვებული აქვს ERASMUS + -ის გრანტი - აკადემიური პერსონალის მობილობა ვერსალის უნივერსიტეტში (Université de Versailles Saint-Quentin-en-Yvelines, ვერსალი, საფრანგეთი), ხოლო 2019 წ. — ERASMUS + -ის გრანტი - აკადემიური პერსონალის მობილობა რუანის უნივერსიტეტში (Université de ROUEN Normandie, რუანი, საფრანგეთი); არის ფრანგული ენის მასწავლებელთა საერთაშორისო გაერთიანება FIPF პროექტის „les bourses de la francophonie“ – ის გამარჯვებული; გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი არაერთი სემინარი, კურსი, ტრენინგი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ; არის რამდენიმე ეროვნული და საერთაშორისო კონფერენციის ორგანიზატორი.

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 7 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს წლების განმავლობაში.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს განსაკუთრებით გამოვლინდა მათი კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პერსონალი მუდმივად მზადაა დახმარებისთვის და მათი პროფესიონალიზმი ღირებული სტუდენტების განვითარებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ საბაკალავრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პირები, რომლებსაც გააჩნია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია. პროგრამას ახორციელებს 24 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 16 აფილირებული აკადემიური პირი (3 პროფესორი, 8 ასოცირებული პროფესორი და 5 ასისტენტ პროფესორი) და 8 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად (კონკურსის საფუძველზე).

პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, ბაკალავრიატი)¹⁹

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²⁰	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ²¹	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	24	24	24	24
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	8	8	8	8
- ასისტენტ-პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	8	8	2	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობამ და საუბარმა ცხადყო, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებსა და სპეციფიკას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის პროცესში, კერძოდ, სისტემატურად ახორციელებენ საერთო ღონისძიებებს აზერბაიჯანის სლავურ უნივერსიტეტთან, პოლონეთის საელჩოსთან და სხვ. ამის დასტურია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონაცემები ბოლო 5 წლის განმავლობაში: ადგილობრივი ჟურნალებში პუბლიკაციები - 6; საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციები - 31; ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა - 17; საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა - 74; სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა - 22 (სულ 150).

პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)	150
--	-----

¹⁹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²⁰ პირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²¹ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ადგილობრივ ნაშრომები	ჟურნალებში	გამოქვეყნებული	6
საერთაშორისო ნაშრომები	ჟურნალებში	გამოქვეყნებული	31
ადგილობრივ მოხსენებები	კონფერენციებში	გაკეთებული	17
საერთაშორისო მოხსენებები	კონფერენციებში	გაკეთებული	74
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები			22

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობის გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას. ამ მიზანს ემსახურება სტუდენტებისა და გამოცდილი მასწავლებლების ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები.

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 17%, რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე.

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით, აქვს ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის გამოცდილება. ინტერვიუ ადასტურებს მის აქტიურ მონაწილეობას პროგრამის მომზადების ყველა ეტაპზე და სტუდენტებზე ზრუნვას.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს წლების განმავლობაში.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი კვალიფიკაციით, პროფესიონალიზმით და მოტივაციით. პროგრამაზე აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად. გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, კერძოდ კი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი დასაქმებულია დოკუმენტების ქვეთავი 1.3-ის შესაბამისად.

პროგრამაში ჩართული პირების რაოდენობა შესაბამისობაშია წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #173-თან - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის

მეთოდოლოგიის შესახებ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობასთან შეფარდებისთვის და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)²²				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი²³	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი²⁴	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	16	16	16	16
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	14	14	14	14
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	0	0	0	-
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	-

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობის შედეგად ესპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართულობა შთამბეჭდავია:

ადგილობრივი ჟურნალებში პუბლიკაციები	40
საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციები	22
ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა	14
საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა	42
სხვა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაჩვენებელი	15

²² საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²³ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აღნიშნული დასტურდება გასაუბრების შედეგადაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალი ასახელებენ უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობის კონკრეტულ მაგალითებს. ასევე, წარმოდგენილია პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგების ანალიზი, შესაბამისი ღონისძიებების მიზნით.

უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს აკადემიური საბჭოს #61 დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ. საბაკალავრო პროგრამაში ჩართული პერსონალის დატვირთვა შეესაბამება მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას, ასევე ითვალისწინებს სტუდენტების საკონსულტაციო საათებს. აღნიშნულს ადასტურებენ წარმოდგენილი დოკუმენტი - პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა და სტუდენტებთან გასაუბრებაც.

საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის მიმდინარეობის უწყვეტობას და მდგრადობას. ბოლო 5 წლის განმავლობაში პერსონალის დენადობა შეადგენდა დაახლოებით 18.8%, ხოლო შენარჩუნება - 81.3%-ს.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. იგი ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დასტურდება გასაუბრებით. მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით (ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხი), პრაქტიკული გამოცდილებით (სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის 10 წელი) და/ან სამეცნიერო ნაშრომებით (17 სამეცნიერო სტატიის ავტორი, 6 საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემების რედაქტორის წევრობა, 13 საერთაშორისო კონფერენციაში/სიმპოზიუმში მონაწილეობის მიღება, 5 სახელმძღვანელოს და მონოგრაფიის ავტორი, 13 სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელი/რეცენზენტი, 22 კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსებში მონაწილეობა).

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 7 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს განსაკუთრებით გამოვლინდა მათი კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პერსონალი მუდმივად მზადაა დახმარებისთვის და მათი პროფესიონალიზმი ღირებული სტუდენტების განვითარებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია აწსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“ N173 დადგენილების შესაბამისად, ხოლო მათ წლიურ დატვირთვას არეგულირებს აწსუს-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 6 ივნისის N61 (21/22) დადგენილება „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო[1]მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ“. როგორც პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა რაოდენობა, ასევე მათი დატვირთვის სქემა

უზრუნველყოფს მათზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ჯეროვნად შესრულებასა და პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას.

თანდართული დოკუმენტებით (პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირთა CV, დიპლომები) დასტურდება, რომ აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, სრულად უზრუნველყოფს „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

„გერმანული ენისა და ლიტერატურის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში აღემატება დადგენილებით განსაზღვრულ ნორმას (11/4), თუმცა ზოგადად გერმანიისტიკის მიმართულებით ქვეყნის მასშტაბით არსებული მცირერიცხოვანი ჯგუფების ტენდენციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტი იყენებს განსაკუთრებულ მიდგომებს პროგრამის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, რაც უდავოდ მისასაღებელია. პროგრამა ხორციელდება სრულად აკადემიური პერსონალის რესურსით და დენადობის თვალსაზრისით არ განხორციელებულა რაიმე ცვლილება (მოაკლდა 0 და შეემატა 0 პირი), რაც ასევე უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)²⁵				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი²⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი²⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	11	11	11	11
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	7	7	7	7
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	0	0	0	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

მაღალია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მაჩვენებელი - 279.

მათგან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 88,

²⁵ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

²⁷ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 15,

ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 34,

საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები - 104,

სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - 38.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის ხელმძღვანელის პირადი საქმის) შესწავლამ, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუმ ცხადყო, რომ „გერმანული ენისა და ლიტერატურის“ პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია სრულად შეესაბამება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო მოთხოვნებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ფრანგული ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პირები, რომლებსაც გააჩნია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია. პროგრამას ახორციელებს 14 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 10 აფილირებული აკადემიური პირი (2 პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი) და 4 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	10	10	10	10
- პროფესორი	2	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	2	2
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	4	4	2	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობამ და გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებსა და სპეციფიკას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის

პროფესიულ განვითარებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის პროცესში. ამის დასტურია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონაცემები ბოლო 5 წლის განმავლობაში:

<u>პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)</u>	99
ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	14
საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები	14
ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	10
საერთაშორისო კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებები	44
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები	17

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობის გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას.

სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენს 0 %, რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით. იგი ჩართულია პროგრამის შემუშავების პროცესში, რაც დასტურდება გასაუბრებით. მისი კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით (ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი) და მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით (1980 წლიდან). ის ფრანგული პოეზიის, დრამატურგიის და რომანების მთარგმნელია; გამოცემული აქვს ანთოლოგიები ფრანგულ ენაზე: 1. მე-17 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ანთოლოგია და 2. მე-18 საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ანთოლოგია; მას გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია და სახელმძღვანლო: ფრანგული ლიტერატურის ისტორია (ტომი პირველი), ფრანგული დრამატურგია და ქართული სინამდვილე, ნარკვევები ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან, ფრანგული ენის ლექსიკური სიმწიფე, ფრანგი კლასიციისტი დრამატურგების ლიტერატურული მანიფესტები, მე-17 საუკუნის ფრანგული ლიტერატურა (ფრანგულენაზე), მე-18 საუკუნის ფრანგული ლიტერატურა (ფრანგულ ენაზე), ანდრე მალრო-რომანისტი, მონტესკიე და ქართული მწერლობა, ფრანსუა მორიაკი- რომანისტი; მოპოვებული აქვს აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის გრანტი „XX საუკუნის პირველი ნახევრის დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია“ (პროფ. ნ. კაკაურიძის საერთო რედაქციით).

პროგრამის მდგრადობას უზრუნველყოფს 7 ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს წლების განმავლობაში.

სტუდენტებთან გასაუბრების დროს განსაკუთრებით გამოვლინდა მათი კმაყოფილება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალით. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ პერსონალი მუდმივად მზადაა დახმარებისთვის და მათი პროფესიონალიზმი ღირებული სტუდენტების განვითარებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის “რუსული ენა და ლიტერატურის“ სამაგისტრო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პირები, რომლებსაც გააჩნია დაგეგმილი სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენცია. პროგრამას ახორციელებს 10 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 8 აფილირებული აკადემიური პირი (3 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი) და 2 მოწვეული პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი შერჩეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად (კონკურსის საფუძველზე).

პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა) ²⁸				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ²⁹	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ³⁰	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	10	10	10	10
- პროფესორი	3	3	3	3
- ასოცირებული პროფესორი	5	5	5	5
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	2	2	2	0
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	0

²⁸ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

²⁹ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

³⁰ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების გაცნობამ და საუბარმა ცხადყო, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებსა და სპეციფიკას. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები ეწევიან აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ჩართული არიან ინტერნაციონალიზაციის პროცესში, კერძოდ, სისტემატურად ახორციელებენ საერთო ღონისძიებებს აზერბაიჯანის სლავურ უნივერსიტეტთან, პოლონეთის საელჩოსთან და სხვ. ამის დასტურია პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მონაცემები ბოლო 5 წლის განმავლობაში: ადგილობრივი ჟურნალებში პუბლიკაციები - 2; საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციები - 24; საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა - 74; სხვა სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა - 15 (სულ 81).

<u>პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში)</u>			81
ადგილობრივ ჟურნალებში ნაშრომები	გამოქვეყნებული		2
საერთაშორისო ჟურნალებში ნაშრომები	გამოქვეყნებული		24
ადგილობრივ კონფერენციებში მოხსენებები	გაკეთებული		0
საერთაშორისო კონფერენციებში მოხსენებები	გაკეთებული		40
სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები			15

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმრავლესობის გამოცდილება უზრუნველყოფს სტუდენტისათვის როგორც დარგის თანამედროვე მიღწევების გაცნობას, ისე სფეროსთვის აუცილებელი უნარების გამომუშავებას. ამ მიზანს ემსახურება სტუდენტებისა და გამოცდილი მასწავლებლების ერთობლივი სამეცნიერო კვლევები და პუბლიკაციები.

სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დენადობა ბოლო 5 წლის განმავლობაში შეადგენდა დაახლოებით 22 %, რაც მეტყველებს პროგრამის მდგრადობაზე.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი გამოირჩევა მაღალი კვალიფიკაციით და პროფესიონალიზმით, აქვს ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და ადმინისტრაციული საქმიანობის გამოცდილება. ინტერვიუ ადასტურებს მის აქტიურ მონაწილეობას პროგრამის მომზადების ყველა ეტაპზე და სტუდენტებზე ზრუნვას.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს წლების განმავლობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები
- წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება #173-თან - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ
- აკადემიური საბჭოს #61 დადგენილებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, ემერიტუსის, მასწავლებლის, ხელშეკრულებით და საათობრივი წესით მოწვეული სპეციალისტების წლიური სასწავლო, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო- მეთოდური დატვირთვის ნორმების დამტკიცების შესახებ
- პერსონალის პირადი მონაცემები
- პერსონალის მიმდინარე სემესტრული დატვირთვა
- პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები
- გასაუბრების შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესი (აწსუ-ს დადგენილება №38 (20/21), რომლის მიხედვით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ემერიტუს-პროფესორი ან დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული პირი.

ინტერდისციპლინარული კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც. ერთმა პირმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტს. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების, თემატიკისა და რეცენზენტების დამტკიცებას ახდენს ფაკულტეტის საბჭო და უნივერსიტეტის რექტორი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ევალება: დაეხმაროს მაგისტრანტს არჩეული სამაგისტრო საკვლევი თემის შესრულების პროცესის დაგეგმვაში, მისცეს რჩევები, მითითებები კვლევის პროცესთან დაკავშირებით და გაუწიოს კონსულტაცია წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით. ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი და დაადასტუროს, რომ მაგისტრანტს სწორი გეგმა აქვს შემუშავებული სამაგისტრო თემაზე მუშაობის გასაგრძელებლად. ხელმძღვანელი ნაშრომის დასრულების შემდეგ ამზადებს დასკვნას.

ხელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული ნაშრომის ხელმძღვანელობაზე და ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს განმარტებითი ბარათი, სადაც დასაბუთებული იქნება ხელმძღვანელობაზე უარის თქმის მიზეზი. ამ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იქნას დროის ფაქტორი, რათა მაგისტრანტმა და სამაგისტრო ნაშრომის ახალმა ხელმძღვანელმა შეძლონ დროული რეაგირების მოხდენა. ხელმძღვანელობაზე უარის თქმის ბოლო ვადა არის დამამთავრებელი სემესტრის სალექციო-სასემინარო პერიოდის დაწყებიდან 10 დღე.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელები ჩართული არიან სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და გამოქვეყნებული აქვთ სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შესაბამისია მაგისტრანტებისთვის შეთავაზებული კვლევითი მიმართულებების, თემატიკების, რაც დასტურდება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების პირადი საქმეებით.

ზემოდ აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები სრულად შეესაბამება სწავლების მეორე საფეხურის მოთხოვნებსა და ენის დაუფლების დარგობრივი სფეროს სპეციალობების თავისებურებას. აგრეთვე გათვალისწინებულია საერთაშორისო პრაქტიკა.

კლასტერში წარმოდგენილია ოთხი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა: პროგრამა 5 - ინგლისური ენა და ლიტერატურა; პროგრამა 6 - გერმანული ენა და ლიტერატურა; პროგრამა 7 - ფრანგული ენა და ლიტერატურა; პროგრამა 8 - რუსული ენა და ლიტერატურა. ამ პროგრამების სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, კურსდამამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ კვლევის შესრულებისას და სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტებს ეხმარება კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ არჩეული საკვლევი თემის შესაბამისი გამოცდილება (ეს იქნება სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობა, რეიტინგულ ჟურნალში პუბლიკაციები, საერთაშორისო ფორუმებზე გამოსვლა და სხვ.), რაც ასევე დასტურდება შესაბამისი პირების პირადი საქმეებით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში გამართული ინტერვიუს დროს აგრეთვე გამოვლინდა სამაგისტრო თემების არჩვის პროცედურა: ხანდახან სტუდენტი მოდის ხელმძღვანელთან უკვე გააზრებული არჩვანით და ხელმძღვანელი არჩეული თემის აქტუალობისა და მნიშვნელობის შემთხვევაში ეხმარება სტუდენტს გეგმისა და ბიბლიოგრაფიის შედგენაში. ჩვეულებრივ კი, ხელმძღვანელები თავაზობენ სტუდენტებს თემის რამოდენიმე შესაძლო ვარიანტს და სტუდენტი აკეთებს არჩვანს მისი ინტერესებიდან გამომდინარე. აგრეთვე, საუბრის დროს გამოვლინდა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები სისტემატურად უწევენ სტუდენტებს კონსულტაციებს სამაგისტრო

ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე: ბიბლიოგრაფიის შედგენა, კვლევის დიზაინი, საკვლევი მასალის ანალიზი, სამეცნიერო ჰიპოტეზის ჩამოყალიბება და სხვ. საბოლოოდ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი წერს სათანადო დასკვნას.

პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)³¹			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები³²	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	14	14	14
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	13	13	13
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)³³			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები³⁴	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	10	10	10
- პროფესორი	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	6	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

³¹ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

³² საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

³³ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

³⁴ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, მაგისტრატურა)³⁵			
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები³⁶	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	3	3	3
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	2	2	2
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის შესახებ“ აწსუ-ს დადგენილება №38 (20/21);
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების პირადი საქმეებით;
- სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები;
- სამაგისტრო ნაშრომების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვა.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდაციები არ გაცემულა.

კლასტერის საერთო რჩევები:

რჩევები არ გაცემულა.

³⁵ საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

³⁶ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ნაწილია. აკადემიური პერსონალის შესაფასებლად უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის შეფასებას. აკადემიური პერსონალის სასწავლო - მეთოდურ მუშაობას ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე.

ამასთან, უნივერსიტეტი რეგულარულად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების ელექტრონული ვერსიების განახლებას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტს გააჩნია ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა, რაც საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად ახდენს ურთიერთდასწრების შედეგების ანალიზს, რის საფუძველზეც ხდება სწავლების პროცესში ძლიერი და გასაუჯობებელი მხარეების გამოყოფა. აღნიშნული დადასტურდა პროგრამების განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების დროსაც. ისინი აღნიშნავენ, რომ პერსონალის ურთიერთდასწრება ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებასა და პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის შეფასებას, ასევე, ახდენს სტუდენტთა გამოკითხვის გზით, რომელსაც ატარებს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. სტუდენტის მიერ ფასდება სალექციო/პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი, სწავლების თანამედროვე მეთოდების მრავალფეროვნება, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოყენებული კრიტერიუმების გამჭვირვალობა, სტუდენტის კმაყოფილება უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და ა. შ. გასაუბრების დროს სტუდენტები ადასტურებდნენ, რომ რეგულარულად იღებენ მონაწილეობას მსგავს კვლევებში.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს პერსონალს პროფესიული განვითარებისათვის, რისთვისაც იყენებს შემდეგ სერვისებს:

ტრენინგებზე და სამეცნიერო კონფერენციებზე მივლინება;

- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;
- აწსუ-ს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება;
- უცხო ენის შემსწავლელი კურსები;
- აწსუ-ს სამეცნიერო კონფერენციების სერვისები.

გარდა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრებისა, ინგლისური ენისა და ლიტერატურის და გერმანული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით საერთაშორისო ექსპერტების მიერ ჩატარდა არაერთი აქტივობა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, რასაც წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშთან ერთდ ადასტურებს პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები. ასევე, წარმოდგენილია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ნუსხა, მათ შორის პერსონალის მიერ საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში, პროექტებში მონაწილეობის მიღების ჩამონათვალი.

უნივერსიტეტში პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი/საქმიანობის განხორციელების ხელშესაწყობად შექმნილია აუცილებელი მატერიალური პირობები. ამასთან უნივერსიტეტს გააჩნია აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების პოლიტიკაც. (აკადემიური საბჭოს დადგენილება №12(22/23), 29.09.2022)

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემები (CV)
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა EP-QA 1.2
- ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. დანართი 4-EP-QA 1.2
- აწსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები
- აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №12(22/23), 29.09.2022 უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების წახალისების შესახებ.
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგები, ინტერვიუს შედეგები

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ტექნიკური აღჭურვილობა და საბიბლიოთეკო რესურსი როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. უნივერსიტეტს აქვს სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერული კლასები, საკონფერენციო დარბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია პროგრამის სილაბუსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა, დამხმარე მასალები, როგორც ელექტრონული ისე მყარი სახით. აღნიშნული რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია ბიბლიოთეკის ელექტრონული პორტალი, საიდანაც მათ წიგნების ელექტრონული ვერსიების ნახვა შეუძლიათ. სტუდენტებს, მოწვეულ თუ აკადემიურ პერსონალს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის სამეცნიერო ბაზებით. სტუდენტები ინფორმირებულები არიან არსებული რესურსების გამოყენების შესაძლებლობის და მოხმარების წესების შესახებ. ზოგადად, განახლებული ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა და წიგნადი ფონდი შთამბეჭდავია. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა კონკრეტული სახელმძღვანელოები, რომლებიც მითითებული იყო სილაბუსებში. აღნიშნული ლიტერატურა ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო ფიზიკური ფორმით ან გაციფრულებული. ბიბლიოთეკა იცავს საავტორო უფლებებს შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე წიგნების გაციფრულების შემთხვევაში.

აღნიშნული ჩანაწერი ეხება კლასტერში დაჯგუფებულ ყველა პროგრამას, შესაბამისად პროგრამების ინდივიდუალურად განხილვა არა არის საჭირო.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შესაბამეა პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიუჯეტის კონკრეტული ნაწილი ფარავს პრაქტიკულად ყველა საგანმანათლებლო პროგრამას და უზრუნველყოფს მას ფინანსურად. საუნივერსიტეტოს ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ფინანსურ მხარდაჭერას, რასაც ითვალისწინებს საფაკულტეტო ბონუს-სისტემა. საგანმანათლებლო პროგრამების ინსტიტუციური ფუნქციონირების მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის პრინციპები (დამტკიცებული უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოზე, დადგენილება N175, 28/02/2018), სადაც დეტალურად ფინანსური ხარჯვის დეტალური გათვლის მიზნით შერჩეულ ობლიგატორულ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით წარმოდგენილია ხარჯის გაანგარიშების მექანიზმი და მეთოდოლოგია, მათ შორის,

- საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, რომლის მიხედვით ცალკე განიხილება სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, ისევე როგორც პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემტხვევაში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე);
- საგანმანათლებლო პროგრამის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშება, რომელიც ეყრდნობა კრედიტმოცულობის საათებში გაანგარიშების მეთოდოლოგიას;
- შესასრულებელი სამუშაო მოცულობა წლის განმავლობაში, რომელიც ქმნის საფუძველს ხელფასისა და პრაქტიკის ხარჯის გაანგარიშებისათვის;
- დამატებითი ხარჯების განსაზღვრა, რომელიც გულისხმობს: ადმინისტრაციული და დამხარე პერსონალის ხელფასს, კომუნალურ ხარჯებს, საუნივერსიტეტო სტიპენდიებს და გადასახადებს (რომლის დაანგარიშება გაწერილია 1 აკადემიურ ჯგუფზე გასული ფაქტობრივი ხარჯვის მოცულობისა და აკადემიური ჯგუფების მთლიანი რაოდენობის თანაფარდობით);
- ინფრასტრუქტურისა და ლაბორატორიული აღჭურვილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვლა ერთ აკადემიურ ჯგუფზე;

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება ითვლის თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯთან ერთად ე.წ. 'რისკის დაზღვევას', რომლის მოცულობა მთლიანი ხარჯის 10%-ია. მიღებული ხარჯვითი მოცულობა ეფარდება საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ოპტიმალურ ოდენობას, რაც ხდება შემდგომში საფუძველი ხარჯვითი მოცულობისა და აკადემიური ხელფასების კორექტირებისათვის. პროგრამების ბიუჯეტის გაანგარიშებას ახდენს უნივერსიტეტის ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური ყოველწლიური ხარჯის გაანგარიშების სპეციალური ელექტრონული პროგრამით.

პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვისას საუნივერსიტეტო ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ პროექტებს საბიუჯეტო განაცხადის ფარგლებში, რომელთა განხორციელება ხდება ხარჯვის ლიმიტს ფარგლებში, რაც გულისხმობს ფაკულტეტების საჭიროებებიდან გამომდინარე ყოველწლიური პრიორიტეტების დადგენის საფუძველზე საერთო ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხის ხარჯვის გადაწყვეტის უფლებას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები როგორც უკვე აღინიშნა, გამოთვლილია ერთიანი პრინციპით, რისთვისაც შემუშავებულია ერთიანი გამოთვლის ფორმულა და დასაბუთების პრინციპები. ბიუჯეტების ჰორიზონტალურმა შედარებამ აჩვენა, რომ წარმოდგენილია ორი ტიპის საბიუჯეტო გათვლა, კერძოდ, ინგლისური ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამების და ყველა დასავლური ენებისა და ლიტერატურის (მათ შორის გერმანული, ფრანგული და რუსული). საფინანსო დოკუმენტში წარმოდგენილია ხარჯები სრული კურსის მოცულობით როგორც საბაკალავრო (4 წელი), ისე სამაგისტრო პროგრამებზე (2 წელი). ბიუჯეტი გაწერილია სტუდენტთა ჰიპოთეტურ რაოდენობაზე, სადაც ყველაზე მაღალი ჰიპოთეტური გათვლა აქვს გერმანული, ფრანგული და რუსული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამებს. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი სტუდენტთა რაოდენობაა და შესაბამისად, სასწავლო გრანტის ოდენობა, ფაქტობრივად ძნელია განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამების სრული მდგრადობა, განსაკუთრებით ეს ეხება გერმანული, ფრანგული და რუსული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამებს, ისევე როგორც ინგლისური ენისა და ლიტერატურის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას. დაწესებულებას გერმანული და ფრანგული ენისა და ლიტერატურის საბაკალავრო პროგრამების (დაწესებულება ორივე პროგრამაზე ჩარიცხულ 5-5 სტუდენტს განიხილავს დაფინანსების ფარგლებში) სტუდენტთა მხარდასაჭერად შემუშავებული აქვს კონკრეტული ქმედითი ღონისძიებები, შესაბამისად, ინსტიტუცია წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამებზე უარს არ ამბობს სტუდენტთა მცირე რაოდენობის სასწავლო ჯგუფების გახსნაზე. წინამდებარე მოსაზრება არაერთგზის გაჟღერდა დაწესებულების წარმომადგენელთა არაერთ სესიაზე.

მოცემული ბიუჯეტებიდან ერთგვაროვანი დაფარვა აქვს არაპირდაპირ ხარჯებს, თუმცა ცოტა ბუნდოვანია არაპირდაპირი ხარჯების თანაბარი რაოდენობა ერთი მხრივ ინგლისური ენისა და ლიტერატურის, ხოლო მეორე მხრივ სხვა დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, სადაც სტუდენტთა ჰიპოთეტური გათვლის შემთხვევაშიც ცოტა გართულდება არაპირდაპირი ხარჯების გათანაბრებული გათვლა.

ექსპერტთა ჯგუფის მსჯელობიდან გამომდინარე, სასურველია შემდგომში ბიუჯეტის გათვლის პროცესში ჰიპოთეტური დაშვებაც განისაზღვროს მეტნაკლებად რეალური დაშვების ფარგლებში.

ზემოთ მოყვანილი ანალიზის გათვალისწინებით, არ არის ინდივიდუალური პროგრამების განხილვის საჭიროება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპები (აწსუ_წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N175, 28.02.2018);
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ფორმის დამტკიცების შესახებ (აწსუ_წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილება N82, 21.12.2021);
- წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტები;
- ინტერვიუს შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

- სასურველია ბიუჯეტის შემუშავებისა და გამოთვლის პროცესში თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ჰიპოთეტური მონაცემები განისაზღვროს რეალურს ვითარებასთან მეტად მიახლოებით, რათა განისაზღვროს ფინანსური რეალური ფოკუსი და შესაბამისად რისკის დამზღვევი ღონისძიებები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა				
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო რეგულაციების, ქართული კანონმდებლობისა („უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით,) უნივერსიტეტის მისიისა, სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტების, შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციებისა და შესაბამისად შემუშავებული პროცედურების საფუძველზე. საკუთრივ ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საფაკულტეტო შესაბამის სამსახურებთან, საკუთარ საქმიანობას წარმართავს ხარისხის შიდა და გარე შეფასების ინსტრუმენტებით ციკლური პროცესი, რომელიც ემყარება ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეაფასება და გაუმჯობესება (PDCA ციკლი). ამასთან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად აუმჯობესებს და ავითარებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, რაც თემატურად გულისხმობს:

- საგანმანათლებლო პოლიტიკისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გამართულობა;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენისა და დამტკიცების პროცედურებს;
- საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდულ შეფასებასა და ყოველწლიურ ანგარიშებს;
- ინსტიტუციური გამოკითხვებს, რაც უწინარეს ყოვლისა ითვალისწინებს სწავლების პროცესზე დაკვირვებას, შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირების მოსაზრებებისა და პოზიციის ანალიზსა და მათი პოზიციის შეჯერებას საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში;
- სასწავლო და კვლევითი რესურსების და სერვისების გაუმჯობესების საკითხებს.

ხაზგასმით მნიშვნელოვანია სამსახურის კონცეპტუალური მიდგომა საკუთარი საქმიანობის მიმართ, რაც მიუთითებს მასზე, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარი ქმედების არეალს წარმოადგენს მუდმივად სამსახურის მიმართ წაყენებული განახლებული გამოწვევების ფორმატში, რაც ხაზს უსვამს მიდგომას, რომ ხარისხი სამსახური დაწესებულებაში მუდმივად ორიენტირებულია განვითარებაზე, რაც უშუალო წინაპირობაა ხარისხის კულტურის პერმანენტული განვითარების. პრიორიტეტი ამ განვითარებაში ენიჭება შიდა ხარისხის განვითარებას, თუმცა ეს უკანასკნელი მუდმივად მორგებულია თითოეული ფაკულტეტის სპეციფიკაზე ავტონომიური ხედვის შენარჩუნებით. თუმცა დაწესებულება გამომდინარე იქიდან, რომ ცდილობს ყველა საუნივერსიტეტო პროცესი გადავიდეს ინტერნაციონალიზაციის სივრცეში, ხელს უწყობს შიდა საუნივერსიტეტო პროცესების მიახლოებას საერთაშორისო სტანდარტებთან.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პრიორიტეტულად განსაზღვრას სამ ძირითად პოლიტიკას, კერძოდ, **საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა** (EP-QA - ხორციელდება სამი პროცედურის საფუძველზე: *საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა*; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა; მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა); **კვლევის განვითარების პოლიტიკა** (RE-QA); **მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა** (ME-QA განისაზღვრება ორი პროცედურით: თვითშეფასებისა და ანგარიშგების პროცედურა და მართვის ეფექტიანობის შეფასების პროცედურა); წინამდებარე

სახელმძღვანელო დოკუმენტები არის ცოცხალი ორგანიზმი, რომლის ცვლილება მიმდინარეობს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული სიახლეების ინსტიტუციურად გააზრების შემდგომ.

კლასტერში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მოსამზადებელი პროცესი, გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე პროგრამების აკრედიტაცია განხორციელდა 2011-2012 წწ. რეაკრედიტაციის პროცესის მოლოდინში პროგრამის განმახორციელებელ პირებს პერიოდულად უხდებოდათ მზადების პროცესის განახლება. მზადების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა შრომის ბაზრის აქტუალური მონაცემების კვლევას, რათა დადგენილიყო ევროპული ენების მოთხოვნა შრომის ბაზარზე, ვაკანსიების რაოდენობრივი მაჩვენებელი და შემდგომ ეტაპზე პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნები აპლიკანტების მიმართ. კვლევის მეთოდოლოგიად განსაზღვრული იყო რაოდენობრივი კვლევა, ხოლო კვლევის ინსტრუმენტად - პირისპირ ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა 25-30 წთ., კვლევის არეალად განხილულ იქნა ქუთაისი და ბათუმი, შერჩევის მოცულობა ითვალისწინებდა 65 რესპონდენტს, ხოლო მეთოდი - შერჩევითობის პრინციპს. რაც შეეხება სამიზნე ჯგუფის შემადგენლობას, ის შედგებოდა უცხოური ენების მიმართულების დამსაქმებელი ორგანიზაციებისგან.

ბაზრის კვლევის მონაცემები და თემატიკა დეტალურია და გამოკითხვა ჩატარებულია სხვადასხვა რაკურსში. წარმოდგენილია ცალკეული გრაფიკები ორღერძულა კვეთით, წარმოდგენილია ცალკეული თემის დასასრულს ძირითადი ტენდენციები. ამასთან მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ დაწესებულება მუდმივ კომუნიკაციაშია დამსაქმებელთან, რომელთა მონაწილეობა ხშირია როგორც საუნივერსიტეტო აქტივობებში, ისევე დამსაქმებელთა მიერ დაგეგმილ პროფორიენტაციის შეხვედრებში. დამსაქმებლები აქტიურად იყვნენ ჩართული ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში, რაც დადასტურდა დამსაქმებელთა სესიაზეც. წინამდებარე კლასტერში ყველაზე მოთხოვნადი უცხოური ენაა ინგლისური. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დამსაქმებლები (53,1 %) მომავალი წლისთვის (მთელი წლის განმავლობაში) გეგმავენ ახალი კადრების აყვანას. შრომის ბაზრის კვლევა მოცულობითია, წარმოდგენილია გრაფიკული სახითაც, თუმცა სასურველია თუ კი კვლევის შედეგების ანალიზი ასევე იქნებოდა დეტალური.

საგანმანათლებლო პროგრამების უკანასკნელი აკრედიტაციიდან ვიდრე მიმდინარე პროცესებამდე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე საკანონმდებლო სიახლეებისა და საერთაშორისო სტანდარტების მიღებიდან გამომდინარე დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულად უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის მხარდაჭერას სხვადასხვა ტიპის ტრენინგების, სემინარებისა და ვორკშოპების ფარგლებში. დაწესებულების მიერ 2015 და 2017 წწ. მომზადდა საერთაშორისო ფორუმი **უმადღესი განათლება - ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები**, სადაც წარმოდგენილი იყო სიახლეები და მათი განხორციელების მეთოდოლოგია. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აკრედიტაციამდე მოამზადა და გააზიარა ყველა ის სიახლე და მოთხოვნა, რაც წარმოდგენილი იყო კლასტერული აკრედიტაციის ფარგლებში. სააკრედიტაციო პროტოკოლით მომზადებაში მონაწილეობას იღებდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უმეტესობა, ისევე როგორც სტუდენტები და გარკვეულწილად ალუმნი. ინტერვიუების ფორმატში ექსპერტთა ჯგუფისთვის ნათელი გახდა, რომ ინსტიტუცია გათვითცნობიერებული იყო მიმდინარე პროცესებში, აქტიურად ჩართული სააკრედიტაციო პროცესებში, მაგრამ კლასტერული აკრედიტაციის პროცესების მიერ დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა სავარაუდოდ ცალკეული საკითხები მეტ-ნაკლებად ბუნდოვნად დატოვა პროგრამის განმახორციელებელ და დაინტერესებულ პირთათვის (მაგ. კლასტერული თვითშეფასების ანგარიშის ჰოლისტურად შემუშავების პრინციპი, საგანმანათლებლო

პროგრამების რუკები და მსგვ. თუმცა უნდა აღინიშნოს., რომ აკრედიტაციის ახალი სტანდარტებისა და ფორმატის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებს წარმოდგენილი ჰქონდათ ყველა მტკიცებულება და დანართი მასალა, რაც მომზადებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ხარისხის ანალიზის მიზნით, რაც დაწესებულებაში ანალიზური საქმის წარმოების დამკვიდრებულ ტრადიციად შეიძლება იყოს მიჩნეული.). ასევე უნდა აღინიშნოს პროცედურული საკითხების სხვადასხვა ხარისხით გაზიარება და გადააზრება (მაგ., ინგლისური ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალის მაღალი ჩართულობა სხვა საგანმანათლებლო პროგრამების აკადემიური პერსონალისგან განსხვავებით, რისი განმარტება შესაძლებელია იმ ფაქტორებითაც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით სიახლეები მეტწილად საერთაშორისო დოკუმენტების ფორმატში პირველ რიგში ცნობილი ხდება ინგლისურენოვანი აკადემიური პერსონალისთვის.). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინტერვიუებისა და დოკუმენტური მასალის გაანალიზების შემდგომ, საექსპერტო ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია გაფართოვდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წრე, რომელიც ხარისხის ინსტიტუციური კულტურის გაღრმავების მიზნით მუდმივად ჩართული იქნება საგანმანათლებლო სიახლეების შესწავლის პროცესში.

ხარისხის შიდა შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმს წარმოადგენს გამოკითხვები, რაც დადასტურდა რესპონდენტთა ინტერვიუების პროცესში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო შიდა ინსტიტუციური შეფასების 4 ტიპის კითხვარს, მათ შორის აკადემიური პერსონალის, ლექტორის, სტუდენტებისა და სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი შედგენილია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულად გადააზრებას.

დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი ჰქონდა ყველა გამოკითხვის შედეგი, სადაც ძირითადად მოცემული იყო შედეგების ვიზუალიზებული მონაცემები. ისევე როგორც შრომის ბაზრის შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფმა ამ შემთხვევაშიც გამოთქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნებოდა ძირითადი შედეგების ვერბალურად რეზიუმეს სახით წარმოდგენა, მას შემდეგ რაც მომზადდებოდა გრაფიკული ნაწილის ინტერპრეტირებული ვერსია, რაც დააზუსტებდა ინსტიტუციის პოზიციას და გაცხადდებოდა პროგრამის განვითარების შემდგომი ეტაპები, როგორც პროგრამის განმახორციელებელი და დაინტერესებული პირების მხარდასაჭერად. ამასთან, პირველადი ინტერპრეტაციის შეჯერებული ვერსიის მომზადება მნიშვნელოვანია დარგების კლასტერულად შეფასების, კონტრასტებისა და დარგობრივი განვითარების საერთო საფუძვლის ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 9.02.2018, ცვლილებები პოლიტიკაში აკადემიური საბჭოს დადგენილებები №39(20/21), 15.07.2021 და №8 (22/23), 16.09.2022);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინსტიტუციური კვლევების შედეგები;

- ვიზიტის დროს წარმართული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს „

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, შრომის ბაზრის ანალიზის გრაფიკული და მატრიცული მონაცემებს თან დაერთოს ანალიზური განმარტებები დასკვნის სახით, რათა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებმა თანმიმდევრულად გაითვალისწინონ ყველა ის მოთხოვნა, რაც გააუმჯობესებს კურიკულუმებს;
- სასურველია კვლევის შედეგების პირველადი ინტერპრეტაცია განხორციელდეს ინსტიტუციურად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერულად გააზრებისა და ჰოლისტურად პროგრამების კონცეპტუალური განვითარების მიზნით;
- სასურველია გაფართოვდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის წრე, რომელიც ხარისხის ინსტიტუციური კულტურის გაღრმავების მიზნით მუდმივად ჩართული იქნება საგანმანათლებლო სიხლეების გაცნობისა და შესწავლის პროცესში;
- სასურველია აკრედიტაციის დასრულების შემდგომ გაანალიზდეს გარე შეფასების შედეგები, გადაიხედოს და მომზადდეს ხარისხის უზრუნველყოფის მარეგულირებელი საუნივერსიტეტოს პროცედურები კლასტერული აკრედიტაციის შესაბამისად.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--	---------------------------------	---	---	---

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამები მოქმედი იყო, პროგრამის განმახორციელებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ კლასტერული აკრედიტაციის პროცესში გარე შეფასების ფაქტობრივად ყველა მექანიზმის გამოყენების, მათ შორის შეიძლება დასახელდეს აკრედიტაციის პროცესი, რაც ავტორიზაციის პროცესთან ერთად მნიშვნელოვან მექანიზმად ითვლება, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. დაწესებულებამ ერთმნიშვნელოვნად ყურადღება გაამახვილა უკვე გავლილი პირველადი აკრედიტაციისა და შემდგომ ეტაპზე ავტორიზაციის პროცესში დამდგარი გარე შეფასების შედეგებზე. წარმოდგენილ პროგრამებს შორის აკრედიტაციის რეკომენდაციის დეტალურად გააზრებისა და ახლებურად გადამუშავების შედეგები წარმოადგინა ინგლისური ენისა და ლიტერატურის ორივე საგანმანათლებლო პროგრამამ (23.09.2011, N42, 19.04.2012, N89), სადაც ლოგიკურად არის დაკავშირებული გარე შემფასებელთა მოთხოვნები უკვე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ტრადიციული განვითარების ხაზთან და კლასტერული აკრედიტაციის გამოწვევებთან. რაც შეეხება კლასტერის დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამების მხრიდან აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების (23.09.2011, N38, 43, 45; 19.04.2012, N90,91,92) ძირითადი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა, რაც შეეხება ცალკეულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება არ მოხდა დაწესებულების მიერ, ინტერვიუებისას განმახორციელებელთა მიერ წარმოდგენილი იყო არგუმენტები, რომელთა ანალიზის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებების დაფიქსირდა პირველ და მეორე სტანდარტში.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული რეაკრედიტაციის ფორმატში განმახორციელებელმა პირებმა გამოიყენა გარე შეფასების სხვა მექანიზმები, რასაც ადასტურებს დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშის დანართების სახით წარმოდგენილ მასალებში. გამოკითხვები ჩატარდა კლასტერულად ერთი მხრივ,

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, ხოლო მეორე მხრივ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის. გამოკითხულთა დიდი ნაწილი ინგლისურენოვანია, რაც მოსალოდნელი იყო კურსდამთავრებულთა რაოდენობიდან გამომდინარე მათი საერთო რაოდენობიდან. გამოკითხულთა დიდი რაოდენობა (88%) როგორც კითხვარიდან გამომდინარე, ისე, ინტერვიუების შედეგად ადასტურებს, რომ პროგრამაზე მიღებული დარგობრივი ცოდნა და უნარები სრულიად აქტუალური იყო მათი დასაქმებისათვის. საბაკალავრო პროგრამის ყველაზე დიდი რაოდენობა კურსდამთავრებული (33%), თუმცა ეს მონაცემები წარმოადგენს კურსდამთავრებულთა ერთ მესამედს სწავლას აგრძელებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. რა შეეხება სპეციალობით მუშაობის დამწყებთა რაოდენობა ის უტოლდება 30 % და თითქმის პროგრამის მეორე მესამედ წილს წარმოადგენს, ამ ციფრს უახლოვდება არასპეციალობით დასაქმებულთა რიცხვი - 25%, რაც ფაქტობრივად პროგრამის კურსდამთავრებულთა 2/3-ია. ფაქტობრივად, ძალიან მცირეა საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულთა დაუსაქმებელ პირთა რიცხოვნობა (12%). ის, რომ სპეციალობითა და არასპეციალობით დასაქმებულთა რიცხვი თითქმის თანაბარია, ეს ფაქტი მეტყველებს მასზე, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ გამოიმუშავებული ტრანსფერული უნარები დამაკმაყოფილებელია ბაზრის მოთხოვნებისთვის. მოცემულ მონაცემებს ადასტურებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემები, კერძოდ, კურსდამთავრებულთა 39%-ს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ არ ჰქონიათ დამატებითი გადამზადების აუცილებლობა, ისევე როგორც მაღალია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების პროცენტული მონაცემები - 33%. რიცხოვნობით მეორე ადგილი უკავია გერმანული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებს, ხოლო ყველაზე მინიმალურია რუსული ენისა და ლიტერატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა, რაც სავარაუდოდ განპირობებულია სოციო-კულტურული და ენობრივი პოლიტიკიდან გამომდინარე. კიდევ უფრო მაღალია მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულებზე მოთხოვნა, კერძოდ, საქმდება 89%, მათ შორის 63% სპეციალობით და 29% - არასპეციალობით. თუმცა გადამზადება დასჭირდა კურსდამთავრებულთა საკმაოდ დიდ რაოდენობას, გადამზადება ნაკლებად რელევანტური იყო 19%-თვის. რაც არ იყო მოსალოდნელი იმ მოცემულობიდან გამომდინარე, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა 1/3-ს აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება. როგორც მოსალოდნელი იყო, გამომდინარე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი პროცენტულობიდან, დაბალი იყო მათი დაინტერესება 4% დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამით.

თვითშეფასების ანგარიშის დანართებში წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები (გამოიკითხა 14 ობიექტის წარმომადგენელი. მრავალფეროვანია დასაქმების ობიექტების ჩამონათვალი, როგორცაა, კერძო და საჯარო სკოლები, მუზეუმი, კერძო, არასამთავრობო და სახელმწიფო სექტორები, ბიბლიოთეკა, არქივი, სამეცნიერო, კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრები, სანოტარო ბიურო, ტურიზმის სფერო, გამომცემლობები და რედაქციები, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო და მედიები), რომელშიც დამსაქმებელთა დიდმა ნაწილმა ხაზი გაუსვა საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მიმართ წაყენებულ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს უნარს, კერძოდ, ცოდნის, კომუნიკაციის, ანალიზისა და დასკვნის უნარებს. როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, დამსაქმებლები აქტიურად თანამშრომლობენ უნივერსიტეტის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამების წარმომადგენლებთან, იცნობენ საგანმანათლებლო პროგრამებს და მნიშვნელოვნად არიან ჩართულები მათი მოდიფიკაციისა და განვითარების პროცესში.

წარმოდგენილი კვლევის ანალიზების გაცნობის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფი მსჯელობის საფუძველზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, თუ შემდგომ ეტაპებზე გარე შეფასება განხორციელდება არამარტო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც კიდევ უფრო დეტალურს გახდის დამსაქმებელთა და

კურსდამთავრებულთა კრიტიკულ პოზიციას, რაც მოცემულ ეტაპზე ნაკლებად განმარტებულია წარმოდგენილ მასალებში.

კლასტერული აკრედიტაციის პროცესში დაწესებულებამ იზრუნა ასევე საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებაზე. გარე კოლეგიური შეფასებას პროგრამის განმხორციელებლებმა მიმართეს როგორც ქვეყნის შიგნით ისე მის ფარგლებს მიღმა. საგანმანათლებლო პროგრამებმა გარე შეფასების შედეგები თვითშეფასების ანგარიშზე მომუშავე ჯგუფმა მორგებულად გამოიყენა საგანმანათლებლო პროგრამების სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრის მიზნით. შეფასება მომზადდა დარგის ექსპერტთა მიერ:

- რობერტ დ. ლიერი** - ფილოლოგიის დოქტორი, ინგლისური ენის სტიპენდიანტი;
 - მარგარეტ ენ სნოუ** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, განათლების სკოლის პროფესორი (კალიფორნიის უნივერსიტეტი, ლოს ანჟელესი);
 - პროფ. დოქტ. გერტრუდ მარია რიოში** - ჰაიდელბერგის რუპრეხტ კარლის უნივერსიტეტი.
 - დოქტორი ჰაიკე შპისი** - დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტი. გოეთეს მუზეუმის დირექტორის მოადგილე დიუსელდორფი.
 - პროფ. დოქტ. ეკატერინე შავერდაშვილი** - ინოვაციური განათლების კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
 - პროფესორი, დოქტორი პეტერ გალმანი** - იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი, გერმანული ენათმეცნიერების ინსტიტუტი;
 - დომინიკ ფურე** - რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის (INSA de Rennes) პროფესორი (საფრანგეთი);
 - მარი დუკროკი** - რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის (INSA de Rennes) პროფესორი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საფრანგეთი);
 - ინდირა მაგანია** - ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავისტიკის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
 - ფლორა სულთან გიზი ნაჯიევა** - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბაქოს სლავური უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიისა და მსოფლიო ლიტერატურის კათედრის პროფესორი.
- წინამდებარე შეფასებებში დარგის ექსპერტებს წარედგინათ საგანმანათლებლო პროგრამების სრულის პორტფოლიოები და აკრედიტაციის სტანდარტების ძირითადი მოთხოვნები, რომელიც უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურასა და შინაარსს, სასწავლო კურსების, წინაპირობების, სწავლა-სწავლებისა და კვლევის მეთოდოლოგიას ფარავს. ერთიანობაში საგანმანათლებლო პროგრამებს დადებითი შეფასება აქვთ, თუმცა ცალკეული დეტალები, რაც შემოთავაზებული იყო ქართველი და უცხოელი ექსპერტების მხრიდან მეტწილად გათვალისწინებულია და ასახული კურიკულუმებში, რაც შემდგომში უშუალოდ ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებას. ამას გარდა უნა აღინიშნოს, რომ ქართველი ექსპერტების შეფასების გაცნობის შემდგომ ცხადი გახდა, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა თავისი შინაარსით სხვა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედ კურიკულუმებთან, რაც უწინარესად სტანდარტიზაციისა და სტუდენტთა მობილობის საკითხის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა.
- გარე შეფასების თვალსაზრისით საგანმანათლებლო პროგრამებმა ასევე კარგად გამოიყენეს ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, რომელმაც ცალკეულ დეტალებში გზამკვლევის როლი იმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტიზაციის საქმეში.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინსტიტუციური კვლევების შედეგები;
- გარე კოლეგიური შეფასება;
- ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი;
- ვიზიტის დროს წარმართული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- მნიშვნელოვანია, თუ დაწესებულება პროგრამით დაინტერესებულ გარეაქტორებთან კვლევას წარმართავდა არამართო რაოდენობრივი, არამედ თვისობრივი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რათა ნათლად წარმოჩინდეს პროგრამის შედეგების კრიტიკული შეფასება.

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩევ(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (გერმანული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (რუსული ენა და ლიტერატურა, საბაკალავრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (ინგლისური ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (გერმანული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (ფრანგული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (რუსული ენა და ლიტერატურა, სამაგისტრო)	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

შპს-ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა რეგულაციებში დეტალურად აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესის ამსახველი პროცედურები, რომელშიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომლის საფუძველზე მიღებული შედეგების დამუშავება და ანალიზი რეგულარულ წარმოდგენას იძლევა პროგრამის რეალურ ვითარებაზე. საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება თავის მხრივ კი გულისხმობს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებას, ანალიზს და შედეგების შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას. მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით (EP-QA-1.2), რაც უწინარესად განიხილავს შემდეგ აქტივობებს:

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით დაინტერესებულ პირთა (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვებს;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზს;
- პროგრამის განმახორციელებელი პირების (აკადემიური, მოწვეული) მხარდამჭერი ღონისძიებებისა და მათ შედეგად დამდგარი განვითარების ანალიზს;
- მატერიალური და ტექნიკური რესურსები ვითარების და გასაუმჯობესებელი აქტივობების ანალიზის შედეგებს;
- ურთიერთდასწრებისა და -შეფასების ანალიზს.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და შეფასებაზე პასუხისმგებელია და მათ შეფასებასა დამონიტორინგის პროცესში ჩართულია როგორც პროგრამების ხელმძღვანელები და მასში ჩართული პერსონალი, ისე ფაკულტეტის დეკანი, დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დარგობრივი დეპარტამენტის კოორდინატორი. მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესში ასევე ჩართულნი არიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. კვლევების მონაცემების ანალიზის შედეგების ინტერპრეტაციისა და კომენტირების შემდგომი გაზიარება ხდება როგორც ადმინისტრაციული ერთეულების, ისე აკადემიური პერსონალის წინაშე, განისაზღვრება ცალკეული აქტივობები, მათი განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები, რაც დადასტურდა ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუების მონაწილეებთან.

კლასტერული აკრედიტაცია ახალი გამოწვევაა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რაც მოცემულ ეტაპზე უკვე აკონკრეტებს სასწავლო და კვლევითი პროცესების სხვა რაკურსში გააზრებასა და შესაბამისი პრობლემების გადაჭრას. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მოცემულ ეტაპზე გამოთქვას მოსაზრებას, სასურველი იქნებოდა თუ მონიტორინგის პროცესში ასევე ამოქმედდებოდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ცალკეულ თემებში (მაგ., საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი, სტრუქტურა, კვლევითი თემები და პროექტები) კლასტერული შეფასების პრინციპი.

2011-2012 წწ აკრედიტებული პროგრამების რეაკრედიტაციის პროცესი რამდენჯერმე გადაიდო და გახანგრძლივდა, თუმცა დაწესებულება პერმანენტულად ემზადებოდა საგანმანათლებლო პროგრამების რეაკრედიტაციისთვის. შესაბამისად 2011-2021 წლებში რამდენჯერმე განხორციელდა მონიტორინგი. კლასტერული აკრედიტაციის მეთოდოლოგიის შემოტანამ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ახლებური მიდგომები მოითხოვა კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების მომზადებისთვის. რიგი მონიტორინგის განხორციელების შემდგომ გადაიხედა კლასტერული აკრედიტაციის პირობებითა და საგანმანათლებლო სივრცეში წარმოდგენილი გამოწვევების საფუძვებისა და სიახლეებით (უმაღლესი განათლების ენის დაუფლების მახასიათებელი) განსაზღვრული ცალკეული დეტალები, კერძოდ,

- გამრავალფეროვნდა სწავლა-სწავლების მეთოდები;
- სასწავლო კურსებში განახლდა სასწავლო და საკითხავი სავალდებულო ლიტერატურა;
- დაზუსტდა და დაიხვეწა საგანმანათლებლო პროგრამისა და თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები;
- დაზუსტდა შეფასების სისტემა და დეტალურად გაიწერა შეფასების კრიტერიუმები (კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებში 2016 წლიდან სტუდენტის შეფასების სისტემა თანხვედრაში მოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების “უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების

განგარიშების წესში” განხორციელებულ ცვლილებებთან.). 2017-2018 წწ მონიტორინგის ფარგლებში გამრავალფეროვნდა სტუდენტთა შეფასების სისტემა.

საგანმანათლებლო პროგრამები დაექვემდებარა კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების პროცესს, რომლის დროს მიღებული შედეგები გადამოწმდა მონიტორინგის ფარგლებში და ეტაპობრივად აისახა საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმსა და სასწავლო კურსების სილაბუსებში.

დაწესებულებაში მონიტორინგის პროცესი მნიშვნელოვან ინსტრუმენტადაა მიჩნეული, რასაც ადასტურებს ასევე უნივერსიტეტის საბიუჯეტო ნაწილში გაწერილი ბონუსების სისტემა, რომელიც ფარავს დაწესებულებაში მიმდინარე მონიტორინგის საჭიროებისათვის განსაზღვრულ ხარჯვით ნაწილს. მონიტორინგის შეჯერება ხდება წელიწადში ორჯერ, რაც დაწესებულებას ხდის სიახლეებისადმი მოქნილსა და განახლებაზე ორიენტირებულს.

კლასტერული აკრედიტაცია ახალი გამოწვევაა საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რაც მოცემულ ეტაპზე უკვე აკონკრეტებს სასწავლო და კვლევითი პროცესების დარგობრივად და ჰოლისტურად გააზრებასა და შესაბამისი პრობლემების გადაჭრას. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფი მოცემულ ეტაპზე გამოთქვას მოსაზრებას, სასურველი იქნებოდა თუ მონიტორინგის პროცესში ასევე ამოქმედდებოდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მიზნით ცალკეულ თემებში (მაგ., საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი, სტრუქტურა, კვლევითი თემები და პროექტები) კლასტერული შეფასების პრინციპი.

საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 9.02.2018, ცვლილებები პოლიტიკაში აკადემიური საბჭოს დადგენილებები №39(20/21), 15.07.2021 და №8 (22/23), 16.09.2022);
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ენის დაუფლების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი;
- ვიზიტის დროს წარმართული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

კლასტერის საერთო რჩევები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

- სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც ასევე გაითვალისწინებდა კლასტერული აკრედიტაციის ძირითად პრინციპებსა და მოთხოვნებს.

არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)

რეკომენდაცი(ებ)ი:

რჩე(ებ)ი:

.....

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი 5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური)	x	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდება, საფეხურები:

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა
 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გერმანული ენა და ლიტერატურა
 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფრანგული ენა და ლიტერატურა
 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რუსული ენა და ლიტერატურა
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისური ენა და ლიტერატურა
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა გერმანული ენა და ლიტერატურა
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ფრანგული ენა და ლიტერატურა
 სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა რუსული ენა და ლიტერატურა

პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობა

პროგრამა	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
სტანდარტი					

ანა მკედლობელი

